# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 8 სექტემბერი 1998 №159 (694) ფასი 50 თეთრი


EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

*10. 10. ლატვია — საქართველო, ალბანეთი — საბერძნეთი, სლოვენია — ნორვეგია*

*14. 10. საბერძნეთი — საქართველო, ნორვეგია — ალბანეთი, სლოვენია — ლატვია*

# საქართველო 1:0 ალბანეთი
# ნორვეგია 1:3 ლატვია
# საბერძნეთი 2:2 სლოვენია



REUTERS ოსლოდან

ანდრეის შტოლცერსის გოლმა ლატვია მეორედ დააწინაურა და ნორვეგია საბოლოოდ გატეხა

# ერთხელ ცარიელი თოფიც ისვრისო
## გვამშვიდებს რევაზ ძოძუაშვილი



არა, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში პირველი ტურის მატჩები ჩვენთვის ესოდენ ხელსაყრელად თუ დამთავრდებოდა. ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ჩვენი შინ წაგებაც, ბერძენ-სლოვენთა მოგება-მარცხიც, მაგრამ ლატვიელთა ოსლოში გამარჯვება? მთლად სასწაული არა, არ ყოფილა, თუმცა ნორვეგიაში მორიგი სენსაცია რომ დაფიქსირდა, თანაც ქართველთათვის გასახარი, ეგ ნაღდია. მეტოქეობაზე, მთავარი კონკურენტის წაგებასა და აბსოლუტურად თანაგუგუნურ ინტერესებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლო-ბოლო ისიც ხომ სასიხარულოა, ლატვიელთა გამარჯვებაში ლომის წილი ქართველ მწვრთნელს რომ მიუძღვის?

ამან ცოტა არ იყოს, ჩვენც შეგვაშინა. ემანდ ძოძუაშვილმა 10 ოქტომბერს ქართველთაც ის დღე არ გვაყაროს, რაც ნორვეგიელთო. რევაზ ძოძუაშვილს გუშინ რიგაში, ოსლოდან ახალდაბრუნებულს შევეხმიანეთ.

— მეტოქის შეუფასებლობამ, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ და საკუთარ თავზე დიდმა წარმოდგენამ ასე იცის — გვითხრა ძოძუაშვილმა — როგორც საჭირო იყო, ისე არ დაგვაფასეს და საკადრისიც მიიღეს.

ნორვეგიელებამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ, შემადგენლობას მუდამ ვცვლიდი, ბევრი ფეხბურთელი გამოვცადე და როგორც იქნა, ოპტიმალური თერთმეტეული გამოვძებნე. როგორც ხედავთ, მათ გაამართლეს, ბიჭებმა იბრძოლეს, მოინდომეს, დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

**— თქვენთვის მოულოდნელი იქნებოდა ასეთი ანგარიშით გამარჯვება, უფრო სწორად, საერთოდ ნორვეგიაში მოგება.**

— მართლაც არ ველოდი, მაგრამ თამაში ისე წავიდა, სამი რაა, მასპინძელთათვის მეოთხეც უნდა გაგვეტანა. მსაჯმა არ მოგვცა საშუალება, თვითონ ნორვეგიელებს გაუკვირდათ, თანამსაჯმა პახარსის თამაშგარე რომ დააფიქსირა.

**— გოლები კონტრშეტევისას გაიტანეთ?**

— სამივე გოლი ასე გავიტანეთ. ნორვეგიელები გაშვებული ბურთის შემდეგ გამწარდნენ, თითქმის მთელი გუნდით წინ წამოვიდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გაგვითანაბრეს. მასპინძლები ერთთავად ჩაწოდებებით აპირებდნენ ფონს გასვლას, მაღალი გადაცემები სულ ტორე ანდრე ფლოსკენ იგზავნებოდა, მაგრამ ჩვენმა მცველებმა მას გასაქანი არ მისცეს. ფლომ საჯარიმოში რომ ვერ იხეირა, ზემოთ იწევდა, ჰავბეკებს ადგილს უთავისუფლებდა, მაგრამ მცველები არც ამაზე წამოეგნენ, ზონას ზუსტად აკონტროლებდნენ. მართალია, თავით ნორვეგიელები კარგად თამაშობდნენ, თითქმის ყველა ბურთიც მოიგეს, მაგრამ მცველები ერთმანეთს კარგად აზღვევდნენ, კარავაევსმაც ბრწყინვალედ ითამაშა, რამდენიმე მკვდარი ბურთი აიღო.

**— ესე იგი, ნორვეგიელებმა ძველებურად ითამაშეს.**

— მეტი არც შეუძლიათ. ეგ იციან, ჩააწოდებენ და საჯარიმოში თავით იბრძვიან. ტექნიკასთან უწინდებურად მწყრალად არიან.

**— საქართველოს ნაკრებსაც ექნება ნორვეგიაში მოგების შანსი?**

— აბა რა. ოღონდ ჭკვიანური თამაშია საჭირო. საჯარიმოში მაქსიმალური ყურადღება გმართებთ, საიდან ვინ გამოხტება, არავინ იცის. ნორვეგიაში ცხადათ და შელია დიდი ძალა იქნებიან. სადაც ჩვენ მოვიგეთ, საქართველოსაც შეუძლია გამარჯვებაზე ფიქრი.

**— ნამეტანი თავმდაბლობთ. ლატვია რა, ხელწამოსაკრავი გუნდია?**

— ხელწამოსაკრავი არა, მაგრამ საქართველოს დარი გუნდი რომ არაა, ფაქტია. ხომ იცით, ერთხელ ცარიელი თოფიც ისვრის. რიგაში კი გეომებით, მაგრამ მეეჭვება, რაიმე გამოგვივიდეს.

**— გუცაევს იმედი აქვს, ოსლოს მატჩის ვიდეოჩანაწერს გამოუგზავნით.**

— რა თქმა უნდა, კასეტასაც გავუგზავნი და სხვა საჭირო ცნობებსაც მივაწვდი. ქართველი არ ვარ?

**— ქართველი კი ხართ, მაგრამ მეტოქის მწვრთნელი. 10 ოქტომბერს საქართველოს მოგება უფრო გაგიხარდებათ თუ ლატვიისა?**

— ფრე ყველაზე კარგი შედეგი იქნება. ყველაზე მეტად ეგ გამახარებს. აბა, საქართველოს ნაკრების წაგება თუნდაც მეტოქის ქართველ მწვრთნელს როგორ უნდა ესიამოვნოს?

ქობა ინასარიძე

# ფოგთსის ეპოქა დასრულდა



REUTERS ბონიდან

ბერტი ფოგთსისა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ეგიდიუს ბრაუნის გუშინდელი სატელეფონო საუბარი საბედისწერო გამოდგა — ქვეყნის ნაკრების 51 წლის მწვრთნელი თანამდებობიდან გადადგა. გუშინვე საფეხბურთო კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც წერია, რომ ფოგთსის შემცვლელი შეძლებისდაგვარად მალე დაინიშნება.

გერმანიის ეროვნული გუნდი, რომელიც გასულ ზაფხულს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატიდან, მეოთხედფინალში, ხორვატიამ სენსაციური ანგარიშით (3:0) გამოთიშა, გასულ კვირას გამართულ ორ ამხანაგურ შეხვედრაში საკმაოდ დაბეჩავებული ჩანდა. პირველი მატჩი მალტასთან გერმანელებმა მართალია მოიგეს, მაგრამ გაჭირვებით (2:1), შაბათს კი მეორე შეხვედრაში ვერაფერი გააწყვეს რუმინელებთან (1:1). ამ შედეგებმა გულშემატკივართა და პრესის დიდი გულისწყრომა გამოიწვია, რასაც შედეგად ფოგთსის თანამდებობიდან წასვლა მოჰყვა.

ფოთგსმა ფეხბურთელობისას 96 თამაში ჩაატარა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, მის მწვრთნელად კი 1990 წელს, ტრიუმფალური მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დანიშნეს. ნაკრების თავკაცის პოსტზე ფოგთსის უდიდესი მიღწევა 1996 წლის ევროპის ჩემპიონობა გახლდათ.

# შევარდენმა ბოსნიას გადაუფრინა

ხელბურთელთა ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა თასზე საქართველოს ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ პირველ საკვალიფიკაციო მატჩში გუშინწინ ბოსნიაში იქაურ ტრავნიკის „ბორაცს“ შეხვდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია: ჩვენებურებმა თამაში ფრედ 24:24 დაასრულეს და საპასუხო შეხვედრაში, რომელიც თბილისში 13 სექტემბერს გაიმართება, ალბათ გამარჯვების მოპოვება არ გაუჭირდებათ. აი, მეორე წრეში კი შევარდნებს ევროპული ხელბურთის ერთ-ერთ გრანდთან, ესპანეთის „ბარსელონასთან“ მოუწევთ გაჯიბრება.

# სამპრასმა საფინიც იფრინა

US OPEN

აქამდე მშვიდად მიმდინარე ამერიკის ღია პირველობას გუშინ თავს ქარიშხალი დაატყდა. თუმცა ეს სიმშვიდე მანამდეც დაირღვა, მესამე-მეოთხე წრემ არაერთი ფავორიტი შეიწირა. პიტ სამპრასი კი ვერც ტორნადომ და ვერც რუსთა იმედმა მარატ საფინმა შეაბრკოლა. თამაში საკმაო ხნით შეწყდა, მაგრამ პირველმა ჩოგანმა საქმე აღარ გაირთულა — 6:4, 6:3, 6:2. ქალთა მერვედფინალში კი ამანდა კუტცერმა (13, სამხრეთ აფრიკა) კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:2 დაამარცხა.


იხილეთ მეთერთმეტე გვერდი




REUTERS ნიუ იორკიდან

ქარი ქრის, სამპრასი იგებს

# გავიხაროთ?

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი. პირველი ტური
5 სექტემბერი. თბილისი. ეროვნული. 45 000 მაყურებელი

## საქართველო 1:0 ალბანეთი

1:0 ა. არველაძე (65)

მამუკა კვანტალიანი

ესეც თქვენი არწივები

თამაშამდე ალბანელები გვემუქრებოდნენ, 5 სექტემბერს ქართველებისთვის შავი დღე დადგებაო. „არწივებმა“ დანაქადნი ბოლომდე ვერ შეასრულეს, მაგრამ არაფერი დაგვაკლეს. სტუმრებისგან ასეთი გამართული ფეხბურთი ქართველებისთვის მოულოდნელი გამოდგა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რიგიანად ბურთის გორება ყველამ ისწავლა და ევროპაში სუსტი გუნდი აღარ დარჩა.

ჩაშლიდნენ „არწივები“ ჩვენს შეტევებს და მერე ბურთის მოპოვება გვიჭირდა, მოძრაობდნენ ჩვენზე მეტს, სწორად იყენებდნენ ფლანგებს, ზუსტ შორეულ გადაცემებს აწვდიდნენ. თითოეულმა ალბანელმა კარგად იცოდა, რა დროს სად უნდა გაჩენილიყო. ეგ არის მხოლოდ, ბოლომდე არ ეყოთ კლასი და თუ გნებავთ, გამოცდილებაც.

გასაკვირი იყო, როგორ ახერხებდნენ ასე იოლად ჩვენი მცველების გავლას. ამ მხრივ განსაკუთრებით ალტინ ლალა, ალტინ რაკლი და ბლედარ კოლა იყვნენ საშიშნი.

შაბათს რაკლი ნაღდად მარცხენა ფეხზე გახლდათ ამდგარი. სხვას რას მივაწეროთ მისი უიღბლობა. სამჯერ აშკარა საგოლე სიტუაციაში დარჩენილმა სამჯერვე უშედეგოდ დაარტყა. ჯერ ცქიტიშვილის დაუდევრობით ისარგებლა. ლევანმა შეტევაში ჩართვა სცადა და წინგაჭრილმა თავის ადგილზე ქინქლაძე დატოვა. ბურთი შეტევაში დავკარგეთ, ხოლო არიან ჯუმბამ რაკლი გვარამაძესთან პირისპირ გაიყვანა. რაკლის ადევნებული ქინქლაძის სუნთქვა ესმოდა. რა თქმა უნდა, იჩქარა და ბურთი მარჯვენა ძელს მოარტყა. იქიდან ასხლეტილ ბურთს კი ახმახმა და მოუქნელმა იგლი ტარემ მანამ ვერაფერი მოუხერხა, სანამ ქინქლაძე არ ჩაუხტა.

ტაიმის ბოლოს რაკლიმ ტარეს მიერ კარის გასწვრივ ძლიერად ჩაწოდებულს უხეიროდ დაუხვედრა ფეხი, ხოლო მეორე ნახევარში რაკლიმ საბოლოოდ და არაზუსტად ამოჰკრა ბურთს მარჯვენა ჭვინტი, რომელმაც მარცხენა ძელს ჩაუქროლა.

ორჯერ კოშკამ მოიგერია მეკარისთვის უხერხული დარტყმა. არაფერს ვამბობთ არაერთ, უმისამართოდ გასროლილზე. და მაინც, რატომღაც გვგონია, რომ ალბანელებს ზედმეტად თავდაჯერებულები დავუხვდით. ასე ძლიერაც ამიტომ გაგვიჭირდა.

ჩვენ რაღა გვემართება?!

ახლა დროა, ჩვენს გასაჭირზეც ვთქვათ. ვლადიმერ გუცაევმა თავიდანვე შეგვაჩვია, ლამაზ, სანახაობრივ ფეხბურთს ნუ ელითო. მწვრთნელმა შეგირდებისა ყველაზე უკეთ უწყოდა. ღმერთმა დაგვიფაროს და ვერაფრით ვიტყვით, ჩვენს გუნდს მეტი არ შეუძლიაო, მაგრამ შაბათს ბიჭებმა მაქსიმუმი გვიჩვენეს.

ჩვენთვის ავადსახსენებელი ტრავმებით დავიწყოთ, რამაც გუნდის მომზადება-შეთამაშებას თავისი კვალი დაატყო. ფაქტობრივად, შესარჩევი ციკლისთვის ერთი გუნდი ემზადებოდა, მაგრამ ბედის ირონია იყო თუ სხვა რამ, გადამწყვეტ ჟამს გუცაევს სხვა გუნდი შერჩა ხელში. ცხადაძე, შელია, შეყილაძე, შოთა არველაძე და გახოკიძე ხომ ნახევარი გუნდია.

დისკვალიფიკაციის გამო ორი ფეხბურთელიც გამოგვაკლდა. ყაველაშვილი და ფოცხვერია ისეთი მოთამაშეები არიან, რომლებიც ნაკრების თამაშში გარკვეულ ამინდს ქმნიან.

ბოლოს კი ყველაზე მთავარზე — სათამაშო პრაქტიკის არქონამ დიდი დაღი დაასვა ქეცბაიას, ჯამარაულსა და ნემსაძეს. მათგან მხოლოდ გოჩამ მოახერხა, ეჯობნა საკუთარი თავისთვის, ხოლო თემური და გია უფერულად გამოიყურებოდნენ.

ჯერაც ვერ შესულა ფორმაში გიორგი ქინქლაძე, თუმცა იყო მომენტები, როცა იგი ბრწყინვალედ, ძველებურად თამაშობდა. გიომ ორ ასპროცენტიან საგოლე პასს დაცვაში ნაყოფიერი გარჯაც მიუმატა. რა თქმა უნდა, სასურველია, როცა ყოველივე პირველიდან ბოლო წუთებამდე გრძელდება.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ კობიაშვილზეც. პირველ ტაიმში ინერტული მოქმედების შემდეგ ლევანმა გაილაღა. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ალბანელთა წელში გაწყვეტას. პინარის გაძევებამ, რაც მთლიანად ლევანის დამსახურება იყო, სოლიდური უპირატესობა მოგვაპოვებინა. პირველ ნახევარში კობიაშვილის გაუხსნელობამ კალაძესაც გაურთულა საქმე. ამიტომაც იყო, ლალა ხშირად რომ ნავარდობდა მარცხენა ფლანგზე.

სილაგაძის ტრავმამ დაცვაში საქმეები კი აგვირია, მაგრამ სამაგიეროდ, ნახევარდაცვას გიორგი კიკნაძე შემატა. ჟორამ ბევრი და სასარგებლოდ იშრომა, თუმცა ისიც ალვნიშნოთ, რომ თავიდანვე თამაშში ჩართვა გაუჭირდა.

ყველაზე შეუთამაშებელი კი მაინც დაცვის ხაზი ჩანდა. არ შეიძლება, მეტოქეს კარში ამდენჯერ დარტყმის საშუალება მისცე და არც ისაა სასურველი, ალბანელი, რაოდენ გამოცდილიც უნდა იყოს, ასე თავისუფლად გატყუებდეს. ყველაზე თამამად ისევ კახა კალაძე გამოიყურებოდა, თუმცა მთლად უნაკლოდ არც მას უთამაშია.

მატჩის მსვლელობამ აშკარად დაგვანახა, რომ მამუკა წერეთელი მარჯვენა მცველი არ გახლავთ. მანამ ცენტრში გადმოინაცვლებდა, ჩავარდნები ჰქონდა. მერე მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

ნემსაძის დაცვის მარჯვენა ფრთაზე გადასროლამ, შეიძლება ითქვას, გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედა, თუმცა გიორგის უფრო მეტი რომ ძალუძს, ეს საკამათო არ უნდა იყოს. შაბათს კი ნემსომ ნაკრების წინამძღოლის სადარი თამაში ვერ გვიჩვენა.

დავით გვარამაძის საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის. კოშკამ საიმედოდ ითამაშა. მხოლოდ იმას შევჩივლებთ, რომ რაც დრო გადიოდა და ჩვენებს გოლი ვერ გაჰქონდათ, დათო მით უფრო მეტად ნერვიულობდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის არაზუსტი პასები, რამდენჯერმე გვარამაძემ ხელით პარტნიორებს რომ გადაუგდო.

დაგვრჩა თავდასხმის ოთხი ფეხბურთელი. ორი დუეტი, რომელთაგან უფრო ნაყოფიერად აშკარად შეცვლაზე შემოსულებმა იშრომეს და რომ არა ზაზა ჯანაშიას უთავბოლობა, გინდაც თავქარიანობა და უპასუხისმგებლობა, არ იყო გამორიცხული, „არწივები“ კიდევ დაგვეღონებინა.

ქეცბაია-იაშვილით დავიწყოთ. თემური რომ ფორმაში ვერ არის, ამას დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. ქეცბამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, სიტუაციას ალღო ველარ აუღო, აქედან გამომდინარე, იაშკაც ეულად დაგვირჩა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ალბანელებს მისი განეიტრალება დიდად არ გასჭირვებიათ. იაშვილმა თითო ტაიმში თითოჯერ შეძლო მეტოქის მცველებისგან დასხლტომა. პირველად ორ ალბანელს დაუძვრა და კარში უზუსტოდ დაარტყა, ხოლო მეორედ, ქინქლაძის ჩინებული პასის შემდეგ, სტრაკოშასთან ეულად დარჩენილმა იჩქარა, ბურთი მეკარეს ვერ ააცილა.

თემურ ქეცბაიას ჟინი და ბრძოლისუნარიანობა, რა თქმა უნდა, გამოსაყენებელია და დასაფასებელიც, მაგრამ ქეცბა ფორვარდი მაინც არ არის. იგი ცდილობდა, სტრაკოშას კარისთვის მოედნის სიღრმიდან შეექმნა საფრთხე. არ გამოსდიოდა. თემური ნახევარდაცვასაც მოაკლდა და თავდასხმასაც ვერ მიეშველა. აქედან გამომდინარე, იაშვილს დამხმარეც არავინ ჰყავდა.

თამაში აჩიკო არველაძისა და ზაზა ჯანაშიას დუეტმა გაამწვავა. ესენი ბედს საჯარიმოს გარეთ კი არა, უშუალოდ სტრაკოშას სიახლოვეს ეძებდნენ და არჩილმა მიაგნო კიდეც, თუმც არც გოჩა ჯამარაულის დამსახურება დავივიწყოთ. გოჩამ ჯერ ორი ალბანელი ნახევარმცველი დატოვა მშრალზე, მერე ფეხის ერთი გაქნევით, სტუმართა მთელი დაცვა. ტყუპისცალს ფეხი არ აჰკანკალებია.

შაბათს პირველად ვნახეთ, ეროვნულმა ნაკრებმა სტანდარტული მდგომარეობა მაღალოსტატურად რომ გაითამაშა. ეს მაშინ, როცა ქინქლაძემ ჯანაშია, ხოლო ზაზამ აჩიკო მოძებნა. არველაძეს ზუსტად დარტყმა მართებდა, მაგრამ კარს დიდი მანძილით ააცილა.

ცალკე საუბრის თემაა ზაზა ჯანაშია. კაცი შეცვლაზე შეხვიდე, თანაც ტრიბუნების სრული მხარდაჭერით, თამაშში გარდატეხა შეიტანო, მოწინააღმდეგის მცველებს შენს დანახვაზე სულ ელეთმელეთი მოსდიოდეთ და საქმეც საათივით გქონდეს აწყობილი, მაგრამ შენივე დაუდევრობის გამო უღალატო ყველას — გუნდს, გულშემატკივარს, მწვრთნელს, რომელიც გენდო და შეიძლება ნანობდეს კიდეც, ნეტავ ადრევე დამეყენებინაო, მოსაკლავი ხარ, აბა რა.

არაფრის გამო იკიდებ ორ გაფრთხილებას და გადამწყვეტ მომენტში, ერთი ხელის მოსმით, ქარს ატან ტანჯვითა და ოფლით მოპოვებულ უპირატესობას. ზაზამ უელსის ახალგაზრდულ გუნდთან, თბილისურ პაექრობაშიც გვიღალატა. წლები ემატება, მაგრამ მისი დაჭკვიანება არ იქნა. ის იყო და რჩება ჩვეულებრივ, ძნელად აღსაზრდელ, უმწიფარ ბიჭად, რომელიც ექვსიოდე წლის წინ ზუგდიდის მინდვრებზე დატანტალებდა.

ჯანაშიას გამოსასწორებლად ვლადიმერ გუცაევს მთელი თავისი პედაგოგიური არსენალის გამოყენება მოუწევს. მაგარი ნერვები ჰქონია ნაკრების მთავარ სტრატეგს, რაკი პრესკონფერენციაზე გვითხრა, ზაზას ისევ მოვიწვევ და ვენდობიო. ღმერთმა ქნას, ჯანაშია დაბრძენდეს, რისიც პირადად მე ნაკლებად მწამს, თორემ ფეხბურთის თამაში რომ იცის, ამაში არაერთხელ დავურწმუნებივართ.

რა გვინდა ჩვენ

რახან ბედმა გაგვიღიმა და შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დავიწყეთ, აწი ოცნებაც შეგვიძლია. მით უმეტეს, ჩვენს ჯგუფში წარმოუდგენელი ამბები დატრიალდა. მარტო ოცნებით ჰოლანდია-ბელგიაში ვერ მოვხვდებით, ამიტომ ახლა ის ვთქვათ, რა უნდა ვუსურვოთ ჩვენს ნაკრებს:

გვინდა, ფეხბურთელებმა, უფრო მეტი ჟინითა და ენერგიით აღვსილებმა, თავდაუზოგავად იბრძოლონ. არ მივიღოთ ყოვლად გაუმართლებელი წითელ-ყვითელი ბარათები, გვარამაძემ ასე მშრალად შეინახოს კარი, დაცვა მეტად მობილური და საიმედო გახდეს, ნახევარდაცვაში კიდევ უფრო მიზანსწრაფულები იყვნენ კობიაშვილი და კიკნაძე, ქინქლაძე და ჯამარაული კი ისევე უზადოდ ირჯებოდნენ, როგორც შაბათს ეპიზოდურად ვიხილეთ. თავდასხმასაც ერთზე ნაკლები გოლით მატჩი არასდროს დაესრულებინოს.

ზოგი იტყვის, ძალიან ბევრი მოგსურვებიათო, მაგრამ დავფიქრდეთ და ვნახავთ, რომ არარეალურიც არაფერია. ბიჭებს ამის პოტენცია გააჩნიათ, მხოლოდ დროზე უნდა მოგვარდეს მათი საკლუბო პრობლემები. მწვრთნელებსაც სამუშაოდ უკეთესი პირობები უნდა შევუქმნათ და საერთოდ, უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფეხბურთს, რადგან დღეს დახარჯულ ყოველ თეთრს ხვალ ათასმაგად მოვიმკით.

ჯერჯერობით კი ემოციებს ნუ ავყვებით. გამარჯვებულის ეიფორია ნუ მოგვიცავს, რეალურად შევხედოთ ჩვენს ნაკლოვანებებს, რადგან წინ ურთულესი აღმართი გველის. იმედია, ჩვენ ჯერ არ სრული ძალით არ დაგვიწყია, ნაკრების ნამდვილ სახეს აწი ვიხილავთ.



გოჩა ჯამარაულს (№8), ალექსანდრე იაშვილის მსგავსად არცთუ საძნელო ბურთის კარში გადაგზავნა გაუჭირდა

[illegible] ფოტო

**საქართველო**

1. გვარამაძე
3. ცქიტიშვილი
5. წერეთელი, 2. კალაძე
4. სილაგაძე
7. ნემსაძე
8. ჯამარაული, 10. ქინქლაძე, 6. კობიაშვილი
11. იაშვილი, 9. ქეცბაია

**ალბანეთი**

11. ტარე, 10. რაკლი
9. კოლა, 7. ბუში
5. ვატა
7. ჰაჯი, 2. ლალა
6. პინარი, 4. ჯუმბა
3. შულკუ
1. სტრაკოშა

შეცვლა: **სილაგაძე — 14. კიკნაძე (43), ქეცბაია — 17. ჯანაშია (54), იაშვილი — 16. ა. არველაძე (62), ტარე — 15. პეკო (68), ბუში — 13. გალო (74), პეკო — 14. მაჯუნი (86)**

გაძევება: **პინარი (72), ჯანაშია (80)**

გაფრთხილება: **კობიაშვილი, წერეთელი, ლალა, რაკლი, ჯანაშია, კიკნაძე**

მთავარი მსაჯი: **კ. დე ტრუჩი (შვეიცარია)**

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. კობიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს ნემსაძე შეუჩერებლივ, მიწაზე დაუშვებლად ურტყამდა...

5. კოლას გასროლილს გვარამაძე დაეუფლა.

11. კოლას ფლანგურ ჩაწოდებულს ტანმაღალი ტარე თავით ვერ მისწვდა.

17. ტარემ ჰაჯის უპასა, მისი დარტყმული გვარამაძემ ცალი ხელით მოიგერია.

21. ალტინ ჰაჯის ჩაწოდებულს რაკლიმ თავური უხერხულად შეაგება.

25. ქინქლაძემ უზუსტესი პასით ჯამარაული სტრაკოშას შეატოვა, მეკარე ჩაუწვა და არ გაატანინა.

34. ქინქლაძემ ნემსაძე მონახა, ნემსოს კი სუსტი და არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა.

39. ქინქლაძის გასროლილი ღრუბლებში გაერია.

44. ბუშიმ კოლას მიაწოდა, ამან საჯარიმოში ჩააწოდა. იქ ალტინ რაკლის ოდნავ სიზუსტე დააკლდა.

45. გვარამაძესთან პირისპირ გასულ რაკლის ქინქლაძე მისდევდა. ბალკანელის დარტყმული ძელს მოხვდა, იქიდან გადმოვარდნილს ტარე ამატებდა, მაგრამ აქ უკვე ქინქლაძემ ვარდნაში გვიხსნა.

50. ქინქლაძემ ამჯერად უკვე იაშვილი დატოვა მეკარესთან პირისპირ, ალბანელები სტრაკოშას ფეხმა გადაარჩინა.

51. საჯარიმოში შესულ რაკლის ჩვენებურებმა სივრცე დაუთმეს, მაგრამ ამან არაზუსტად დაარტყა.

52. ბლედარ კოლა ერთი-ერთზე გადიოდა, გვარამაძემ კარი დატოვა და არ გაატანინა.

62. ჯარიმიდან ჯამარაულმა ჯანაშიას მიაწოდა, ზაზამ მოედანზე იმწამსვე შესული არჩილ არველაძე მონახა, მაგრამ აჩის საბოლოო დარტყმა გაუცუდდა.

65. გუცაევს შეცვლამ გაუმართლა, ჯამარაულმა სასწაულებრივი პასით არველაძე სტრაკოშას შეატოვა, აჩიმაც ივარგა და 1:0.

73. ნემსაძის გასროლილი მეკარემ მოიგერია.

76. რაკლის ჩაწოდებული გვარამაძემ ლამაზ ნახტომში ჩამოხსნა.

77. ჯანაშიამ ბურთი მიიღო თუ არა, შემოტრიალდა და დაარტყა. მცველმა აისხლიტა და კუთხურზე გადავიდა.

87. ჯამარაულმა მეურვე ჩამოიცილა, მაგრამ დარტყმისას მიზანმა უმტყუნა.

89. ბალკანელებმა მსაჯის მიერ საჯარიმოში დანიშნული თავისუფალი უხეიროდ შეასრულეს.

90. კიკნაძემ მთელი მოედანი გადასერა, საჯარიმოსთან მეურვე ჩამოიცილა და ძლიერადაც დაარტყა, სტრაკოშამ სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია და ჩვენებურნი მეორედ არ ახეირა.

მატჩის შემდეგ

# ალბანელები ბევრს გაამწარებენ. ჩვენ?

**ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი გვსურდა ისტორიული ყოფილიყო, თუმცა ისტერიული უფრო გამოდგა. ყოფილიყო. ეგებ, ასეც იყოს, ღმერთა ქნას, საშაბათო 3 ქულა პირველი ნაბიჯი გამოდგეს ბენილუქსისკენ მიმავალ გზაზე. ნერვიული დაძაბულობა ბოლომდე არ ჩამცხრალიყო, მატჩის მონაწილეებს რომ გავესაუბრეთ**



საქართველოს ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა გვარიანად ინერვიულა

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველი სიტყვა, ცხადია, სტუმარი გუნდის თავკაცს *ასტრიდ ჰაფიზს* ერგო.

ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. ბურთსაც ვაკონტროლებდით და საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაგვირგვინებისას ვერ ვივარგეთ. ჩემი გუნდისადმი სასაყვედურო არაფერი მაქვს, თუმც გული მწყდება, რომ გოლის გაშვების შემდეგ ხელიდან გავუშვით ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა. არადა, ნამდვილად შეგვეძლო, როცა ქართველებიც ათნი დარჩნენ მოედანზე. ვფიქრობ, ამ შეხვედრაში ფრე ყველაზე კანონზომიერი შედეგი იქნებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი მალტის ტურნირის შემდეგ საკმაოდ დასუსტებულად მომეჩვენა. ამის მიზეზი ალბათ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის არყოფნაც იყო. თქვენმა გუნდმა ჯგუფიდან გასასვლელად პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგა და მინდა, ეს გამარჯვება გულწრფელად მოგილოცოთ.

სტუმრის გასტუმრებისთანავე საქართველოს ნაკრების მწვრთნელს *ვლადიმერ გუცაევს* დავეკითხეთ: თქვენ კარგად იცით, რომ ამ მატჩის წინ ძალიან სერიოზული პრობლემები გვქონდა, განსაკუთრებით დაცვის ხაზთან დაკავშირებით. ფაქტობრივად დაცვაში ნაკრებისთვის სრულიად ახალი და ახალბედა ფეხბურთელები დავაყენეთ. ამიტომაც ჩვენი თამაში უფრო შედეგზე იყო მიზანმიმართული. რა თქმა უნდა, უამრავი ხარვეზი გვქონდა, მაგრამ არა კატასტროფული. მომავალში ალბათ შოთა არველაძე, გახოკიძე, შელია, ცხადაძე და შეყილაძეც შემოგვიერთდებიან და ნაკრები საგრძნობლად მოუმატებს.

რაც შეეხება თვით თამაშს, ვფიქრობ, კარგად დავიწყეთ, მაგრამ ტაიმის ბოლოს ბევრი შეცდომები დავუშვით. ისე, ალბანეთის გუნდიც არ არის ხელწამოსაკრავი. მათ ხომ გერმანელებს თანასწორი ბრძოლა გაუჩაღეს და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, იანვარში კი თურქეთს სტუმრად მოუგეს 4:1 აი, თქვენ ნახავთ, ეგენი კიდევ რამდენ გუნდს გაამწარებენ შინაც და გასვლაზეც.

მეორე ტაიმში აშკარად დავჯაბნეთ მეტოქე და ის ფეხბურთელიც რომ არ გაეძევებინათ, დარწმუნებული ვარ, თამაში იგივე სცენარით გაგრძელდებოდა. ჯანაშიამ ორივე გაფრთხილება უწყინარ სიტუაციაში მიიღო. არადა, პირველი ყვითელი ბარათის შემდეგ მე მას მოვთხოვე, ემოციები დაეოკებინა. იმედია, ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას აკმარებენ და ბერძნების წინააღმდეგ კვლავ გამოვიძახებთ, რადგან ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

თავიდან ჩავთვალეთ, რომ აჩიკო ძირითადში არ დაგვეყენებინა. იგი ჩვენი ნაკრების სრულფასოვანი წევრია. შეცვლაზე შევუშვით და გამარჯვების გოლიც გაიტანა. ეს ყველა ფეხბურთელის მოვალეობაა. მეორე ნახევარში ნემსაძე გადავწიეთ მარჯვნივ და დაცვის თამაშიც გამოსწორდა. რაც შეეხება ქეცბაიას, მას აშკარად აკლია სათამაშო პრაქტიკა და თანაც ცოტა კიდეც დაიღალა. ბურთი პირველ ტაიმში რომც გაგვეტანა, მეორეში მაინც ორი თავდამსხმელი უნდა გამოგვეყვანა და ჩანაფიქრი კიდეც განვახორციელეთ. არავის გამორჩევა არ მინდა. მთავარი, რაც შევნიშნე, ფეხბურთელების მონდომება იყო. მეორე ტაიმში გამოჩნდა — ჩვენი ფეხბურთელები თუ მოინდომებენ, ბევრი რამ შეუძლიათ.

მალტაზე სულ სხვა დონის თამაში ვაჩვენეთ. ის გუნდი უფრო დახვეწილი იყო. იმ შემადგენლობასთან შედარებით 5-6 კაცი ახალია და ცოტა გამოცდილებაც აკლიათ. ახალბედებს ბევრი აქვთ დასახვეწი. გამოცდილი ფეხბურთელების დაბრუნებით ალბათ ესეც აღმოიფხვრება.

მე ვთვლი, რომ ძალიან ცუდი მსაჯობა იყო. ვერ ვიტყვი, ვინმეს ემხრობოდა-მეთქი, უბრალოდ, ამ შეხვედრას მეტად არაკვალიფიციური არბიტრი სჯიდა. ის ჯარიმაც გვარამაძეზე აშკარად გამოიგონეს.

ვიმეორებ — მთავარი შედეგია და ჩვენ შევძელით აქტივში პირველი სამი ქულის ჩაწერა.

*კახი კალაძე* დაღლილი, მაგრამ ბედნიერი ჩანდა: ძალიან რთული თამაში იყო, განსაკუთრებით პირველი ნახევარი. მეორე ტაიმში მდგომარეობა შედარებით გამოვასწორეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. დიდებულია — ჩვენ სამი ქულა გვაქვს.

— *პირველ ნახევარში მეტოქე გჯობდათ...*

— რაც უნდა იყოს, პირველი თამაში იყო, ალბანელები სტუმრად თამაშობდნენ და წაგების გარდა ნებისმიერი შედეგი აძლევდათ ხელს. სიმართლე რომ ითქვას, მეტოქის ამგვარ თამაშს ველოდით. მეორე ტაიმში მეტ-ნაკლებად ყველაფერი მოგვარდა და გოლიც გავიტანეთ. ვფიქრობ, სამომავლოდ კარგი განწყობა შევიქმენით.

მატჩის შედეგით *გიორგი კიკნაძეც* კმაყოფილი იყო: გუცაევმა თავისი სიტყვა შეასრულა, ჩვენ სამი ქულა გვაქვს და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. გეთანხმებით, რომ სხვა საქმეა, თუ როგორ მოვახერხეთ ეს. ჩვენს თამაშში ბევრი ხარვეზი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ამის მიზეზი მეტოქეც გახლდათ. ფაქტია, ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამას შევძლებთ.

თამაშის ხარისხით უკმაყოფილება *გოჩა ჯამარაულმა* გამოთქვა: დღევანდელმა მატჩმა აჩვენა, რომ ბევრი რამ უნდა დავხვეწოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წამყვანი მოთამაშეების არყოფნით დაცვაში გარკვეული პრობლემები გვქონდა. შედეგით უზომოდ ბედნიერი ვარ, ხუმრობა ხომ არ არის — წინა შესარჩევებისგან განსხვავებით, პირველად შევძელით გამარჯვება. მაყურებელს კი ვთხოვთ, ბოლომდე დაგვიდგეს გვერდში.

*ლევან სილაგაძეს* ტრავმის გამო ნაადრევად მოუხდა თამაშის დატოვება.

— *ლევან, ტრავმა სერიოზულია?*

— ვფიქრობ, ასეა. როდესაც ფეხი გადამიტრიალდა, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, სიარული ახლაც მიჭირს.

— *დაცვის ხაზში შენი პარტნიორების თამაშზე რას გვეტყოდით?*

— საკუთარ თავზე მოგახსენებთ, მატჩის წინ საოცრად აღელვებული ვიყავი. სულ სხვაა, როდესაც გამოცდილი მცველის გვერდით გიწევს თამაში, ალბათ, ჩემი პარტნიორებიც იგივეს განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, წერეთელმაც და ცქიტიშვილმაც მეტ-ნაკლებად კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას, კალაძე კი მეორე ნახევარში სულაც შეუდარებელი იყო.

— *მეტოქისგან თუ ელოდით ამგვარ წინააღმდეგობას?*

— რა თქმა უნდა. გარწმუნებთ, წუთითაც არ გვიფიქრია — ეს ალბანეთია, უეჭველად მოვუგებთო არა, პირიქით, სერიოზულად ვემზადებოდით და მინდორზეც იმ განწყობით გავედით, რომ მეტოქე უშეღავათო ბრძოლას გაგვიმართავდა. როგორც ნახეთ, ასეც მოხდა.

— *წინ ლატვიასთან თამაშია...*

— მერწმუნეთ, ლატვიაში აუცილებლად გავიმარჯვებთ.

*გიორგი ქინქლაძეს* ავტობუსის ასასვლელთან დავეწიეთ, სხვებისგან განსხვავებით, ჩაფიქრებული და მოწყენილი გამოიყურებოდა.

— *გიო, რამ დაგაფიქრა, შენი თამაშიდან გამომდინარე, დიდი უკმაყოფილების მიზეზი არ უნდა გქონდეს.*

— ეჰ, ეს არაფერს არ ნიშნავს. აქ სულ სხვა მომენტია. გარკვეულწილად გულშემატკივრის იმედები ვერ გავამართლეთ. მაგრამ ისიც ვიცი, რომ პირველი თამაში ყოველთვის ძნელია. გაიხსენეთ მოლდოვასთან მატჩი ანდა პერუჯაში მარცხი. ერთი თავით ჩვენს მჯობნ იტალიელებს ტოლი არაფერში დავუდეთ და თანაბარ ბრძოლაში დავმარცხდით. ფაქტობრივად, იგივე იყო დღესაც. ზუსტად პერუჯის ვარიანტი განმეორდა ოღონდ პირიქით — ალბანელებზე ბევრად უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ პირველ ტაიმში არაფერი დაგვითმეს, მეტიც, გოლსაც იმსახურებდნენ. საბოლოოდ კი დამარცხდნენ. მაყურებელმაც ბლომად გვისტვინა, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ სამი ქულა ბევრს ნიშნავს.

— *პარტნიორებზეც გვითხარი...*

— ვფიქრობ, ყველამ ვაჟკაცურად ითამაშა, რაც შედეგზეც აისახა, მაგრამ პირველი ტაიმით ძალიან უკმაყოფილო ვარ.

— *ტაიმებს შორის შესვენებაზე მწვრთნელისგან რა მითითებები მიიღეთ?*

— გუცაევმა ყურადღება მაყურებელზე გაამახვილა. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. გულშემატკივარმა საკმაოდ გვისტვინა. მათთვის გამარჯვების გარდა სხვა შედეგი წარმოუდგენელი გახლდათ. არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, ყოველივე ამის შემდეგ საერთოდ ფეხი ვერ გაგვენძრია. მაგრამ თითოეულმა ჩვენგანმა შეძლო საკუთარი თავის მოთოკვა, რაშიც უდიდესი წვლილი გუცაევს მიუძღვის. მან ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის.

ყველა ელოდა, რომ ალბანელებთან მატჩში ნაკრების კარს ტოგონიძე დაიცავდა. როგორც შემდეგ გაირკვა, „კოშკას" ძირითად შემადგენლობაში დაყენება მისთვის მოულოდნელი ყოფილა. თამაშის შემდეგ *ნიკა ტოგონიძე* საოცრად აღშფოთებული და აღელვებული ჩანდა, ოღონდ ამის მიზეზი ნიკას უთამაშებლობა სულაც არ გახლდათ:

— ძალიან გულგატეხილი ვარ გულშემატკივრების მოქმედებით. ხალხო, ასე არ შეიძლება. მთელი თამაში გვაგინებენ, გვისტვენენ, უსირცხვილოებს გვიწოდებენ, ბოლოს კი ტაშს გვიკრავენ. იქნებ სჯობს, ლანძღვა-გინების ნაცვლად „საქართველო" იძახონ. რატომ ვართ უსირცხვილოები — ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ. ეს ხომ პირველი თამაში იყო, გეუბნებოდათ ის კაცი (გუცაევი), მთავარია შედეგი, შედეგისთვის ვიბრძოლებთო. ხომ შეასრულა დანაპირები. დღეს აღარ არის ლამაზი ფეხბურთის დრო. ყველამ ისწავლა თამაში და შედეგს ეთმობა მთავარი ყურადღება. თან ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, არ გვინდა, ჩვენს კართანაც შეიქმნას მომენტი. მაშინ რა საჭიროა მეკარე და მცველი. ასე არ შეიძლება. ყველას ვთხოვ, მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ.

*ლევან კობიაშვილი* გახარებული გახლდათ: საკმაოდ რთული მატჩი იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც გულშემატკივარი ითხოვდა და ელოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი შედეგი იყო. პირველი შეხვედრა ყოველთვის რთულია, ალბათ, გარკვეულწილად ამანაც განაპირობა ჩვენი არცთუ შთამბეჭდავი თამაში. თუმცა, იმედია, მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.

*დავით გვარამაძემ* მატჩში ობიექტურად შეაფასა: ძალიან ძნელი მატჩი გამოდგა. მნიშვნელოვანი სამი ქულა კი მოვიპოვეთ, მაგრამ თამაშით თავი ვერ მოვიწონეთ და ეს აღარ უნდა განმეორდეს. შევეცდებით, შემდეგი შეხვედრები უკეთ ჩავატაროთ და ქომაგებიც გავახაროთ.

*არჩილ არველაძე* იმდენად გახარებული და დაბნეული იყო, აზრის გამოთქმა გაუჭირდა: ფაქტია, კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, მთავარი ამოცანა შევასრულეთ. დღეს ჩვენთვის მინიმუმიც და მაქსიმუმიც გამარჯვება იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც. ალბანეთს ბევრი ხელწამოსაკრავ მეტოქედ თვლის, მაგრამ ეს ასე არ არის. მათი ძლევა გერმანელებსაც გაუჭირდათ. თამაში ყველამ ისწავლა და სუსტი მეტოქეები აღარ არსებობენ. დანარჩენ მატჩებშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გავიდეთ.

სტუმარ ფეხბურთელებთან გასაუბრება ალბანეთის სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი თანამშრომლის თარჯიმნობით მოვახერხეთ. პირველად *ალტინ ჰაჯი* მოვიხელთეთ: მე მგონი, დათარსულები ვართ. აბა, რას უნდა მივაწეროთ ამდენი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა? ოთხ თამაშში ოთხი წაგება — საშინელებაა, მეტი არაფერი.

— *საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა, თანაც თქვენზე უკეთესიც, მაგრამ მხოლოდ ერთის გატანა მოვახერხეთ...*

— სწორედ ამაზე ვლაპარაკობ, რომ თქვენ მოახერხეთ, ჩვენ კი ვერა. არადა, ფრეს ნამდვილად ვიმსახურებდით. წინა წლებთან შედარებით ჩვენი ნაკრები მოძლიერდა. ეს უპირველესად ფეხბურთელთა მიგრაციის შედეგია. აქედან გამომდინარე, ძალიან შეცდება ის, ვინც სერიოზულ ძალად არ მიგვიჩნევს. მართალია, დღეს არ გაგვიმართლა, მაგრამ შემდგომ თამაშებში დავამტკიცებთ ჩვენს ძალას. თქვენც ხომ არ გეგონათ, რომ საქართველოს ნაკრებს ასე გაუჭირდებოდა?

— *სიმართლე რომ გითხრათ, არა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი შედეგია, როგორი თამაშითაც უნდა იყოს იგი მიღწეული.*

— გეთანხმებით, რომ მთავარი შედეგია. არც ჩვენ გვსურს, კარგად ვითამაშოთ და წავაგოთ, მაგრამ შედეგი თამაშს მოაქვს. თუ არ ითამაშებ, არაფერი გამოვა, თუმცა დღეს პირიქით კი მოხდა — ვითამაშეთ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. არა უშავს, ბურთი მრგვალია, ხან მოიგებ, ხან წააგებ. შემდეგ მატჩებში ვეცდებით, კარგი გარჯით ნაყოფიც მოვიმკათ.

— *წარმატებას გისურვებთ ჩვენს მეტოქეებთან შეხვედრებში.*

— თქვენთან არა?

— არა.

— დიდი მადლობა, მაგრამ ტირანაში საქმე სხვაგვარად იქნება.

— *რატომ ხართ ასე დარწმუნებული, ბურთი ხომ მრგვალია?*

— (იცინის)-იქ ვილაპარაკოთ, მატჩის შემდეგ.

თავდამსხმელი *ალტინ რაკლი* ისე იყო გულდაწყვეტილი, თავიდან უარიც გამოგვიცხადა საუბარზე, მაგრამ შემდეგ თავად მოვიდა, მოგვიბოდიშა, უხასიათოდ ვარ, წუთს თუ მომიცდით, მერე დაგელაპარაკებითო. ჩვენც, რაკილა მისი აზრი გვაინტერესებდა ცოტახანს დაველოდეთ:

— ძალიან დასანანი მარცხი განვიცადეთ, არადა, ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია, თანაც საკუთარი კედლების ფაქტორიც გშველოდათ. ტირანაში რომ ყოფილიყო მატჩი, მჯერა, სხვა შედეგით დასრულდებოდა. თუმცა, ამით არ მინდა, თქვენს ფეხბურთელებს ჩრდილი მივაყენო. ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო. პირველივე ტაიმში ნათელი გახდა, რომ ყველაფერს ერთი გოლი გადაწყვეტდა და ასეც მოხდა.

— *თუ ფიქრობდით, რომ თბილისიდან სამ ქულას წაიღებდით?*

— უკვე დიდი ხანია, ფეხბურთს ვთამაშობ, ამდენად, გამოცდილებაც საკმაო მაქვს, ამიტომ მეტოქისა, რა დონისაც უნდა იყოს იგი, არასდროს მეშინია. ასევე იყო დღესაც. მინდორზე თუ მეტოქის შიშით გახვედი, იმ მატჩს ვერ მოიგებ. დღესდღეობით ფეხბურთის დონე არასაფეხბურთო ქვეყნებშიც საკმაოდ ამაღლდა, ისინი დიდ წინააღმდეგობას უწევენ ელიტის წარმომადგენლებს. ჩვენც მათ რიცხვში ვართ და ვცდილობთ, საპატიო ადგილი მოვიპოვოთ საფეხბურთო სამყაროში. ამიტომაა, რომ ყველა მატჩში ძალ-ღონეს არ ვზოგავთ, რა გამოგვივა, ეს უკვე სხვა საქმეა. რაც შეეხება სამ ქულას, პირადად მე მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ სამისო ძალა შეგვწევდა.

— *რამ შეგიშალათ ხელი ამის განხორციელებაში, იღბალმა, თქვენმა, ნუ მიწყენთ და არასაკმარისმა ოსტატობამ თუ მოწინააღმდეგემ?*

— ყველაფერმა ერთად. იმის შეფასება, მაქვს თუ არა საკმარისი ოსტატობა, მიჭირს და არც იქნება ლამაზი. ეს სხვისი შესაფასებელია. უცხო რომ შეხედავდა ჩემს მიერ გამოუყენებელ მომენტებს, რას იფიქრებდა, თავადაც უწყით. მე თუ შემეკითხებით ამის შესახებ, გეტყვით, რომ ეს ყველაფრის ბრალი იყო. რა თქმა უნდა, ბევრს ოსტატობაც აკლია, მაგრამ იღბალიც დიდ როლს თამაშობს, აღარაფერს ვამბობ მოწინააღმდეგეზე.

— *მატჩის წინ, როგორც მახსოვს, თანამემამულეებს გოლის გატანას ჰპირდებოდით...*

— სამწუხაროდ, არ გამომივიდა, არადა, სიმართლეს გეტყვით, გოლის გატანის სურვილი ასე არასდროს მქონია. მეოთხე მატჩს ვთამაშობთ და გოლი ვერ გაგიტანეთ, თუმცა წინა შესარჩევშიც გვქონდა მოგების შანსი ტირანაში, მაგრამ არც მაშინ გამოგვივიდა. ახლა მითხარით, რისი ბრალია — ჩვენი, თქვენი თუ ბედის?

— *ყველაფრის. მოდით, ახლა ჩვენს ჯგუფზე ვთქვათ. თქვენი აზრით, რისი მიღწევა შეუძლია საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებს?*

— დავიწყებ იქიდან, რომ ჯგუფში ფავორიტად ნორვეგია მიმაჩნია. საქართველოს ნაკრებს, ვფიქრობ, ბერძნებთან მოუწევს ჭიდილი მეორე ადგილისთვის. დანარჩენები ერთმანეთში გაინაწილებენ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებს.

— *წელან თქვით, ალბანელებს ქართველების დამარცხება ძალუძთო და მაინც ჩვენ გვაყენებთ საკუთარ გუნდზე წინ. რით არის ეს გამოწვეული?*

— მე რომ მჯერა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვასაც სჯერა. თან ბევრს ოსტატობაც აკლია, მაგრამ ეს დროებითია. ორი წლის მერე ალბანეთის ნაკრები დღევანდელის კვალობაზე გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენთან შედარებით თქვენ უფრო მეტი გყავთ მაღალი კლასის ფეხბურთელები.

— *ესე იგი, ზოგიერთი თქვენი თანაგუნდელი შიშით გამოვიდა მოედანზე?*

— ამას შიშს ვერ უწოდებ. უბრალოდ, მოგების ნაკლებად სჯეროდათ და ფრეზეც ყაბულს იყვნენ. ანგარიშის შენარჩუნებას უდიდესი ოსტატობა სჭირდება, ჩვენ კი დაცვაში ბევრი ნაკლი გვქონდა. ასეთ შემთხვევაში შეტევით ფეხბურთი უნდა ითამაშო, ეს ნაკლი ცოტათი მაინც რომ დაფარო. ისე, დაცვაში არც თქვენ გაქვთ აწყობილი საქმე.

— *გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ სამი მცველი გვაკლდა, ამიტომაც ახალგაზრდებს მოუხდათ გარჯა და მე მგონი, არცთუ ცუდად უთამაშიათ.*

— თქვენი დაცვის თამაში ჩემი შესაფასებელი არ არის. უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა და რასაც ვფიქრობდი, ვთქვი.

ჩვენი საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ალბანელი კოლეგები არ გვასვენებდნენ და ისიც თანამემამულეთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შეუდგა.

**ხვიჩა სანიკიძე**
**ბაატა ქვანტალიანი**
**ვანო ოქროპირიძე**
**ბაატა თოთაძე**

# ძოძუაშვილი სენსაციამ იხსნა

ოსლო
6 სექტემბერი
22.15 საათი
"ულევოლი"
11 030 მაყურებელი

## ნორვეგია 1:3 ლატვია

0:1 პახარსი (11), 1:1 სოლბაკენი (17), 1:2 შტოლცერსი (53), 1:3 ზემლინსკისი (64პ)
ნორვეგია: ბაარდსენი, ჰეგემი (ბერგი 60), იონსენი, ჰოფტუნი, ბიორნებიუ, რუდი (ჰ. ფლო 80), რეკდალი, სოლბაკენი, სტრანდლი, ტ. ა. ფლო, სოლსკიაერი (ი. ფლო 62)
ლატვია: კარავაევსი, ლაიზანსი (ლუკაშევიჩსი 51), ზარკეშევსკი, ზემლინსკისი, ლობანოვსი, შარანდო (ბალდერსი 73), ივანოვსი, ბლეიდელისი, პახარსი (ისაკოვსი 81), ბაბიჩევსი, შტოლცერსი
მსაჯი: ს. შმოლიკი (ბელარუსი)

**ამქოლდს ულდრიქისი ოსლოდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

არ ვიცი, საქართველოში რას ფიქრობდნენ ნორვეგია — ლატვიის მატჩზე, მე მხოლოდ ჩემი თანამემამულეებისას გეტყვით. ასეთ შედეგს გულშემატკივრები კი არა, თავად ფეხბურთელებიც ვერ წარმოიდგენდნენ. ნამდვილად ღმერთს ვწირავთ მადლობას, მოწყალე თვალით რომ გადმოგვხედა და ლატვიელ ფეხბურთელებს მონდომება წყალში არ ჩაუყარა. ჩვენებმა მართლაც თავი დადეს „ულევოლის" სამტრიბუნიან და 11 000-იან სტადიონზე.

წარმომიდგენია, ლატვიის ნაკრების ოსლოში გამარჯვების შემდეგ რა ხდებოდა თბილისში. ალბათ ნორვეგიას სერიოზულ მეტოქედ აღარ მიიჩნევთ, მაგრამ ნუ შეგაცდენთ ჩვენი გამარჯვება. ნორვეგია მართლაც კარგი გუნდი ყოფილა, საკმაოდ შეკრული და ათლეტური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, სწორედ ისეთი, როგორიც ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიხილეთ. მაგრამ ამათ ერთი ნაკლი აქვთ, იმპროვიზაციის უნარი აკლიათ, ძირითადად ერთფეროვანი შეტევების ხარჯზე ცდილობენ, ყოველ შემთხვევაში, ლატვიასთან თამაშისას ცდილობდნენ, ხელსაყრელი მომენტების შექმნას, რაც ფლანგებიდან გარღვევასა და საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთებში გამოიხატება. ასე, ჩააწოდებენ, ტანმაღალი ტორე ანდრე ფლოსა და სხვა ბრგე ფეხბურთელების იმედად არიან, ეგებ როგორმე მოიგონ საჰაერო ორთაბრძოლა და გოლი შეაგდონ. ჩვენდა საბედნიეროდ, ლატვიელებმა ვიკინგთა პრაგმატულ თამაშს ჭკუა დაუპირისპირეს, ქართველმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა კარგად დამოძღვრა შეგირდები და პირველი სამი ქულაც მივითვალეთ.

ლატვიამ მრავალნაცადი ტაქტიკური სქემით 4-4-2 ითამაშა. ლაიზანსი, ზემლინსკისი, ზაკრეშევსკი და ივანოვსი დაცვაში ზონური პრესინგით თამაშობდნენ, ფლოსა და სოლსკიაერს გასაქანს არ აძლევდნენ, შესაძლებლობისთანავე კი სწრაფად ბურთს ლობანოვს — ბაბიჩევსისკენ გზავნიდნენ, რომელთაც მოედნის ცენტრი ჰქონდათ ჩაბარებული, ხოლო ესენი პახარსა და შტოლცერსს ამარაგებდნენ. კონტრშეტევაც ასე იწყებოდა, ნორვეგიელები ბურთს ჩააწვდიდნენ, მცველები გამოიტანდნენ და უმალ ბაარდსენს უტევდნენ.

მე-11 წუთზე ბევრისთვის ძნელად წარმოსადგენი მოხდა: ბაბიჩევსმა მარჯვენა ფლანგზე გამოზომილად მიაწოდა ბლეიდელისს, რომლის ჩაწოდებულიც შტოლცერსმა უხეიროდ კი გააჩერა, თუმცა ბედად იქვე პახარსი აღმოჩნდა, რომლის ოთხიოდ მეტრიდან დარტყმულს ნორვეგიელთა მეკარემ ველარაფერი მოუხერხა.

ჩვენი სიხარული ექვს წუთს გაგრძელდა, იქამდე, სანამ ზემლინსკისმა და ლობანოვსმა შეუთანხმებლად სცადეს ბურთის საჯარიმოდან გამოტანა. ამით ისარგებლა სოლბაკენმა, რომელიც ლატვიელთა ზურგსუკან იყო ჩასაფრებული და ახლოდან დარტყმულით ანგარიში გაათანაბრა.

ისე ჩანდა, ნორვეგია გონს მოეგო. მეგონა, მორჩა, ნორვეგიას ველარ გავაჩერებთ-მეთქი, მაგრამ, რა ვიცოდი, მეორე ტაიმი ასე თუ აეწყობოდა. თუმცა შესვენებამდე შექმნილ მომენტებზეც გეტყვით.

23-ე წუთზე მეტად ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა სოლბაკენმავე, როცა თითქმის იმავე პოზიციიდან, საიდანაც ბურთი შეაგდო, უხეიროდ დაარტყა. მერე, ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე, ნორვეგიელებმა აქეთ დაგვიჭირეს კონტრშეტევაზე და ოთხი მასპინძელი სამი ლატვიელის წინააღმდეგ დარჩა. ფლოს წამოწყებული იერიშისას ნორვეგიელებმა თითქოს ყველაფერი კარგად გააკეთეს, კარავაევსის კარსაც მიუახლოვდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რეკდალმა ნორვეგიელების დაწინაურება ვერ შეძლო. წუთის შემდეგ კი ჰოფტუნისა და სტრანდლის შორიდან დარტყმულებიც გააუვნებლა ჩვენმა მეკარემ, რომელმაც აქაური პრესის აზრით, საკმაოდ ძლიერად ითამაშა და შტოლცერსის შემდეგ ყველაზე მაღალი შეფასება, 7 ქულა, დაიმსახურა.

ტაიმი ასე მორჩა. შესვენების შემდეგ კი, რვა წუთში, ბელარუსი მსაჯმა ხელი ისევ ცენტრისკენ გაიშვირა, რადგანაც ლატვია დაწინაურდა. მოედნის შუიდან ბაბიჩევსმა ისევ ბლეიდელისს უპასა, ამან საუცხოოდ გადააწოდა შტოლცერსს, რომელმაც ჰოფტუნის მოტყუების შემდეგ ცხრიანში გატანით დაასრულა ლატვიელთა სწრაფი კონტრშეტევა. მერე გენახათ, მასპინძლები რა დღეში ჩავარდნენ, უკანმოუხედავად წინ გარბოდნენ, უხეშობასაც უმატეს, შტურმის მაგვარიც მოგვიწყვეს, მაგრამ ვერაფერი იხეირეს, ისე, ქაოსურად მოქმედებდნენ. ამ დროს ნილს სემბამ ერთდროულად ორი ფეხბურთელი შეცვალა, ერთ ფლოს, ტორე ანდრეს, მეორეც, ჰავარდი შეუწყვილა, რომელიც სოლსკიაერს შეენაცვლა. მაგრამ მასპინძლებს არც ამან უშველათ. პირიქით კი მოხდა. 64-ე წუთზე ივანოვსმა შორიდან დაარტყა, ნორვეგიელი მცველები და მეკარე დაიბნენ, ერთმანეთს ვერ გაუგეს, ბურთი საჯარიმოდან ველარ გამოიტანეს, რითაც უმალ ისარგებლა შტოლცერსმა და ბაარდსენთან პირისპირაც დარჩა. რონი იონსენს წესის დარღვევის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, ჩვენიანს უბიძგა და შმოლიკმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ზემლინსკისმა უშეცდომოდ დაარტყა და ისედაც ნერვებმოშლილი მასპინძლები მთლად გააოგნა. ნორვეგიელები დაიბნენ, ბურთსაც ძველებურად ველარ აკონტროლებდნენ, თუმცა მატჩის დამთავრებამდე რამდენჯერმე მაინც შეგვაშფოთეს: ტორე ანდრე ფლოს ერთხელ კარავაევსმა სასწაულებრივად აულო, მეორედ კი ლატვიელი ფეხბურთელები ბერგის თავურის შემდეგ მხოლოდ ხარიხამლა იხსნა. ამის მერე მატჩი დაწყნარდა, ვიკინგები თითქოსდა შეეგუვნენ პირველ მარცხს, ძველებურად აღარ აგრესიულობდნენ. თუმცა შმოლიკს მაინც მოუხდა ორი ყვითელი ბარათის ჩვენება: როცა კარავაევსმა დროის გაყვანა განიზრახა და იონსენი შტოლცერსს განგებ ეუხეშა.

აი, ასე, ასეთი მოულოდნელი ანგარიშით დამთავრდა ეს შეხვედრა. ჩვენ კი იმედი მოგვეცა, იქნებ, როგორმე თქვენც საკადრისად დაგიხვდეთ 10 ოქტომბერს. მანამ მატჩის შემდგომ მწვრთნელთა ნაამბობს შემოგთავაზებდეთ, ერთსაც გეტყვით. რევაზ ძოძუაშვილი, რომელსაც აქამდე წყალი ჰქონდა შემდგარი ლატვიის ნაკრების უსუსური მატჩების გამო, ალბათ ნორვეგიასთან გამარჯვების მერე კიდევ კარგა ხანს შერჩება ჩვენს ეროვნულ გუნდს. თქვენებური მწვრთნელის კრიტიკა კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ამხანაგური მატჩები ლატვიელებმა ძალიან ცუდად ჩაატარეს და ისრაელთან შინ 1:5 წააგეს, მერე კი ისლანდიელებთანაც სტუმრად პირწმინდად 1:4 დამარცხდნენ. ხალხი აფორიაქდა, თუმცა ასეთი სენსაციური გამარჯვების შემდეგ მეეჭვება, ძოძუაშვილის ავტორიტეტი ერთი-ორად არ ამაღლდეს.


REUTERS ოსლოდან
ლატვიელების მოულოდნელი ტრიუმფი ოსლოში

*ნილს სემბა, ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი:* ლატვიას სასწაულებრივად უმართლებდა. ჩვენ დაახლოებით 15-მდე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ კიდეც. 90 წუთი „ულევოლზე" ჯოჯოხეთი იყო. წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ მეტად საწყენი ისაა, რომ ჩვენ 1991 წლის 25 სექტემბრის მერე შინ თამაში არ წაგვიგია. ჯგუფში კი, სადაც სამი ფავორიტი იყო — ნორვეგია, საბერძნეთი და საქართველო — მოულოდნელად მეოთხეც გამოჩნდა — ლატვიის ნაკრები. ისინი კიდევ ბევრს გააშწარებენ, უბრალოდ ჩვენ მათი პირველი მსხვერპლი ვართ. ალბანეთს და სლოვენიას კი სათვალავში არ ვაგდებ.

*რევაზ ძოძუაშვილი, ლატვიის ნაკრების მწვრთნელი:* ბოლო რვა თამაშში მხოლოდ ესტონეთსა და ანდორას მოვუგეთ. ამის მიზეზი კი სტაბილური შემადგენლობის ძიება იყო. დღეს ექსპერიმენტი დამთავრდა და შედეგიც სახეზეა. გუნდმა, რომელმაც ამხანაგური მატჩების დროს 40-მდე ფეხბურთელი გამოსცადა, საბოლოო სახე მიიღო. მიხარია, რომ შრომა დაგვიფასდა, ყველაფერი კი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომლებმაც ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალება.

# ორი ქარს, ერთი სლოვენიას

ათენი
6 სექტემბერი
22 საათი
ოლიმპიური
40 000 მაყურებელი

## საბერძნეთი 2:2 სლოვენია

0:1 ზაჰოვიჩი (19), 1:1 მახლასი (55 პ), 1:2 ფრანცესკოსი (58), 2:2 ზაჰოვიჩი (63)
საბერძნეთი: ატმაციდისი, ბორბოკისი (ლიბეროპულოსი 82), კასაპისი (გეორგიატოსი 78), დაბიზასი, კალიძაკისი, უზუნიდისი, ზაგორაკისი, მარკოსი, მახლასი, ცარტასი (ფრანცესკოსი 46), ნიკოლაიდისი
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, პავლინი, რუდონია, მილანიჩი, გალიჩი, კნავსი, ნივაკი, უდოვიჩი (ინგლარო 46), ზაჰოვიჩი, ოსტერჩი (სილიაკი 68, ასიმოვიჩი 71)
მსაჯი: ა. ტრენტალანე (იტალია)

ადამიანი, რომელიც ამ თამაშის ანგარიშს დახედავს, პირველად, რასაც გაიფიქრებს, ეს იქნება: საბერძნეთის ნაკრებმა ორი ქულა დაკარგა. მართლაც, ბერძნებმა ორი ქულა ქარს გაატანეს, ერთი კი სლოვენებს, რაც ერთობ მოულოდნელი გახლდათ, რადგან ქართველთა შავი ზღვის აუზის მეზობლები მეორე შესარჩევ ჯგუფში მართალია ფავორიტებად ითვლებიან, მაგრამ არა ერთადერთად, არამედ ერთ-ერთად.

დიახ, მეორე ჯგუფს რამდენიმე ფავორიტი ჰყავს, ზოგი კი იმასაც ამბობს უფავორიტო ჯგუფიაო. უკანასკნელი მოსაზრება ალბათ უფრო საკამათოა, მაგრამ თუ პირველი ტურის შედეგებს გავითვალისწინებთ...

ასეა თუ ისე, საბერძნეთის ნაკრებს თავი უპირობო ფავორიტად არ უნდა მიაჩნდეს და კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ მეორე ჯგუფიდან ევრო 2000-ზე ალბათ ის გუნდი გავა, ვინც შეძლებს ყველაზე ნაკლები შეცდომა დაუშვას და მაქსიმალურად მოიხვეჭოს თავისი მოსახვეჭელი, რაც უპირველეს ყოვლისა საშინაო შეხვედრებში გამარჯვებას გულისხმობს.

ბერძნებმა რალაც გაუშვეს ხელიდან, რალაც ვერ გაითვალისწინეს და დაისაჯნენ კიდეც. გარდა დასჯისა, მათ სხვა გუნდებს (მათ შორის საქართველოს ნაკრებსაც) დაანახეს, რომ გამბედაობისა და რიხიანი, ენერგიული თამაშის შემთხვევაში ქულის წამოღება ათენიდანაც შეიძლება, რაც წესითა და რიგით ურიგო ფსიქოლოგიური ფაქტორი არ უნდა იყოს. მომავალ მეტოქეთა ბუნებრივი რეაქცია ეს უნდა იყოს: თუკი სლოვენიამ ფრედ ითამაშა, მე რად ვერ უნდა მივაღწიო თუნდაც იმავეს?

სლოვენიამ კი მართლაც კარგად ითამაშა. მან მოწინააღმდეგეს თავიდანვე წაართვა მოედნის ცენტრი და უკვე მე-19 წუთზე ანგარიში გახსნა: მილან ოსტერჩის პასით ზლადკო ზაჰოვიჩმა, რომელიც ბერძენ მცველებს უმეთვალყურეოდ ჰყავდათ დარჩენილი, დაახლოებით რვა მეტრიდან ბურთი მოწინააღმდეგის კარში შეაგდო.


REUTERS ათენიდან
ბერძენი დიმიტრიოს მარკოსი სლოვენი მილანიჩის (4), გალიჩის (№5) და კნავსის (№6) გარემოცვაში

შესვენებამდე სლოვენებმა განაგრძეს ბურთისა და მდგომარეობის კონტროლი. მათ ორიოდ ჩინებული მომენტიც გაუშვეს ხელიდან. საგულისხმოა, რომ ამ ეპიზოდებშიც ზემოხსენებულმა მილან ოსტერჩმა იაქტიურა.

მეორე ნახევარში მასპინძლები გონს მოეგნენ. ვასილის ცარტასის ნაცვლად მოედანზე შესულმა კოსტას ფრანცესკოსმა საგანგებო როლი ითამაშა თამაშის გადასხვაფერებაში. 55-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დიმიტრის მარკოსმა მოიპოვა, მას საჯარიმო მოედანში ერთბაშად ორმა სლოვენმა მცველმა გადაუღობა გზა აკრძალული ილეთით. პენალტი ნიკოს მახლასმა შეასრულა. ეს მისთვის მე-12 სანაკრებო გოლი გახლდათ.

ანგარიშის გათანაბრებით აღტყინებულმა მასპინძლებმა სამი წუთის შემდეგ ერთხელაც დალაშქრეს სტუმართა კარი. დაახლოებით 25 მეტრიდან ეს საჯარიმოთა ოსტატმა ფრანცესკოსმა შეძლო.

ერთი ხნის შემდეგ მახლასს ცოტა დააკლდა 3:1-მდე. 30-მეტრიან გარღვევას დარტყმა კი მოჰყვა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა.

ფეხბურთში ხშირად ხდება, თუ ერთ კარში კარგი მომენტი გაცუდდა, საპირისპიროში გოლი გადის. ასე იყო ბერძენთა და სლოვენთა შეხვედრაშიც: მახლასმა ძელს გაარტყა, ზაჰოვიჩმა კი მარიან პავლინის ჩინებული გადაცემით ბურთი მასპინძელთა მეკარეს ილიას ატმაციდისს ოსტატურად და ზუსტად გადაავლო თავზე.

საბერძნეთის ნაკრებში საგანგებოდ გამოყოფის ღირსნი იყვნენ მარკოსი, მახლასი და ფრანცესკოსი, სლოვენთა გუნდმა კი უფრო ერთსულოვანი თამაშით მოახდინა შთაბეჭდილება, თუმცა მაინც შეიძლება მცველ ალექსანდრ კნავსის, ნახევარმცველ ალეს ცეჰის და თავდამსხმელ ზაჰოვიჩის აღნიშვნა.

**მიხეილ სურგულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევი
5 სექტემბერი
„ოლიმპიისკი"
82 000 მაყურებელი

**უკრაინა 3:2 რუსეთი**

1:0 პოპოვი (14), 2:0 სკაჩენკო (24), 2:1 ვარლამოვი (67), 3:1 რებროვი (74პ), 3:2 ონოპკო (87)

უკრაინა: შოვკოვსკი, გუსინი, ვაშჩუკი, გოლოვკო, მიკიტინი, დმიტრულინი, კოვალიოვი (კრივენცოვი 87), სკაჩენკო (კალიტვინცევი 45), პოპოვი, შევჩენკო, რებროვი

რუსეთი: ხარინი, კოვტუნი, ჩუგაინოვი, მინკო, იანოვსკი, კანჩელსკისი (კარპინი 71), სემაკი (ჩერჩესოვი 73), ონოპკო, ალეინიჩევი (მოსტოვოი 64), ვარლამოვი, კოლივანოვი

გაძევება: ხარინი (73)

მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)

# რა უნდათ რუსებს?

## სამი ქუდა თუ ყირიმი, სევასტოპოლი...

**ირაკლი სირაძე კიევიდან**

კიევში ომი დასრულდა, დროებით მშვიდობამ დაისადგურა. მაინც როდემდე? ალბათ, მოსკოვის საპასუხო შეხვედრამდე, რადგან უკრაინის ნაკრების მატჩები სხვა მეტოქეებთან, ჩემი ღრმა რწმენით, თავისი დაძაბულობით ახლოსაც ვერ მოვა 5 სექტემბრის მატჩთან. ვერ მოვა ზღვარგადასული, ლამის ფსიქოზში გადაზრდილი დაძაბულობით, თორემ რუსებზე ნაკლები ფრანგები ნამდვილად არ არიან, სხვებიც გამოიღებენ ხელს და ალბათ, არც უკრაინელები დაძაბუნდებიან. ამის თქმის საფუძველს მათი მიზანმიმართული და თავგანწირული თამაში მაძლევს. ის თამაში, რომელმაც მასპინძლებს სტუმრები აძლევინა და მთელი უკრაინა უზომოდ გაახარა. მატჩის შემდეგ ჩემს მახლობლად მდგომმა მილიციელმა ჩაილაპარაკა, კიდევ კარგი, გავიმარჯვეთ, თორემ ესენი ისე იქცეოდნენ, ვინ იცის, რა მოხდებოდაო და თავი იმ სექტორისკენ გადაიქნია, რომელშიც რუსეთის ნაკრების გულშემატკივრები ისხდნენ, უფრო სწორად, იდგნენ. ისინი კი მართლაც ისე იქცეოდნენ, რომ... თუმცა ყველაფერზე თანმიმდევრობით.

რუსთა დელეგაცია კიევში 4 სექტემბერს ჩამოვიდა. ამავე დღეს ეწვია კიევს გულშემატკივართა უმეტესობაც. საღამოს კი პირველი „მიკრობრძოლა" გაიმართა, ერთმანეთს უკრაინისა და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებები წარუდგნენ. მოკლედ გეტყვით, რომ მასპინძლებმა აჯობეს რუსებს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს 1:0. სტუმრები აშკარად უფრო ათლეტურად გამოიყურებოდნენ და ამის ხარჯზე ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ. გაცილებით სწრაფმა და ტექნიკურმა უკრაინელებმა მალე იძალეს და უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ნახევარიც ვერ გამოიყენეს, თორემ ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა. აღტაცება გამოიწვია უკრაინელთა კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავის, დონეცკის „შახტიორში" მოთამაშე ვორობეის თამაშმა. მისი მოქმედება ტრიბუნებს აღაფრთოვანებდა, მეტოქეს კი აბნევდა. ამ შეხვედრაშივე გამოიკვეთა საგანგაშო ფაქტორები, რაც რუსეთის ნაკრების გულშემატკივართა აგრესიული ქცევით იყო გამოწვეული. სამართალდამცავები მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებულნი და შეძლეს კიდეც მიეღწიათ იმისთვის, რომ მცირე ინციდენტები სერიოზულ კონფლიქტში არ გადაზრდილიყო. მაგრამ ეს ყველაფერი თურმე ჟურნალი იყო, იმასთან შედარებით, რაც მეორე დღეს უნდა მომხდარიყო.

### მატჩამდე

თამაშამდელი ციებ-ცხელება ჯერ კიდევ დილის ათ საათზე დაიწყო. დილის თერთმეტზე ჩემი ბინის მახლობლად, სწორედ იქ, სადაც დიდი სამამულო ომის მუზეუმია, ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. გვარიანად შემთვრალმა (ნეტავ სად მოასწრეს?) ათიოდე რუსმა გულშემატკივარმა და კიეველმა ფანებმა, რომელთა შორის საკმაოდ მოწიფული ასაკისანიც იყვნენ, რაღაც ვერ გაიყვეს და ბევრი აღარ უფიქრიათ... კიევის მილიციამ, რომელიც იმ დღეს ქუჩებში სამოქალაქო პირებზე ნაკლები არ იყო, უმსგავსობა მალევე აღკვეთა, თუმცა ბრძოლის ველზე სისხლი მაინც დაიღვარა და რამდენი თავი თუ ცხვირი გასკდა, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. თითქოს სიგნალს ელოდნენო, ამის შემდეგ მსგავსი შეტაკებები არაერთხელ განმეორდა ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, ასე რომ, მილიციას საქმე ჯერ კიდევ მატჩამდე მოუმრავლდა. უკრაინის ტელეარხმა UT-მ ოპერატიულობა გამოიჩინა, ეს ეპიზოდები გადაიღო და დღის საინფორმაციო გამოშვებაში უჩვენა, თანაც ხალხი გააფრთხილა, „მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი ემოციათა გამოვლენისგან და არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს". არ ვიცი, იქნებ არც ღირდა ამის გაკეთება, რადგან ნანახმა ხალხზე უსიამო შთაბეჭდილება დატოვა და ისედაც დაგეშილი ხახოლები სულ მთლად აიჯაგრნენ.

საღამოს ხუთი საათისთვის 2,5-მილიონიანი კიევი აფუსფუსდა და აბობოქრდა. გეგონებოდათ, მთელი ქალაქი „ოლიმპიისკისკენ" მიეშურებაო. ქუჩებში უამრავი საყვირით, პლაკატითა და დროშით შეიარაღებული ხალხი გამოიფინა. სტადიონის მისადგომებთან ახლოს მისვლა თითქმის შეუძლებელი გახდა. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ სტადიონს და ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები დავიკავეთ. უკრაინელი კოლეგები პრესლოჟაში მეპატიჟებოდნენ, მაგრამ მადლობა გადავუხადე და ვიუარე, რადგან მაინც ხალხში, უბრალო გულშემატკივრებში მსურდა ყოფნა. შეხვედრის დაწყებამდე კარგა ხანი იყო დარჩენილი და ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს, თუ როგორ ცდილობდნენ საგანგებოდ ამ მატჩისთვის დროებით ზავდადებული რუსი გულშემატკივრები, ეჯობნათ ადგილობრივი ფანებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, კიევის ქუჩებში გამართულ რეპეტიციებს უკვალოდ არ ჩაევლო, თანაც რიცხვმრავლობამ თავისი გაიტანა და სულ მალე სტუმართა ხმა თითქმის არ ისმოდა.

გუნდების მოედანზე გამოსვლისთანავე პირთამდე სავსე „ოლიმპიისკიზე" გამაყრუებელი ყიჟინა ატყდა. შემდეგ აჟღერდა რუსეთის ეროვნული ჰიმნი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი უკვე საკმარისად იყო გაღიზიანებული, მაინც ყველა წამოდგა, თუმცა ალაგ-ალაგ სტვენა და არცთუ მეგობრული წამოძახილები ისმოდა. ამის შემდეგ, დაიწყო თუ არა უკრაინის ჰიმნი, რუსები უმალ დემონსტრაციულად დასხდნენ, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რაც სტადიონზე შეკრებილებმა მხოლოდ ჰიმნის დასრულების შემდეგ გამოხატეს. ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა, დადგა თამაშის დაწყების დრო და გერმანელი არბიტრის მარკუს მერკის სასტვენამდე ახალი ბრძოლა გაჩაღდა, ამჯერად საფეხბურთო მინდორზე.





ანდრეი კანჩელსკისმა (№8) ვერც ვლადიმირ მიკიტინს აჯობა და...

### მატჩი

უკრაინელთა სასტარტო შემადგენლობა რამდენადმე განსხვავდებოდა იმისგან, რომლითაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდნენ. იოჟეფ საბომ თავიდანვე, ცოტა არ იყოს, რისკიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მოედანზე სამი სუფთა თავდამსხმელი გამოუშვა: შევჩენკო, რებროვი და სკაჩენკო. თუმცა ეჭვი არ არის, ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იქნებოდა ვალერი ლობანოვსკისთან და როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ამ ვარიანტმა გაამართლა. შეხვედრა ძალიან დაძაბული გახლდათ, ბევრი იყო ძალისმიერი ორთაბრძოლები. უკრაინელთა უპირატესობა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გამოიკვეთა და ხარინის კართან მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტებმა იმრავლა. მე-14 წუთზე სტუმრებმა თავისი საჯარიმოს კუთხესთან დაარღვიეს თამაშის წესი. საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ ბურთი ოდნავ შეეხო სკაჩენკოს თავს და პოპოვს მიუვიდა, რომელმაც საკმაოდ ლამაზად, ვარდნაში დაარტყა და ანგარიში გახსნა. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე. ამას ვერც ენით იტყვი, ვერც კალმით აღწერ. რუსული სექტორები უმალ ჩაწყნარდა, ხოლო უკრაინელებმა „უკრაინა, უკრაინა" დასჭექეს. საერთოდ, ამ მატჩს ორ ნაწილად დავყოფდი: პირველ გატანილ გოლამდე და პირველი გატანილი გოლის შემდეგ. მე-14 წუთამდე გულშემატკივრები აშკარად ღელავდნენ, ხოლო პოპოვის ზუსტი დარტყმის შემდეგ ისინი დამშვიდდნენ და გამარჯვება ირწმუნეს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსები აქტიურობდნენ და ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, რისი შანსიც მათ ნამდვილად ჰქონდათ, წარმატებით ფრთაშესხმული მასპინძლები კვლავ წინ მიიწევდნენ და 24-ე წუთზე სკაჩენკო თავზე უგდებს ბურთს კარიდან გამოსულ ხარინს — 2:0. კიდევ ერთხელ იქუხა „ოლიმპიისკიმ" და კიდევ ერთხელ გაისმა „უკრაინა, უკრაინა". სწორედ ამ დროს მოხდა ერთობ უსიამოვნო ეპიზოდი. რუსების სექტორიდან პირველ იარუსზე ვიღაცამ ორი ცეცხლმოკიდებული მაშხალა ისროლა, რასაც, ღვთის მადლით, არავინ დაუზიანებია. სამაგიეროდ, საქმეში თქვენთვის უკვე ნაცნობი სპეცდანიშნულების რაზმი „ბერკუტი" ჩაერია, რომელიც რამდენიმე თავაშვებულს ხელკეტებით გაუმასპინძლდა, ხოლო შაშხანის მსროლელი უმალ წამოახტუნა და სტადიონიდან გაიყვანა, სად, ალბათ, თავადაც მიხვდებით. პირველი ნახევრის ბოლომდე განსაკუთრებით საინტერესო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ვიღაც-ვიღაცეებმა შავი დროშა აღმართეს, რომელზეც თავის ქალა და ორი გადაჯვარედინებული ძვალი იყო გამოსახული. შესვენების შემდეგ იოჟეფ საბომ თავდასხმა შეასუსტა და ნახევარდაცვა გააძლიერა, სკაჩენკოს ნაცვლად კალიტვინცევი გამოიყვანა. მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა უმნიშვნელო უპირატესობით დაიწყო. სიმართლე გითხრათ, ვერც კი ვხედავდი რეზერვს, რომლის ხარჯზე რუსები მატჩს გადაარჩენდნენ. მაგრამ, 68-ე წუთზე ვაშჩუკმა მოსტოვოი წააქცია, რომელიც სულ რამდენიმე წამის გასული იყო მოედანზე და დაინიშნა ჯარიმა. მოსტოვოიმ თავად ჩააწოდა, უკრაინელთა მცველები შეცდნენ, სრულიად მარტო დატოვეს ვარლამოვი და მან ზუსტი თავურით ერთ ბურთამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ამ დროს სტადიონი გაირინდა. რუსი ფანები კი გამხიარულდნენ, მაგრამ მატჩის შედეგში ჩემს ირგვლივ მსხდომთაგან არავინ დაეჭვებულა და გაშვებული ბურთის გამო ვაი—უშველებელი არავის გაუმართავს.

74-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოსთან ცდება კოვტუნი, რომელიც ცდილობდა, თავით გადაეწოდებინა ბურთი მეკარე ხარინისთვის. ამ შეცდომით ისარგებლა რებროვმა, დაეუფლა ბურთს, შეიჭრა საჯარიმოში და... იგი ხარინმა მოცელა. რუსეთის ნაკრების კარში ინიშნება თერთმეტმეტრიანი, ხოლო ხარინი წითელ ბარათს იღებს და მოედანს ტოვებს. მოედანზე შემოსული ჩერჩესოვი უძლურია რამე გააწყოს რებროვის დარტყმასთან — 3:1.

რუსეთის ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის უმცირესობაშიც კი თავგამოდებით აგრძელებს ბრძოლას და 87-ე წუთზე ონოპკო კიდევ ერთხელ ახერხებს სხვაობის შემცირებას. ამ დროს სტადიონზე კვლავ ენით აუწერელი ღრიანცელი ატყდა. ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია არა იმდენად გატანილმა გოლმა, არამედ იმან, რომ ეს ყოფილმა უკრაინელმა, ვიქტორ ონოპკომ გააკეთა. საერთოდაც, როცა ბურთს ონოპკო ან კანჩელსკისი ეუფლებოდნენ, ხალხი მაშინვე სტვენას იწყებდა, რადგან მათ უკრაინაში კლავინდებურად მოღალატეებად თვლიან. ონოპკოს გოლი ბოლო აღმოჩნდა ამ შეხვედრაში და საბოლოოდ უკრაინამ 3:2 გაიმარჯვა მეტად დაძაბულ ბრძოლაში.

### მატჩის შემდეგ

დასრულდა თუ არა შეხვედრა, ფეხბურთელებმა მაისურები გაცვალეს და გასახდელს მიაშურეს. ბუნებრივია, უკრაინელებმა — ზარ-ზეიმით, რუსებმა კი ნაღვლიანად. ამ დროს რუსულ სექტორებს მილიცია შემოერტყა და ადგილებზე დარჩენა მოსთხოვა.

სამართალდამცავნი შიშობდნენ, რომ მთელი ორი დღის განმავლობაში დაგროვილი ჯავრი კიეველ ფანებს რუსებზე არ ამოეყარათ. თუმცა ამ სახალხო ზეიმის დროს მათთვის ვითომ ვინმე მოიცლიდა? ჩემმა კიეველმა კოლეგამ კონსტანტინე პოტაპენკომ მოახერხა რუს გულშემატკივრებთან მიახლოვება და რამდენიმეს გამოელაპარაკა კიდეც. როდესაც ვკითხე, რა გითხრეს-მეთქი, მხრები აიჩეჩა:

— ვერაფერი გამიგია, რა უნდა ამ ხალხს. მითხრეს, ჩვენ ფეხბურთი სულ ფეხებზე გვკიდია, აქ საჩხუბრად ჩამოვედით, მაგრამ რახან გეშინიათ და მილიციის ზურგს ეფარებით, სამაგიეროს მოსკოვში გადაგიხდით. ხომ ჩამოხვალთ და, მაშინ კი ნამდვილად დაგმარხავთო.

ამ დროს რუსული სექტორებიდან ხმამაღალი შეძახილები გაისმა. „ყირიმი ჩვენია, სევასტოპოლი ჩვენია" — ყვიროდნენ ფანები, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება აღარავის მიუქცევია.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ორივე გუნდის ფეხბურთელებთან მოვახერხეთ გასაუბრება. ანდრეი შევჩენკომ აღნიშნა, რომ პირველ ტაიმში შექმნილი ორი საგოლე მომენტიდან ორივეს რეალიზაციამ ძალიან შეუწყო ხელი ჩვენს წარმატებასო. ეს აზრი გაიზიარა რებროვმაც, თუმცა დასძინა, როგორც არ უნდა ყოფილიყო საქმე, მაინც გავიმარჯვებდითო. მეკარე შოვკოვსკის აზრით, ეს წარმატება ძალიან ფასეული იყო და ორი აზრი არ არის, რომ მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა უკრაინის ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსები.

რუსთაგან ლაპარაკის ხასიათზე ცოტანი თუ იყვნენ. ხარინმა თავისი გაძევება უსამართლოდ მიიჩნია, ხოლო ვარლამოვი იმან აღაშფოთა, უკრაინული მილიცია ჩვენ გულშემატკივრებს ცუდად ექცეოდა და გამუდმებული ზეწოლის ქვეშ ჰყავდაო.

პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელები, იოჟეფ საბო და ანატოლი ბიშოვვეცი გამოცხადდნენ. როგორც ეგების, თავდაპირველად სტუმართა მწვრთნელმა ილაპარაკა.

— ჩემი აზრით, შემადგენლობა, რომელიც დღეს გამოვიყვანეთ მინდორზე, კარგად იყო შერჩეული. ფეხბურთელებმაც, პრინციპში, არ ითამაშეს ურიგოდ, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდის შექმნა სულ ახალი დაწყებულით მაქვს, მეტის გაკეთება ძალიან ძნელი იყო. დაუმატეთ ამას საშინლად მიკერძოებული მსაჯობაც, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან ამისთვის მზად ვიყავი. მომავალში ჩვენი თამაშის ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

იოჟეფ საბო უფრო თავშეკავებული იყო.

— მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის და კარგად შეასრულეს ჩვენი მითითებები. არავინ იფიქროს, რომ ამ გამარჯვებით ეიფორიას მივეცემით. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას და კვლავაც სერიოზულად მოვეკიდებით საქმეს.

კიევი კი მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდა. ხალხს აღარ ახსოვდა ის პრობლემები, რომლითაც ყოველდღიურად არის გადატვირთული ამ მძიმე ცხოვრებაში, კიევის ქუჩებში კი მთელი ღამე გაისმოდა ამაყი სიმღერა „*Ще не вмерла Україна*"

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა" საგანგებოდ „სარბიელისთვის"**





...ვერც პირველი გოლის ავტორს სერგეი პოპოვს (მარჯვნივ)

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

# I ჯგუფი

## ბელარუსი 0:0 დანია

**ბელარუსი:** სასუნკევიჩი, იახიმოვიჩი, ოსტროვსკი, შტანიუკი, მიროსლავ რომაშჩენკო (გერაშჩენკო 39), გურენკო, ხაცკევიჩი, ბარანოვი, ბელკევიჩი, მაკოვსკი (მაქსიმ რომაშჩენკო 88), ლავრიკი
**დანია:** შმაიხელი, ტობიასენი, რიპერი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი, ტომსენი, ტომასონი (ფრედრიკსენი 81), იორგენსენი (გრევსენი 67), მიოლერი (ანდერსენი 67)

ახალგაზრდულები — 0:2

დაძაბულ, თუმც მხოლოდ შიგადაშიგ ფეთქებად მატჩს 35 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. მათგან ყველაზე ცნობილი მაინც მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო გახლდათ. ვერ გეტყვით, პრეზიდენტის სტადიონზე ყოფნამ აუძგერა გული ბელარუსებს, თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ სახელოვან მეტოქეს ტოლი არ დაუდეს, ძლიერად ეთამაშნენ და ქულა მოიპოვეს, მოწინააღმდეგეს კი დააკარგინეს.

მართალია, როცა ამბობენ, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლაო.

ჰაერში დენთის სუნი ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ტრიალებდა — მინსკელმა სამართალდამცავებმა ზომაზე მეტად შეზარხოშებული შვიდი სკანდინაველი ქომაგი დააკავეს, რომლებიც ქუჩებში უმისამართოდ, ამასთანავე გამომწვევად დაეხეტებოდნენ.

შეხვედრის დაწყებას ბელარუსების შტურმისმაგვარი თავდასხმა მოჰყვა, თუმცა დანიელებმა გამოცდილი შმაიხელის თავკაცობით მასპინძელთა ყველა მცდელობა ჩაფუშეს და თავად გადავიდნენ შეტევაზე. პირველ ნახევარში ერთი მომენტის, გარდა რეალური საგოლე თავდასხმა არ განხორციელებულა — 33-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველმა ვასილ ბარანოვმა მახვილი კუთხიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა, მაგრამ შმაიხელმა იყოჩაღა.

დაძაბულობა შესვენების შემდეგაც გაგრძელდა. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ბელარუსები მედგრად იდგნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტებმა კი წინ წაიწიეს — 53-ე წუთზე მარტინ იორგენსენი წინ გამოსულ ანდრეი სასუნკევიჩს კი გასცდა, მაგრამ ბურთი კარში ველარ გადაგზავნა.

## უელსი 0:2 იტალია

0:1 ფუზერი (19), 0:2 ვიერი (78)
**უელსი:** ჯონსი, რობინსონი, ბერნარდი, საიმონსი, უილიამსი, კოულმენი, ჯონსონი, სპიდი, გიგზი, ჰიუზი (სევიჯი 80), ბლეიკი (სონდერსი 65)
**იტალია:** პერუცი, პანუჩი, პესოტო, კანავარო, იულიანო, დინო ბაჯო, ფუზერი, ალბერტინი (დი ბიაჯო 66), დი ფრანჩესკო (სერენა 85), ვიერი, დელ პიერო (რობერტო ბაჯო 74)

ახალგაზრდულები — 1:2

— კმაყოფილი ვარ, უწინარეს ყოვლისა შედეგით. პირველ შეხვედრაში ჩვენთვის უმთავრესი გამარჯვება გახლდათ და მივაღწიეთ კიდეც ამას. მომავალ მატჩებში უკვე თამაშის ხარისხის გამოსწორებაზეც ვიზრუნებთ — გამარჯვების შემდეგ იტალიელთა ახალი მწვრთნელი დინო ძოფი, ცხადია, კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, სახელგანთქმული მეკარე მაინც შეფიქრიანებული იყო.

ლივერპულში იტალიელებმა უნაკლოდ მართლაც ვერ ითამაშეს (უელსმა აპენინელებს ინგლისში უმასპინძლა, რადგან კარდიფის „არმზ პარკი" 1999 წლის რაგბის მსოფლიო თასის სამასპინძლოდ რემონტდება). მათ თამაშში ხარვეზები შეიმჩნეოდა, თუმც, როგორც გამოჩნდა, ნაკლოვანებები იმდენად სერიოზული არ ყოფილა, გამარჯვებაში ხელი შეეშალა.

და მაინც, პირველი საგოლე მომენტი სწორედ ანჯელო პერუცის კართან შეიქმნა. ნათან ბლეიკმა მეურვეს დაასწრო, ბურთთან პირველი გაჩნდა, თუმცა ტურინელმა მეკარემ იმარჯვა.

მალე ანგარიშიც გაიხსნა — იტალიელებმა მეთოდურად განახორციელეს პრესინგი რამაც უელსელები დააბნია, კრის კოულმენმა კი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, იქვე მყოფმა დიეგო ფუზერმა ბურთი მოიხელთა და მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში გადაგზავნა — 0:1.

მასპინძლები ცდილობდნენ თამაშში გარდატეხა შეეტანათ, რამდენჯერმე შეტევაც განახორციელეს, მაგრამ გოლი არა და არ გავიდა. უელსელთა ლიდერი რაიან გიგზი ძალიანაც აქტიურობდა, მაგრამ რად გინდა? მხარი არავინ აუბა, მარტოხელას კი იტალიელებთან ბრძოლა უჭირდა. ბობი გოულდის ბიჭებს გაყაიმების რეალური შესაძლებლობა შესვენებამდე სამიოდ წუთით ადრე მიეცათ, როცა იულიანომ მეტოქე საჯარიმოს მისადგომებთან დასცა. გიგზის ჯარიმა, თანაც საკმაოდ მზაკვრული, ხარიხამ მოიგერია.

ანგარიში შეხვედრის დასასრულამდე 13 წუთით ადრე შეიცვალა — იტალიელებმა ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს, დი ფრანჩესკომ ფლანგზე ჩამოიშორა ორი უელსელი, მერე შეცვლაზე შესული რობერტო ბაჯო მონახა, მან კი მახვილგონივრული პასით კიდევ ერთხელ დააბნია მეტოქეთა უკანახაზელები, შემცბარი უელსელების დასჯა კი კრისტიან ვიერის არ გასჭირვებია — 0:2.

სხვათა შორის პრესკონფერენციაზე დინო ძოფს რომ ჰკითხეს, დელ პიერო რობერტო ბაჯოს რატომ ანაცვალეო, „სკუადრა ადურას" თავკაცმა მიუგო, ეს არჩევანი ფეხბურთელთა თანდასწრებით მოხდაო, თუმცა ძოფმა იქვე დასძინა, გეთანხმებით, რომ რობერტოს გამოჩენით ჩვენმა თამაშმა მეტი სანახაობრივი დატვირთვა ჰპოვაო.

...შეხვედრის წინა დღით, სატელევიზიო ინტერვიუს დროს უელსის ნაკრების ნახევარმცველმა რობი სევიჯმა იტალიელთა კაპიტნის პაოლო მალდინის მაისური მოისროლა, რის გამოც ნაკრების მწვრთნელმა ბობი გოულდმა იგი გუნდიდან დაითხოვა. მოგვიანებით სევიჯმა მალდინისაც მოუხადა ბოდიში და გუნდსაც, ნაკრებშიც დააბრუნეს, თუმცა ძირითადში ადგილი გამო დაკარგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — იტალია — შვეიცარია, დანია — უელსი*

# III ჯგუფი

## თურქეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია

1:0 დერელიოღლუ (19), 2:0 ჰავუცუ (49პ), 3:0 დერელიოღლუ (58)
**თურქეთი:** რეკბერი, ქორქმაზი, აკბასი, ჰავუცუ, ოზალანი, ერქანი, ბურუკი (ერდემი 57), ქერიმოღლუ (ჩეტინი 74), ჰაქანი, იალჩინი, დერელიოღლუ (ჰამი 78)
**ჩრდ. ირლანდია:** ფეტისი, აარონ ჰიუზი, როულენდი, მულრინი, ჰილი, მოროუ, გილესპი (უიტლი 73), ლენონი, დოუი, მაიკლ ჰიუზი, ჰორლოკი

ახალგაზრდები — 2:0

როგორც ყოველთვის, შინ თამაშისას, თურქებმა ამჯერადაც გააფთრებული შეტევებით დაიწყეს მატჩი, რომელიც გულშემატკივართა მგზნებარე ტაშით დასრულდა. სიხარულის საბაბი კი თურქ ქომაგებს ნამდვილად ჰქონდათ — მასპინძლებმა საკმაოდ მაღალ დონეზე იბურთავეს და რომ არა ბრიტანელთა მეკარე ფეტისი, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა.

თურქთაგან იმ დღეს საუკეთესო დერელიოღლუ იყო, რომელმაც დუბლის შესრულება მოახერხა: „ეტყობა, ღმერთს სურს, რომ 2000 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზოთ და ყველანაირად გვეხმარება. დღეს მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ" — აღნიშნა მატჩის შემდეგ დერელიოღლუმ.

კმაყოფილებას ვერ მალავდა მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი, რომელმაც განსაკუთრებით ნახევარმცველ იალჩინის თამაში გამოჰყო და განაცხადა, არ შევმცდარვარ, ნაკრებში რომ დავაბრუნეო.

დასრულდა თუ არა შეხვედრა, სტამბულსა და დედაქალაქ ანკარაში ნამდვილი ზეიმი გაიმართა, გადაიკეტა ცენტრალური ქუჩები და მთელი ღამის განმავლობაში არ წყდებოდა ზეიმი. კარგი თამაშით აღფრთოვანებული თურქი ქომაგები უკვე გერმანიის დამარცხებასაც ითხოვდნენ. ამაზეა ნათქვამი — მადა ჭამაში მოდისო.

## ფინეთი 3:2 მოლდოვა

1:0 კოლკა (8), 1:1, 1:2 ოპრია (10, 11), 2:2 იოჰანსონი (44), ჰაატელაინენი (63)
**ფინეთი:** ნიემი, ჰიიპია, იოჰანსონი (სუმიალა 63), კაუტონენი, კოლკა (მალიო 72), ლიტმანენი, პაატელაინენი, ტუომელა, ტურპეინენი (რეინი 46), ვისი, ილონენი
**მოლდოვა:** კოშელევი, გაიდამაშჩუკი, სტროიენკო, რებეჯა (პუსკა 46), ოპრია, ეპურეანუ (სუხარევი 26), ტესტიმიციანუ, კურტიანუ, კლეშჩენკო, სიშინი, გუზუნი

ქართველთა ძველი, საკმაოდ უხერხული მეტოქე ჰელსინკში ფინეთის ეროვნულ გუნდს ეწვია და მიუხედავად კოლკას მიერ მე-8 წუთზე შეგდებული გოლისა, 3-4 წუთში დაწინაურდა კიდეც. მოლდოველთა წარმატებული სტარტის თავი და თავი იგორ ოპრია გახდა, რომელმაც ერთ წუთში ნიემის ორჯერ წაუხდინა გუნება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას ცივსისხლიანი ფინელები არ დაუბნევია, მათ მოახერხეს მობილიზება და პირველი ტაიმის მიწურულს გოლიც გაიტანეს. რაც შეეხება მატჩის მეორე ნახევარს, იგი მეტად დაძაბული და ამავდროულად უინტერესო გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — თურქეთი — გერმანია, ჩრდ. ირლანდია — ფინეთი*

# IV ჯგუფი

## ისლანდია 1:1 საფრანგეთი

1:0 დადასონი (33), 1:1 დიუგარი (36)
**ისლანდია:** ბირკირ კრისტინსონი, მარტინსონი, სიგურდსონი, ელგასონი, პრიდარსონი, რუნარ კრისტინსონი, კოლვიდსონი, სვერისონი, გუდიონსონი, გუნლაუგსონი (ტორდარსონი 70), დადასონი
**საფრანგეთი:** ბარტეზი, კარემბუ, ლებეფი, ტურამი, ლისარასუ, დეშამპი, ლასლანდი, ზიდანი, ჯორკაეფი, პირესი, დიუგარი (ანრი 67)

ახალგაზრდულები — 0:2

— კარიდან უსწრაფესად გამოვედი და ის-ის იყო, ბურთი ხელთ უნდა მეგდო, რომ ვიღაცამ მიბიძგა. წონასწორობა დავკარგე და მინდორზე დავეცი. ამ დროს კი გოლი გასულიყო — მსოფლიოს ჩემპიონმა ფაბიენ ბარტეზმა ამდაგვარად აღწერა მომენტი, როცა გოლი გაუშვა. „ბოროტმოქმედი", რომელმაც ბარტეზს უბიძგა, სტავანგერის „ვიკინგის" თავდამსხმელი რიკარდურ დადასონი ყოფილა.

მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ფრანგთა ნაკრები ვერ იქნა და ვერ დალაგდა. ჯერ იყო და აგვისტოში ავსტრიელებთან ბოლო წუთებში დააღწიეს მარცხს თავი, ახლაც მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქედ, ცოტა არ იყოს, საფეხბურთო თვალსაზრისით პერიფერიული ისლანდია ჰყავდათ.

— ჩვენთვის მთავარი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის დაძლევაა. ნაკრების ბევრი მოთამაშე ჯერაც ვერ გამოსულა მსოფლიოს ჩემპიონობისგან გამოწვეული ექსტაზისგან, ეს კი, ცხადია, ცუდია. დასანანია ქულების დაკარგვა — კაპიტანი დიდიე დეშამპი ფრეს ჩაეფიქრებინა.

სულ რაღაც 10 ათასი ისლანდიელი ქომაგი ესწრებოდა შეხვედრას, მაგრამ ესეც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მასპინძლები მსოფლიოს ჩემპიონებს ტოლ-სწორად შეჭიდებოდნენ. ასე იცის საკუთარი ძალების ზედმეტმა რწმენამ — ფრანგებს ისლანდიელები იოლად დასაძლევ მეტოქედ მიაჩნდათ, შედეგად კი დასანანი ორი ქულა დაკარგეს.

დადასონის გოლი კრისტოფ დიუგარიმ მალევე გაქვითა — ზინედინ ზიდანის ჩინებული პასის შემდეგ რობერ პირესმა უძლიერესად დაარტყა, ძელიდან ასხლეტილ ბურთთან კი პირველი დიუგარი გაჩნდა. იმავე პირესს თავისიანების დაწინაურება სულ რაღაც ორიოდ წუთში შეეძლო, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებისას ვერ ივარგა.

„ბორდოს" თავდამსხმელმა ლილიან ლასლანდმა, ერთადერთმა არაჩემპიონმა ფრანგთა ნაკრებში, მეორე ტაიმის შუაგულში ერთი მეტად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა — წინგამოსულ ბირკირ კრისტინსონთან პირისპირ დარჩენილმა მეტოქისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოიწადინა, დარტყმა კი, მისდა სამწუხაროდ, ძლიერი გამოუვიდა.

— შედეგი, ცხადია, არასასურველია, მაგრამ ამით ქვეყანა რა დაქცეულა. ჩვენ, ისევე, როგორც ყველა ჩვენი ჯგუფელი, ვინარჩუნებთ საგზურის მოპოვების შანსს, ასე რომ, ისეთი ტრაგიკული სიტუაცია, როგორსაც ჟურნალისტები ხატავენ, სრულიადაც არაა. რა თქმა უნდა, შეგვეძლო უკეთესად გვეთამაშა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ შევძელით. მომავალ მატჩამდე პრობლემებს აღმოვფხვრით — სტუმართა თავკაცი ჟორჟ ლემერი არც ნერვიულობდა.

## სომხეთი 3:1 ანდორა

1:0 ავალიანი (40), 2:0 იესაიანი (71), 2:1 ლუსიენდო (86პ), 3:1 იესაიანი (90)
**სომხეთი:** ბერეზოვსკი, სუკიასიანი, არბაშიანი, ოგსეპიანი, ოგანესიანი (ხობოიანი 83), ვარდანიანი, სარქისიანი, არმენ ადამიანი (გასპეიანი 86), არტაშეს ადამიანი, შახგელმშიანი, ავალიანი (იესაიანი 69)
**ანდორა:** ალვარესი, რამირესი, ჩემა, ანხელ მარტინი, ლიმა, ესკურა, გარსია, სონეხი, სანჩესი, ლუსიენდო, რუისი

სამშობლოს 3000 კილომეტრით მოწყვეტილი ანდრელები ფრიად უსუსურად გამოიყურებოდნენ. როგორც ჩანს, ამ ქვეყნის სახით ევროპის საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი გამოუსწორებელი აუტსაიდერი შეემატა.

საათნახევრის მანძილზე ანდორელებმა ერთადერთხელ მოახერხეს სომხების საჯარიმოში შესვლა და [illegible] პენალტს გამოჰკრეს ხელი, თუმცა უკვე გვიან იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ისლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ანდორა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — ანდორა — უკრაინა, რუსეთი — საფრანგეთი, სომხეთი — ისლანდია*

# V ჯგუფი

## შვედეთი 2:1 ინგლისი

0:1 შირერი (2), 1:1 ანდრეას ანდერსონი (32), 2:1 მიოლბუ (33)
**შვედეთი:** ჰედმანი, ნილსონი, პატრიკ ანდერსონი, ბიორკლუნდი, კამარკი (ლუკიჩი 83), შვარცი, ანდრეას ანდერსონი (დანიელ ანდერსონი 90), მიოლბუ, ლიუნგბერგი, ლარსონი, პეტერსონი
**ინგლისი:** სიმენი, კემპბელი (მერსონი 74), ლე სო, ინსი, ადამსი, საუთგეიტი, ანდერტონი (ლი 42), რედნაპი, შირერი, ოუენი, სქოულზი (შერინგემი 87)

ახალგაზრდულები — 0:2

„დღევანდელი საღამო უბედნიერესია ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში. გულშემატკივრებიც ძლიერ დაგვეხმარნენ. მოკლედ, საოცრად გახარებული ვარ" — ეს სიტყვები შვედეთის ნაკრების მწვრთნელს, ტომი სოდერბერგს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ინგლისს უკვე 30(!) წელია შვედებისთვის არ მოუგია.

ჰოდლის ბიჭებისთვის ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. მატჩის დებიუტშივე, მე-2 წუთზე, ალან შირერმა, რომლის გადაბირებასაც თურმე „პარმა" ცდილობს და მზად არის, „ნიუკასლს" 23 მილიონი დოლარი გადაუხადოს, უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ინგლისელებს არც ამის შემდგომ უფიქრიათ დაცვაზე და საკმაოდ მწვავე შეტევებიც განახორციელეს, მაგრამ მაგნუს ჰედმანი კარს საიმედოდ იცავდა.

შეხვედრის 32-ე წუთზე კი მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა — ჯერ ანდრეას ანდერსონმა, ხოლო ზუსტად 60 წამში იოჰან მიოლბუმ ორჯერ ისარგებლეს სტუმართა დაცვის უხეში შეცდომით და 36 ათასი ქომაგი აღტაცებაში მოიყვანეს.

— ბიჭებმა მშვენიერი ფსიქოლოგიური მზადყოფნა გამოავლინეს. ასეთ ძლიერ მეტოქესთან 0:1-ს აგებდე და საბოლოოდ 2:1 მოიგო, მართლაც რთული ამოცანაა. ამიტომაც ჩვენი გამარჯვება ორმაგად დასაფასებელია" — აღნიშნა იმავე სოდერბერგმა მატჩის დასრულებისთანავე და დაამატა, განსაკუთრებით დაცვის მოთამაშეებმა გამახარეს, შირერ-ოუენის დუეტი ასე საიმედოდ რომ ამოკეტესო.

ინგლისელები კი, რომლებმაც მატჩი 10 ფეხბურთელით დაასრულეს (63-ე წუთზე ჰენრიკ ლარსონთან უხეში თამაშისთვის ინსმა მეორე ყვითელი მიიღო), დამწუხრებულნი, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად გამოიყურებოდნენ. თავის 44-ე მატჩში სანაკრებო 21-ე გოლის გამტანმა ალან შირერმა აღნიშნა: „ჩვენ იდეალურად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ დაცვაში დაუშვებელი შეცდომების გამო ორი საწყენი გოლი გავუშვით და შეიძლება ითქვას, რომ დავისაჯეთ. რაც შეეხება ბოლო წუთზე მასპინძელთა კარში არდანიშნულ თერთმეტმეტრიანს, ვფიქრობ, მსაჯი აშკარად შეცდა — ნაღდი პენალტი იყო".

ბოლო ხანებში სკანდალებში გახვეულმა ჰოდლმა კი ასეთი განცხადება გააკეთა: „მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ჩინებულად დავიწყეთ, ნაკრების რამდენიმე წევრმა იმედები გამიცრუა. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ".

და ბოლოს, მატჩის შემდეგ ინგლისელთა წაგებით განაწყენებულმა 3 ათასმა ფანმა პროტესტის ჩვეული ფორმა — არემარეს დარბევა კვლავ გამოიყენა, სტადიონის და მის ახლობლად მდებარე შენობების შუშები დალეწა და არც ადგილობრივ პოლიციასთან მუშტი-კრივზე თქვა უარი. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე მოწესრიგდა და გადარეული ბრიტანელებიც სამშობლოში გაემგზავრნენ.

## ბულგარეთი 0:3 პოლონეთი

0:1, 0:2 ჩერეშევსკი (19, 45), 0:3 ივანი (47)
**ბულგარეთი:** ზდრავკოვი, კიშიშევი, ზაგორჩიჩი (ივაილო პეტკოვი 50), მილენ პეტკოვი (ტრენდაფილოვი 46), იორდანოვი, გინჩევი, დონევი, სტოიჩკოვი, ბაჩევი, ბორიმიროვი (გრუევი 46), სირაკოვი
**პოლონეთი:** სიდორჟუკი, ბაკი, ლაპინსკი, სიადაჭკა, ზელინსკი, ჰაიტო (კლოსი 69), სვიერჩევსკი (მიჰალსკი 80), ივანი, ჩერეშევსკი, ბრჟეჩეკი, ტრჟეჩიაკი (იუსკოვიაკი 87)

ახალგაზრდულები — 2:2

მატჩის დასრულებისთანავე სტადიო-



შვედეთი — ინგლისი. შირერის ამ დარტყმას გოლი, მოგვიანებით კი ინგლისის დამარცხება მოყვა

REUTERS ფოტოქრონიკიდან

ნზე მყოფმა 20 ათასმა გულშემატკივარმა უცენზურო სიტყვების თანხლებით ხრისტო ბონევის გადაყენება მოითხოვა. მართლებიც იყვნენ, მასპინძლებმა ძალიან ცუდად ითამაშეს და არცთუ ძლიერ მეტოქეს ლაღად თამაშის საშუალება მისცეს.

ბონევმა ძირითადი აქცენტი ახალწვეულებზე გააკეთა და როგორც აღმოჩნდა, მწარედ შეცდა. მან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სხვა გზა ცადა, საშვილიშვილო სირცხვილი ჭამა — აი, რას ფიქრობენ პირინეის ნახევარკუნძულელები ამ მატჩის შემდეგ.

სტუმრები საშინლად გამოიყურებოდნენ. ვერა და ვერ ააწყო თამაში ფერნანდო იერომ, წინ ეულად გამწესებული ფერნანდო მორიენტესიც ვერ უმკლავდებოდა მასპინძელთა მცველებს, ნახევარდაცვის ხაზი ხომ საშინელება გახლდათ. ერთი სიტყვით, ესპანელებს ყველა უბედურება თავს დაატყდათ.



REUTERS ბეჟან...

უნგრეთი — პორტუგალია. ლუიშ ფიგუმ (№7) ჰალმაის აჯობა, სტუმრებმა მასპინძლებს

არ მქონდაო.

თავად შეხვედრაზე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სტუმრები ერთი თავით მაღლა იდგნენ მასპინძლებზე, დაცვაში მეტად ორგანიზებულად, უშეცდომოდ მოქმედებდნენ და უმწვავეს კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ლუქსემბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — პოლონეთი — ლუქსემბურგი, ინგლისი — ბულგარეთი*

## VI ჯგუფი

### კვიპროსი 3:2 ესპანეთი

კვიპროსი: პანაიოტუ, ენგომიტისი, პიტასი, იოანუ, მელანარკიტისი, გოგიჩი, სპოლიარიჩი, მალეკოსი (პანაიოტისი 55), ხრისტოდულუ, ხარალამბუსი, კოსტა

ესპანეთი: კანისარესი, სალგადო, ალკორტა, ნადალი, სერხი, იერო, ეჩებერია (ესკურო 60), რაული, მორიენტესი, ალფონსო (კიკო 38), ლუის ენრიკე

1:0 ენგომიტისი (44), 2:0 გოგიჩი (48), 2:1 რაული (72), 3:1 სპოლიარიჩი (77), 3:1 მორიენტესი (84)

ახალგაზრდულები — 1:3

როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს გამონაკლისი — ესპანეთი ამ ბოლო ხანებში მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში დაუმარცხებელი გახლდათ, თუმცა აგერ წაუგებელი სერია დაასრულა, თან ვისთან?! მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამარცხვინოდ გამოთიშვის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს, მაგრამ იგი არსადაც არ წასულა. ახლა იგივე თემაზე საუბარი კვლავ წამოტივტივდა, მაგრამ ჯერჯერობით ძვრები არ ჩანს.

— იქნებ შევცდი კიდეც, ხუთი მცველით რომ ვითამაშე. დიახ, ნამდვილად ასეა, რვა მცველით უნდა მეთამაშა. გადასარევი არც მასპინძლები იყვნენ, მაგრამ ჩვენ ტერიტორია დავუთმეთ, მათ კი ამით ისარგებლეს. დღეს ესპანეთი გუნდი არ იყო, ეს უფრო ეზოს ფეხბურთი გახლდათ — კლემენტე სევდანარევი იუმორით ცდილობდა კრიტიკოსების გაჩერებას, მაგრამ განა ასე ადვილია ხალხს კვიპროსთან მარცხის მიზეზები აუხსნა?

1998 წლის 5 სექტემბერს, კვიპროსში ესპანეთმა უდიდესი მარცხი განიცადა.

პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე პანაიოტის ენგომიტისმა და გეორგ ხრისტოდულუმ კარგად გაუგეს ერთმანეთს, საჯარიმოში შეჭრილმა პანაიოტისმა კი არ დაახანა და ანგარიში გახსნა. ამაზე მნიშვნელოვანი გოლი კარიერაში არ გამიტანიაო, იტყვის იგი მატჩის შემდგომ.

მეორედ ვალენსიელი სანტიაგო კანისარესის კარის ბადე შესვენებისშემდგომ, მესამე წუთზე შეირხა — ლიმასოლის „აპოლონის" ნახევარმცველმა მილენკო სპოლიარიჩმა სინიშა გოგიჩი ესპანელთა კარის დარაჯთან პირისპირ დატოვა და მანაც იყოჩაღა — 2:0.

არათუ მარცხის, ესპანელები განადგურების საშიშროების წინაშე დადგნენ. კლემენტემაც ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა, მორიენტესს რაული მიაშველა, ფლანგიდან ლუის ენრიკე დაახმარა, ცენტრში კი კიკო. ცვლილებამ შედეგი გამოიღო, მასპინძლებმა ხუთწუთიან თავდასხმებს ვერ გაუძლეს და კიკოს პასით რაულმა ერთი ბურთი გაქვითა. „იქვე გათანაბრებაც შემეძლო, მაგრამ სახეირო პოზიციაში მყოფს ბოლო მომენტში ფეხი დამიცურდა. დარტყმაც არ გამომივიდა" — რაულმა სწორედ ის მომენტი გაიხსენა 1:2-ზე რომ მიეცა.

77-ე წუთზე ანგარიში 3:1 გახდა, გამარჯვებულის ბედიც აქ გაირკვა — საგოლე პასის ავტორმა სპოლიარიჩმა შეძლო იეროს მარწუხებიდან თავის დაღწევა და ესპანელზე ადრე შეხვდა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს. წამის შემდეგ 3:1 გახდა. ბოლოს კი მორიენტესმა თავისი მაინც გაიტანა და 3:1 გახადა.

— ვგრძნობდი, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ თუ წავაგებდით ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. სამარცხვინო რამ დაგვემართა, მაგრამ ახლა იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, როგორ დავსაჯოთ კლემენტე, არამედ მთელი ყურადღება შემდეგი თამაშისთვის საფუძვლიანად მომზადებაზე უნდა გადავიტანოთ — ხავიერ კლემენტეს ხასიათი წახდომოდა.

### ავსტრია 1:1 ისრაელი

ავსტრია: ვოლფარტი, ფაიერზინგერი, შოტელი (ჰიდენი 72), პფეფერი, ჩერნი (შტოიგერი 74), კუხბაუერი, მაელიხი, რაინმაიერი, ამერჰაუზერი, ვასტიჩი, ჰაასი (მაეილიჰი 71)

ისრაელი: კოენი, ბენ სიმონი, ალინ ჰარაზი, შელაჰი (ნიმნი 46), ამსალემი, აბუკასისი (მიზრაჰი 46), ბერკოვიჩი, რევივო, ბანადო, რონენ ჰარაზი (გრაიბი 61), ბადერი

1:0 რაინმაიერი (7), 1:1 ნიმნი (68პ)

ახალგაზრდულები — 0:1

— ვიფიქრე, რომ კაცნაკლულებს პროხაზკა შეგვიტევდა, მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, შევცდი. არ მეგონა, მეტოქე დაცვით ტაქტიკას თუ არ უღალატებდა. დღესდღეობით ჩვენ რეალური შანსი გვაქვს, დავეუფლოთ ევრო-2000 საგზურს. შედეგით ნამდვილად კმაყოფილი ვარ — ისრაელის ნაკრების მწვრთნელი შლომო შარფი გახარებული ჩანდა, ან კი რატომ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო, როცა მისმა გუნდმა მაშინ გააყაიმა, როცა 10 ფეხბურთელით თამაშობდა.

ვენაში ძალიან წვიმდა. აწვიმდა „ერნსტ ჰაპელის" სახელობის სტადიონსაც, სარბიელს, სადაც ეს მატჩი მიმდინარეობდა. გაავებული ბუნება ხელს უშლიდა ფეხბურთელებს, მაგრამ კარგი ამინდიც რომ ყოფილიყო, შეხვედრა ლამაზი და საინტერესო ნამდვილად არ იქნებოდა.

შესარჩევი ტურნირის პირველ ტურში ამაზე უხეში და ამაზრზენი მატჩი, ვფიქრობთ, არსად გამართულა — ავსტრიელთა უხეშ ფეხბურთს ებრაელებმაც იგივე დაუპირისპირეს და უსახურობაც აქედან იშვა.

1:0-ის შემდეგ ავსტრიელებს ორადორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ. რაც შეეხება სტუმართა პენალტით გატანილ გოლს, მასპინძელთა მწვრთნელმა პროხაზკამ გამოგონილი უწოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ისრაელი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სან მარინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — კვიპროსი — ავსტრია, სან მარინო — ისრაელი*

## VII ჯგუფი

### სლოვაკეთი 3:0 აზერბაიჯანი

1:0 ფაბუსი (17), 2:0 დუბოვსკი (26პ), 3:0 მორავჩიკი (40)

სლოვაკეთი: ვენცელი, შპილარი, ვარგა, ტომაშეკი, კინდერი, ტიტელი, სოვიჩი, ფაბუსი (იანკულა 62), მაიოროში (იულიაკი 82), დუბოვსკი (ზვარა 62), მორავჩიკი

აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი, ჰაისუნოვი, ჯაბაროვი, ლიტეხკინი (რზაევი 66), აბუშოვი, ასადოვი, კასუმოვი (ჰუსეინოვი 79), ყურბანოვი, სულეიმანოვი (კოვლიევი 46), სირხაევი

ამაზე უკეთეს დასაწყისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მხოლოდ მეორედ მოასპარეზე სლოვაკები, ალბათ, ვერც ინატრებდნენ — მასპინძელთა უპირატესობა უდიდესი გახლდათ, საკუთარ კარს მიჯაჭვულმა აზერბაიჯანელებმა კი კარის მშრალად შენახვაც ვერ მოახერხეს, არადა, კრამარენკოს მხარდამხარ ლამის ათივე მოთამაშე იდგა.

ანგარიში მარტინ ფაბუსმა გახსნა მას შემდეგ, რაც ორ მეტოქეს გასცდა და მეკარესთან პირსიპირ დარჩა. ესპანური „ოვიედოს" თავდამსხმელმა პიოტრ დუბოვსკიმ მეკარის მიერ მაიოროშის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა, ანგარიში კი საჯარიმოში უმეთვალყუროდ მიტოვებულმა მორავჩიკმა გაასამა.

### უნგრეთი 1:3 პორტუგალია

1:0 ხორვატი (32), 1:1, 1:2 სა პინტუ (56, 76), 1:3 რუი კოშტა (84)

უნგრეთი: კირალი, ფეჰერი (კორსოში 78), ლაკოში, ჰრუტკა, მატიუში, ლისტეში (დარდაი 46), ჰალმაი, ილეში, ტომბი (კოვაჩი 78), ხორვატი, ჰამარი

პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიო, დიმაში, ჟორჟე კოშტა, მადეირა, ბენტო, ფიგუ, ჟოაო პინტუ, სა პინტუ, რუი კოშტა, სანტუში

მარტში უნგრელებს ბერტალან ბიცკეი ჩაუდგა სათავეში და მას შემდეგ გუნდს არ წაეგო, თუმცა ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა სა პინტუმ მასპინძელთა დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა — თავდამსხმელმა „დუბლი" შეასრულა.

პორტუგალიელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე სტუმართა მწვრთნელმა უმბერტო კოელიომ ისიც კი განაცხადა, მაშინაც კი, როცა გოლი გაგვიტანეს, იოტისოდენაც არ მინერვიულიაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — პორტუგალია — რუმინეთი, ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი, აზერბაიჯანი — უნგრეთი*

## VIII ჯგუფი

### ირლანდია 2:0 ხორვატია

1:0 ირვინი (43), 2:0 როი კინი (19)

ირლანდია: გივენი, ირვინი, სტონტონი, ბები, კანინგემი, როი კინი, მაკატირი, კინსელა, ონილი (კასკარინო 8), რობი კინი (კერსლი 63), დაფი (კენა 46)

ხორვატია: ლადიჩი, სიმიჩი, სტიმაჩი, ასანოვიჩი, მარიჩი, ბობანი, სტანიჩი, სოლდო (ტოკიჩი 77), იურჩიჩი, ტუდორი (კრპანი 65), იარნი

ახალგაზრდულები — 2:2

ირლანდიაში ჩასულმა ხორვატებმა ისე ითამაშეს, გეგონებოდათ, საფრანგეთი 98-ზე მესამე ადგილი დაიკავეს კი არა, საერთოდ არ უასპარეზიათო. თუმცა ისინი ამაში დამნაშავე ნაკლებად არიან, რადგან მასპინძლებს იმ დღეს მართლაც ყველაფერი გამოსდიოდათ და შეიძლება ითქვას, თავიანთ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

მიკ მაკართის მიერ საგრძნობლად გადახალისებულმა და გაახალგაზრდავებულმა გუნდმა შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. თავი „მანჩესტერ იუნაიტედის" წევრებმა დენის ირვინმა და როი კინმა გამოიჩინეს, პირველმა პენალტით, ხოლო მეორემ თავურით.

მიუხედავად კარგად დაწყებული მატჩისა, ჯიუტი და ემოციური ირლანდიელები მაინც გამალებით უტევდნენ და მსოფლიოს მესამე გუნდს სულ კუდით ქვა ასროლინეს, მაგრამ ბურთმა ლადიჩის კარში შეფრენა თუ შეგორება არაფრისდიდებით არ ინება — იგი ხან ძელს, ხან მეკარეს, ხანაც მცველებს ხვდებოდა. ყოველივე ამის შემხედვარე ხორვატები ისე დაიბნენ, რომ უხეშობა დაიწყეს და მატჩის პორტუგალიელმა არბიტრმა ვიტორ პერეირამ ბოლო 20 წუთში ორ მათგანს წითელი ფერის ბარათი უჩვენა — მოედნის დროზე ადრე დატოვება მარიო სტანიჩსა და იგორ პამიჩს მოუხდათ. ამასობაში მატჩიც დასრულდა, რამაც მასპინძლებზე უფრო, ვგონებ, თავგზააბნეული ხორვატები გაახარა.

### მაკედონია 4:0 მალტა

1:0, 2:0 ბოზინოვი (20, 48), 3:0, 4:0 საკირი (75, 80)



REUTERS სკოპიედან

მაკედონია — მალტა. მაკედონიელებმა (მუქ მაისურებში) ხტუნაობაში მალტელებიც აიყოლიეს

მაკედონია: მილოშევსკი, ლაზარევსკი, სტოიკოვსკი (გოზევი 80), სედლოკი, ნიკოლოვსკი (საინოვსკი 78), სტავრევსკი, სტოიანოვსკი (საკირი 70), მიჩევსკი, ბოზინოვი, ტრენევსკი, ზაჰარევსკი

მალტა: მუსკატი, საიდი, ჩეიკუტი, ოვერენდი, დებონო, კამილერი, ბუზუტილი, აგიუსი (სუდა 70), ტერნერი, ბრინკატი, ზაჰრა (კარაბოტი 78)

ახალგაზრდულები — 1:0

ალბათ, არავის ეგონა, გერმანელებთან მშვენივრად მოთამაშე (თუ უკეთესად არა) მალტელები იუგოსლავიის ერთ-ერთ ნატეხთან ასე სამარცხვინოდ თუ წააგებდნენ, მაგრამ ფეხბურთის ამბავი ხომ იცით, წინასწარ ვერაფერს გათვლი. მოკლედ, მაკედონიელებმა მალტის ეროვნულ გუნდს უმასპინძლეს და 5000 ქომაგის თვალწინ გაანადგურეს. წყვილად გაიტანეს რისტო ბოზინოვმა და მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესულმა არტიმ საკირიმ. განსაკუთრებით ლამაზი მესამე გოლი გამოდგა, რომელიც საკირიმ მოედანზე გამოჩენიდან სამ წუთში შეაგდო — მან ბურთი ცენტრში მიიღო, თითქმის ნახევარი მალტის ნაკრები უკან მოიტოვა და პენალტის ნიშნულიდან უძლიერესი დარტყმით დალაქშრა მუსკატის კარი.

რაც შეეხებათ სტუმრებს, მათ ბოლო წუთებზე შეეძლოთ ანგარიშის შემცირება, მაგრამ დავიდ კარაბოტს იმ დღეს ნამდვილად არ უმართლებდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — მალტა — ხორვატია, იუგოსლავია — ირლანდია*

## IX ჯგუფი

### ფარერები 0:1 ჩეხეთი

0:1 შმიცერი (84)

ფარერები: მიკლესენი, იოჰანესენი, იენს კრისტიან ჰანსენი, ტორსტაინოსნი, ჰანს ფროი ჰანსენი, ჰენინგ იარნსკორი, ლიფტერი (მანი იარნსკორი 78), ჯულიან იონსონი, მორკერე, ტოდი იონსონი, პეტერსენი

ჩეხეთი: პოსტულკა, რადა, სუხოპარეკი, ნედვედი, ვოტავა, ჩიჟეკი (ბერგერი 55), ნემეცი, პობორსკი (სლონჩიკი 81), ლოკვენცი, შმიცერი, ბეიბლი (ლატალი 81)

უინტერესო მატჩის შესვენებისას ფინელი არბიტრი იუჰა ჰირვინიემი ერთი ხანობა მინდვრის ხარისხის გაუარესების გამო უარს ამბობდა მატჩის გაგრძელებაზე, თუმცა შემდეგ მოლბა.

75-ე წუთზე ერთი უცნაური რამ მოხდა — მასპინძლებმა მინდორზე დავარდნილი ჩეხი ფეხბურთელი რომ იხილეს, ბურთი მინდორს გარეთ გადააგდეს, სტუმრებმა კი, იმის ნაცვლად, რომ იგი ფარერელთათვის დაებრუნებინათ, მორიგი შეტევა განახორციელეს.

### ბოსნია 1:1 ესტონეთი

0:1 ჰიბიჩი (28 ს.კ.), 1:1 ბარბარესი (75)

ბოსნია: დედიჩი, კაპატანოვიჩი, მუჯა (საბიჩი 67), კონიჩი, ვარესანოვიჩი, ჰიბიჩი, კატანა (გუჩინი 60), ჰალილოვიჩი (ბოლიჩი 77), ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი, ბალიჩი

ესტონეთი: პოომი, სმირნოვი, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, ურმასი, ალონენი (მეეტი 83), ტერეხოვი, ოპარი, კრისტალი, რეიმი, ზელინსკი (ვილკმაე 83)

ახალგაზრდულები — 3:2

ეს მეტოქეთათვის შესარჩევ ტურნირში მეორე შეხვედრები გახლდათ — პირველად ორთავემ ფარერები დაიბრიყვეს, ახლა კი მშვიდობიანად დაშორდნენ. ესტონელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ დედიჩთან პირისპირ გასულმა რეიმომ ბურთი მარცხენა ძელს მოარტყა.

### ლიტვა 0:0 შოტლანდია

ლიტვა: სტაუჩე, სკერლა, შემბერასი, ჟუტაუტასი, ბალტუშნიკასი, ზვირგჟდაუსკასი, მიკულენასი (სლევკისი 90), შუგჟდა (ბუტრუსი 61), პრიკშაიტისი, სკარბალიუსი, იანკაუსკასი

შოტლანდია: ლეიტონი, ალიოტი, ბოიდი, კალდერვუდი (დევიდსონი 70), ჰენდრი, დეილი, გალაჰერი, ლამბერტი, მაკკოისტი (მაკკენი 82), ჯექსონი (ფერგიუსონი 56), კოლინზი

ახალგაზრდულები — 0:0

წინა დღით ახალგაზრდულების მეტად უინტერესო და უგოლო თამაშის მერე ლიტველი ქომაგები პირველი ნაკრების იმედად იყვნენ, მაგრამ ეროვნული გუნდების დაპირისპირებაც არანაკლებ უინტერესო გამოდგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლიტვა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

*უახლოესი მატჩები: 10 ოქტომბერი — ბოსნია — ჩეხეთი, შოტლანდია — ესტონეთი, ლიტვა — ფარერები*

## შვეიცარია

IX ტური

**სენტ გალენი 2:1 ლუცერნი**

1:0 ვურენსი (24), 1:1 კოუმანტარაკისი (47), 2:1 კონტინი (63)

**იანგ ბოისი 3:4 სერვეტი**

0:1 ვარელა (4), 1:1 სავუ (30), 2:1 ბეკიროვსკი (33), 2:2 ლონფანტი (51), 2:3 რეი (69), 3:3 გომესი (74), 3:4 რეი (88)

**გრასჰოპერი 1:1 ქსამაქსი**

1:0 ყაველაშვილი (74), 1:1 ნდიაე (81)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი (მაცარელი 86), ესპოზიტო, ფოგელი, ტარარახე (კომიზეტი 46), ნკუფო (ყაველაშვილი 46), დე ნაპოლი

შვეიცარიის ჩემპიონატის მეცხრე ტური უჩვეულოდ გაიწელა. იგი შაბათს დაიწყო და დღესღა დასრულდება „ლოზანა" — „ბაზელისა" და „სიონი" — „არაუს" მატჩებით.

„გრასჰოპერმა" ტურის შეხვედრა შაბათს ჩაატარა. „ჰარდტურმზე" ნოიშატილის „ქსამაქსი" მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში ფრეს დასჯერდა — 1:1. „კალიების" სასტარტო შემადგენლობაში ვერც ერთი ჩვენებური ვერ ვიხილეთ — ნემსაძე ნაკრებში იყო გამოძახებული, ხოლო ყაველაშვილი ფრინგერს სათადარიგოებში გაემწესებინა. შეხვედრა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. „ქსამაქსი" კი იშვიათი კონტრშეტევებით პასუხობდა. რაც ამ მატჩში „კალიებმა" სახიფათო მომენტები შექმნეს, ერთს კი არა, ბარე ორ მატჩსაც ეყოფოდა. მარტო ნკუფო ორჯერ დარჩა მეკარე კორმინბოფთან პირისპირ, მაგრამ ორჯერვე ქსამაქსელმა აჯობა. ცოტა ხანში ტარარახე აღმოჩნდა იგივე პოზიციაში, მაგრამ ვერც მან ივარგა, 44-ე წუთზე კი გრენის დარტყმული სტუმრებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მასპინძლებს პირველ ტაიმში კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ამაოდ, კორმინბოფი უშეცდომოდ იდგა. ამდენ შეტევას „ქსამაქსმა" ორადორი კონტრშეტევა დაუპირისპირა, მაგრამ კარს ცუბერბიულერიც საიმედოდ იცავდა.

მეორე ტაიმი „გრასჰოპერმა" ორი ცვლილებით დაიწყო. მოედანზე ყაველაშვილი და კომიზეტი გამოჩნდნენ, რომლებმაც „კალიების" შეტევებს სიმწვავე შემატეს. დე ნაპოლი ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ახლოდან დარტყმულები კორმინბოფმა მოიგერია. 66-ე წუთზე კი იგი ჰაასის წინააღმდეგ იგიც უძლური აღმოჩნდა, თუმცა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. 74-ეზე ყაველას და კომიზეტის შრომა დაუფასდათ — მათ მიერ გათამაშებულ კომბინაციას მიშას გოლი მოჰყვა, მიმდინარე ჩემპიონატში მეორე. „გრასჰოპერმა" უპირატესობა მხოლოდ შვიდი წუთი შეინარჩუნა. 81-ე წუთზე „ქსამაქსის" პირველივე კონტრშეტევა გოლით დასრულდა. ბოლო ცხრა წუთი ციურიხელები კი ცდილობდნენ დაწინაურებას, მაგრამ ამაოდ. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. თამაშის შემდეგ მასპინძელთა თავკაცი როლფ ფრინგერი ძლიერ აღელვებულიყო, ამდენი გამოუყენებელი მომენტი ჯერ არ მინახავს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო.

„კალიების" ვერმოგებით ისარგებლა „სერვეტმა" და ოთხ ქულამდე გაზარდა სხვაობა. გათამაშების ლიდერი მეცხრე ტურში აუტსაიდერ „იანგ ბოისს" სტუმრობდა და დრამატულ მატჩში 4:3 გაიმარჯვა. მეოთხე გოლი ჟენეველებმა 88-ე წუთზე გაიტანეს, ეს რეიმ შეძლო, რომელიც ცხრა გოლით ჩემპიონატის ბომბარდირიცაა. ბოლო ხუთ შეხვედრაში პირველი გამარჯვება მოიპოვა „სენტ გალენმა". მან შინ „ლუცერნი" დაამარცხა მინიმალური ანგარიშით — 2:1.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:14 | 20 |
| გრასჰოპერი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 16 |
| სენტ გალენი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:10 | 14 |
| ლოზანა | 8 | 3 | 5 | 0 | 14:11 | 14 |
| ბაზელი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:10 | 14 |
| ქსამაქსი | 9 | 2 | 6 | 1 | 8:7 | 10 |
| არაუ | 8 | 2 | 3 | 3 | 14:14 | 9 |
| ლუგანო | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| ციურიხი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:10 | 7 |
| სიონი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| ლუცერნი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:15 | 6 |
| იანგ ბოისი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:15 | 6 |

## იტალია

სერია B

I ტური

**ატალანტა 1:0 ჯენოა**

1:0 ძანინი (62)

**ბრეშა 3:0 ჩეზენა**

1:0 უბნერი (53), 2:0 მარინო (89), 3:0 უბნერი (90)

**კრემონეზე 3:2 ტორინო**

1:0 პიცი (8), 1:1 სკარკილი (9), 2:1 გალეტი (41), 3:1 პიცი (63), 3:2 ფერანტე (75პ)

**ლეჩე 1:0 რეჯინა**

1:0 მარ გიოტა (3)

**მონცა 0:0 ლუკეზე**

**ნაპოლი 1:2 კოზენცა**

1:0 ნილსენი (11), 1:1 რიჩიო (26), 1:2 ტატი (28)

**რავენა 3:0 ფ. ანდრია**

1:0 ბიცარი (16), 2:0 ბილიოტი (40), 3:0 სოტგია (80)

**ტერნანა 0:0 რეჯანა**

**ტრევიზო 1:0 კიევო**

1:0 დე პოლი (51)

**ვერონა 4:1 პესკარა**

1:0 კამარატა (21), 2:0 დე ვიტისი (45), 2:1 ესპოზიტო (46), 3:1 დე ვიტისი (66), 4:1 აგლიეტი (90)

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

II ტური

**ბარსელონა B 1:1 ატლეტიკო B**

0:1 ჩარკოსი (22), 1:1 სერხიო (75)

**ჰერკულესი 1:1 რაიო**

0:1 ლორენსი (19), 1:1 გომესი (56)

**ოსასუნა 1:1 ლოგრონიესი**

0:1 ტეხერა (37), 1:1 მარკოვიჩი (70)

**ორენსე 0:1 მალაგა**

0:1 რუანო (46)

**ლეგანესი 0:5 ნუმანსია**

0:1 ანხელი (49), 0:2, 0:3 ხავი მორენო (59, 61), 0:4 ანხელი (72პ), 0:5 მირანი (78)

**ეიბარი 2:1 სპორტინგი**

0:1 კამაჩო (5), 1:1 კორტინა (28), 2:1 ურუტია (86)

**ტოლედო 2:0 ლას პალმასი**

1:0 პედრო ალბერტო (51), 2:0 კინი (89)

**ალბასეტე 0:2 მალიორკა B**

0:1 ფერნანდო (1), 0:2 ტრისტანი (13)

**ბადახოსი 1:2 ლეიდა**

0:1, 0:2 ხოსემი (45პ, 62), 1:2 ლუის ფერნანდესი (88)

**უელვა 0:1 სევილია**

0:1 ხუან კარლოსი (89)

**მერიდა 0:1 კომპოსტელა**

0:1 სიონი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| მალიორკა B | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| სევილია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| მალაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ტოლედო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ჰერკულესი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლოგრონიესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კომპოსტელა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლას პალმასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლეგანესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| ლეიდა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| რაიო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ატლეტიკო B | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ოსასუნა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სპორტინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| უელვა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბარსელონა B | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ბადახოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მერიდა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ალბასეტე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ორენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |


**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე




„იუნაიტედის" ფანები ამ ათი წლის ბიჭუნას მალე მხარზე აიღუდგებიან და დიდი ბიზნესის წინააღმდეგ გაილაშქრებენ

REUTERS

# ის მალე დედამიწას იყიდის

ტაბლოიდი „სანი", რესპექტაბელური „ტაიმზი", უდიდესი სატელევიზიო კომპანია BSKYB... ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ, საგამომცემლო და სატელევიზიო საქმის სუპარმაგნატის რუპერტ მერდოკისაა.

ორგანიზაციას, რომელსაც „მერდოკ ნიუზ კორპორეიშნ ლტდ" ჰქვია, ახლა ბრიტანეთის უმდიდრესი, უძვირესი და უტიტულოვანესი საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედიც" მოუნდა.

„სანი" წერს, რომ მერდოკი „იუნაიტედში" 565 მილიონ გირვანქას (942 მილიონი დოლარი) იხდის, „ტაიმზის" ვერსიით კი ეს თანხა 575 მილიონია.

მოლაპარაკებების ამბავი „მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაადასტურა და BSKYB-მაც, თუმცა საკითხის უფრო მეტად გამომზეურებისგან ორივემ თავი შეიკავა.

ცნობებმა მერდოკის განზრახვის შესახებ მყისიერად იმოქმედა კლუბის აქციის ფასზე. „იუნაიტედი", რომელიც საფონდო ბირჟაზე 1991 წელს გავიდა, გუშინ დილით გაძვირდა — თითო აქციის ფასმა 35,2 პროცენტით ანუ 56 პენსით მოიმატა, მაგრამ შუადღისას იგი 215 პენსიდან 207-მდე დაეცა.

საბირჟო მღელვარება პრემიერლიგის სხვა კლუბებსაც გადაედოთ. „ტოტენჰემ ჰოტსპურის", „ლიდს იუნაიტედის", „ნიუკასლის", „ასტონ ვილას" და „ჩელსის" აქციებმა 12 პროცენტით მოიმატა. ის კი არა, საშუალოზე საშუალო „ლესტერ სიტიც" კი გამოეხმაურა მოვლენებს და 12,3 პროცენტით 36 პენსამდე ახტა.

ალიაქოთს ისიც ამძაფრებს, რომ „ფაინენშალ ტაიმზის" ცნობით მერდოკს დაუპირისპირდა არანაკლებ გავლენიანი კომპანია, დასვენება-გართობის ინდუსტრიის გიგანტი „ენიკი". „ენიკი" უკვე გახლავთ სამი ევროპული საფეხბურთო კლუბის მეპატრონე, რომელთაგან ერთ-ერთი „გლაზგო რეინჯერსია" (გლაზგოელთა 24 პროცენტს „ენიკი" ფლობს) როგორც ამბობენ, მას „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელში ჩასაგდებად მერდოკთან ჭიდილი აქვს წამოწყებული.

„ფაინენშალ ტაიმზის" განცხადებაზე „ენიკს" კომენტარი არ უთქვამს.

საქმეში ანალიტიკოსებიც ჩაერივნენ. მათი პროგნოზის თანახმად საგამომცემლო საქმის სხვა გიგანტები, მაგალითად, „გრანადა" ან „კარლტონი" აუცილებლად გამოიღებენ ხელს და „იუნაიტედის" თუ არა, სხვა ცნობილი საფეხბურთო კლუბების ყიდვას შეეცდებიან.

— „მანჩესტერ იუნაიტედი" მერდოკის გვირგვინში ბრილიანტივით ჩაჯდება, თუმცა დანამდვილებით ჯერ არაფრის თქმა შეიძლება — ამბობს ანალიტიკოსი ნაიჯელ ჰოვკინსი, საბროკერო კომპანიის „უილიამს დე ბროს" სპეციალისტი.

ჰოვკინსს მხედველობაში აქვს შესაძლო წინააღმდეგობა, რომელიც მერდოკს ბრიტანეთის მონოპოლიის კომისიისგან, სპორტის მინისტრ ბენქსისგან და გულშემატკივრებისგან ელის. საქმე ის გახლავთ, რომ თუ „მანჩესტერ იუნაიტედიც" იყიდა, ავსტრალიელი მერდოკი ინგლისურ ფეხბურთში საოცარ გავლენას მოიპოვებს. იგი გახდება კლუბების და ტელეტრანსლიაციების დომინანტი. მოგეხსენებათ, 1992-93 წლების შემდეგ BSKYB პრემიერლიგის თამაშების ტრანსლაციის უფლების ესქკულზიური მფლობელად იქცა. ამ საქმეში ორი წლის წინ მან 647 მილიონი გირვანქა გადაიხადა და შესაბამისი კონტრაქტი 2001 წლამდე გააფორმა.

„იუნაიტედიც" მდიდარია, ოღონდ საფეხბურთო კლუბის კვალობაზე. ყოველ შემთხვევაში, ფინანსური წლის ბოლოს პრემიერლიგაში ყველაზე დიდი მოგება, 27,6 მილიონი დოლარი, მას დარჩა, მაგრამ ფეხბურთი მაინც ფეხბურთია, ხალხის საყვარელი თამაში, სადაც უმთავრესი ბურთი, გოლი და ბრძოლაა, ბიზნეს-კომერცია კი მეორადი რამ გახლავთ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივართა დიდზე დიდმა ნაწილმა, როდესაც მერდოკის განზრახვის ამბავი შეიტყო, პროტესტი გამოთქვა, ჩვენი საყვარელი გუნდი ფეხბურთის უცოდინარ კაცს ხელში როგორ ჩავუგდოთო.

„იუნაიტედის" მხარდამჭერთა ასოციაციის პრესმდივანმა ენდი უოლშმა განაცხადა, რომ კლუბის თავმჯდომარემ მარტინ ედუარდსმა უკვე მიიღო ქომაგთა უამრავი წინადადება, ხალხი მას ფულის შეგროვებას ჰპირდება, ეუბნებიან, 30 მილიონს ჩვენ მოგცემთ შენი 14 პროცენტის გასამაგრებლადო.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: დიდი ბიზნესი თანამედროვე სპორტში ბევრ რამეს განაპირობებს და ამის ჩინებული მაგალითი ისევ და ისევ მერდოკია, რომელიც ბრიტანეთი რაა, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გადასწვდომია, სადაც ბეისბოლის კლუბს „ლოს ანჯელეს დოჯერსსა" და კალათბურთის „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" და „ნიუ იორკ ნიკსს" ფლობს.

**პაპუნა ძედია**

## ბელგია

IV ტური

**კორტრიკი 2:0 ოსტენდე**

1:0, 2:0 კეიტა (68, 83)

**გენკი 2:1 სტანდარდი**

1:0 ნსუმბა (14), 1:1 რემაკლე (23), 2:1 ორიგი (71)

სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ბილიჩი, რენიერი (გოლდფროიდი 77), რემაკლე, ტიისი, ერნსტი, მორნარი, დე კონდე (ჰელდერმანსი 77), ალიაი, ბლეი (ბისკონტი 66)

**ეკერენი 1:0 სტ. ტრუიდენი**

1:0 სონკი (4)

**გენტი 2:2 აალსტი**

0:1 კორემანი (1), 1:1 რუსელი (3), 2:1 დელორგე (8), 2:2 ტიბუტი (85)

**ბევერენი 1:2 ლოკერენი**

0:1 იანსენსი (22), 0:2 კოლერი (67), 1:2 დონტი (90)

**მუსკრონი 2:2 ჰარელბეკი**

1:0 ლავარე (13), 1:1 დე ტოლენერე (23), 1:2 ვისერი (29), 2:2 ბანი (90)

**ვესტერლო 6:0 ანდერლეხტი**

1:0 ბურგი (1), 2:0 იანსენი (12), 3:0 ტანსი (23), 4:0 მახელსი (55), 5:0, 6:0 ბრონო (62, 65)

**შარლერუა — ლიერსი**

**ბრიუგე — ლომელი**

23 სექტემბერს გაიმართება.

საოცარი ამბები ხდება საქვეყნოდ ცნობილი „ანდერლეხტის" თავს. ეროვნული პირველობის ოცდაოთხჯერ მომგებთ თითქოს საწყის სამ ტურში ნაჩვენები უსუსტესი თამაში არ ეყოფოდათ, მეოთხეშიც წააგეს და მეტრს რომ არ ვუსურვებ, ისეთ დღეში ჩავარდნენ.

თანაც, მარცხიც არის და მარცხიც. დედაქალაქელები უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებულმა „ვესტერლომ" 6:0 გაანადგურა და საშვილიშვილოდ შეარცხვინა. წაგებამ, რომელიც ერთ-ერთი უმძიმესი გახლდათ „ანდერლეხტის" ისტორიაში, უდიდესი პრობლემები შეუქმნა გუნდის მთავარ მწვრთნელ ჰოლანდიელ არი ჰაანს.

„კლუბის ფეხბურთელებიც და ხელმძღვანელებიც უაღრესად შერცხვენილი ვართ ჩვენი ერთგული მაყურებლის წინაშე. ახლა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ გაორმაგებული ენერგიით ვიბრძოლოთ და მომდევნო თამაშების მოგებით სიტუაცია როგორმე გამოვასწოროთ" — ყოველი მხრიდან დატეხილი რისხვის ოდნავ შემსუბუქება სცადა „ანდერლეხტის" პრეზიდენტმა როჯერ ვანდენმა.

თუმცა გაგულისებულ ფანებს არაფრის გაგონება არ სურთ. „გეყოფათ... საკმარისია... ასეთ დამცირებას ჩვენ ვერ ავიტანთ" — გაჰყვიროდა ქომაგთა მიერ მოწყობილ საპროტესტო შეკრებაზე მავანი გულშემატკივარი. „ჩვენ ვთვლით, რომ გუნდი აუცილებლად უნდა დატოვოს მთავრმა მწვრთნელმა. მას უკან კლუბის ხელმძღვანელობის ის წევრებიც უნდა მიჰყვნენ, ვინც „ანდერლეხტი" ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა" — მეგობარზე არანაკლებ აქტიურობდა მეორე.

მოკლედ, სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დაქვეითებულ „ანდერლეხტს" ბოიკოტი გამოუცხადეს და თუ ბრიუსელელებს შელახული ავტორიტეტის აღდგენა სურთ, მომდევნო ტურში უსიკვდილოდ უნდა მოუგონ შარშანდელ ჩემპიონ „ბრიუგეს". ეს კი უაღრესად ძნელი იქნება, რადგან ბრიუგელები, თავის მხრივ, მძიმედ განიცდიან იმ ფაქტს, რომ პირველობა საკმაოდ დამაჯერებლად „ლოკერენმა" იგდო ხელთ და ერთი სული აქვთ, როდის მოექცევიან ცხრილის სათავეში.

ჩვენებურებზე ამჯერად ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი. გელა შეყილაძის „ლიერსს" საერთოდ არ უთამაშია, ხოლო ლაშა ჯაკობიას „სტანდარდის" უფროსობამ თავის გამოჩენის შანსი არ მისცა და ქართველსაც „გენკთან" მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ყურყუტი.

**ლევან ფერაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:2 | 12 |
| ვესტერლო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| მუსკრონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ბრიუგე | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| გენკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| სტანდარდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ჰარელბეკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| გენტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ოსტენდე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| აალსტი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| სტ. ტრუიდენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ბევერენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ლიერსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 |
| ლომელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ეკერენი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |
| კორტრიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:10 | 2 |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

VI ტური

**ოქსფორდი 3:0 პორტსმუთი**

1:0 მარში (28), 2:0, 3:0 ვინდასი (34პ, 74)

**ბირმინგემი 1:0 ბერი**

1:0 ადებოლა (20)

**ჰადერსფილდი 1:0 შეფილდი**

1:0 ალისონი (88)

**სტოკპორტი 2:0 გრიმსბი**

1:0, 2:0 ეინჯელი (78, 90)

**სვინდონი 3:2 ბრისტოლი**

1:0 უოლტერსი (2პ), 2:0 ნდა (5), 3:0 ონუორა (8), 3:1 აკინბიი (62, 3:2 ბელი (75პ)

**ქუინზ პარკი — ბარნსლი**

**უოტფორდი — ნორვიჩი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| ვულვზი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| ბირმინგემი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| ბერი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:1 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ჰადერსფილდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ნორვიჩი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| სტოკპორტი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| უოტფორდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| გრიმსბი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| შეფილდი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:6 | 6 |
| იფსვიჩი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 6 |
| პორტსმუთი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| ქრიუ | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| ბარნსლი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| კრ. პალასი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ოქსფორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| სვინდონი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ბრედფორდი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ბრისტოლი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:13 | 3 |
| ქუინზ პარკი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| ტრანმერი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| პორტ ვეილი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

## ჰოლანდია

II ტური

**გრააფსხაპი 2:2 ვალვაიკი**

1:0 რელოფენი (9), 1:1 დე გრაფი (31), 2:1 ფუკსი (68), 2:2 ვან დერ ლეგტე (85)

III ტური

**სპარტა 1:1 როდა**

0:1 პიტერსი (29), 1:1 ტამერი (51)

# ყველაფერში დამნაშავე პრესაა

კრისტიან გროსი, 44 წლის შვეიცარიელი მწვრთნელი, რომელიც ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" სათავეში გასული წლის ნოემბერში დანიშნეს, უმუშევართა რიგებს მიემატა.

ლონდონის კლუბის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ გროსის მოვალეობას დროებით საფეხბურთო დირექტორად მომუშავე ყოფილი მწვრთნელი დევიდ პლიტი შეასრულებს. მას ასისტენტი კრის ჰაფტონი დაეხმარება.

„ეს საშუალებას მოგვცემს, დავფიქრდეთ და ახალი ხელმძღვანელი ნაჩქარევად არ მოვიწვიოთ" — წერია განცხადებაში.

„ტოტენჰემი" გასულ სეზონში ძლივს გადარჩა გავარდნას, ახალში კი პირველი ორი თამაშის წაგებამ „გრასჰოპერიდან" ინგლისში გადაყვანილი გროსის თავზე ავდრის ღრუბლები შეკრიბა. შეგახსენებთ, რომ 1997 წლის ნოემბერში გროსმა ჯერი ფრენსისი შეცვალა.

მართალია, წინა შაბათს „სპურზმა" „ევერტონს" 1:0 მოუგო, მაგრამ ამან ვერაფერს უშველა. ფანები აუმხედრდნენ მწვრთნელს და მის ტაქტიკას, რომელიც მისი სიტყვებით დისციპლინასა და მუხლჩაუხრელ შრომას ეფუძნებოდა.

არადა, „ტოტენჰემი" ინგლისში ტრადიციულ დიდ გუნდად ითვლება. იგი იმ ბრწყინვალე ხუთეულის წევრად აღიქმება, რომელშიც შედიან „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „ლივერპული" და „ევერტონი". თუმცა ახლა კლუბს კრიზისული დროება უდგას.

კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში „სპურზის" პრეზიდენტმა ალან შუგარმა აქციათა თავისი წილის გაყიდვის სურვილიც კი გამოთქვა.

გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა კრისტიან გროსის თანამდებობიდან გაშვება წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია და ეს გადაწყვეტილება შუგარს, რომელიც „ტოტენჰემს" 1991 წლიდან შეფობს, აქტივში ჩაუთვალა. ვნახოთ, რა მოხდება, ერთი კი ფაქტია: „სპურზმა" ბოლო ჯილდო, ფეხბურთის ასოციაციის თასი, 1991 წელს, ჯერ კიდევ შუგარის მისვლამდე მოიპოვა.

გროსმა ფრნესისისგან თანამდებობა რომ ჩაიბარა, კლუბი 20 გუნდიან პრემიერლიგაში მე-15 პოზიციაზე იყო. მას მერე დაიწყო ავარდნები და ჩაშვებები. იყო მომენტი, იანვარში, როდესაც „ტოტენჰემ ჰოტსპური" მე-19 ადგილზე გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონატი მე-14 გუნდად დაასრულა.

გროსმა ფეხბურთელებს შორის ავტორიტეტი ვერ მოიპოვა. მას ხშირად მოსდიოდა უსიამოვნებები ქვეშევრდომებთან, სეზონის ბოლოს კი „სპურზის" ყველაზე დიდ ვარსკვლავთან, გერმანელ იურგენ კლინსმანთან მომხდარი გაუგებრობის გამო თავდამსხმელმა ლონდონი დატოვა.

ზაფხულის მკრთალმა სატრანსფერო პოლიტიკამაც ითამაშა გროსის წინააღმდეგ თავისი როლი. მართალია, „ტოტენჰემი" თავიდან თითქოს ცნობილ მოთამაშეებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ საბოლოოდ და ისიც სულ ბოლოს, ერთადერთი შენაძენი გააკეთა — იტალიური „პერუჯას" მოთამაშე ვინმე პაოლო ტრამეცანი.

სულ გროსის ხელმძღვანელობით „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" 29 შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგან 10 მოიგო, 8 ფრედ ითამაშა, 11-ში კი მარცხი იწვნია.

დღეს შვეიცარიელის სავარაუდო შემცვლელად რამდენიმე ადამიანს ასახელებენ. მათ შორის არიან ინგლისის ნაკრების დღევანდელი თავკაცი გლენ ჰოდლი, ზემოხსენებული კლინსმანი და „უიმბლდონის" მწვრთნელი ჯო კინიარი, რომელიც თავის დროზე „სპურზში" თამაშობდა და დღემდე ჩრდილო ლონდონში, იმ უბანში ცხოვრობს, სადაც კლუბის სარბიელი „უაიტ ჰარტ ლეინია".

თანამდებობიდან გადაყენებამ კრისტიან გროსს ერთობ დაწყვიტა გული და მან პრესკონფერენცია მოიწვია, რომელსაც, სხვათა შორის, ალან შუგარიც ესწრებოდა.

— სამი თამაშის მერე რომ გიშვებენ, საწყენია. ვგონებ, სამი ტური ძალიან ცოტაა რაიმეს განსასჯელად, ამიტომაც ძალიან ნაწყენი დავრჩი, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ინგლისში ჩემი მუშაობა წარმატებული იყო. გასული წლის ნოემბერში კლუბში საშინელი სიტუაცია დამხვდა, ასე რომ, ლიგიდან რომ არ გავვარდით, ჩემს დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. დღეს გუნდი კარგ ფორმაშია და ამის დასტური ბოლო ტურში „ევერტონთან" გამარჯვებაც გახლავთ — განაცხადა გროსმა, რომელმაც უარყო, თითქოს ზოგი ფეხბურთელი მას პატივს არ სცემდა — არ ვიტყოდი, რომ მათ ჩემდამი ცუდი განწყობა ჰქონდათ, უბრალოდ, ახალი იდეები ყველამ ვერ გაიზიარა. მინდოდა, უდიდესი მოთამაშეები შემომეკრიბა, თუმცა საშუალებაც არ მომეცა. რაც შეეხება ჩვენს ირგვლივ ატეხილ აურზაურს, ამაში დამნაშავე პრესაა.

— კრისტიანის და ჩვენი ურთიერთობა (მიუხედავად იმისა, კარგი მწვრთნელია თუ ცუდი) პრესამ გააფუჭა — კვერი დაუკრა თავის გაძევებულ კაცს შუგარმა.

**პაპუნა ბედია**



REUTERS ლონდონიდან

კრისტიან გროსის იდეები „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ფეხბურთელებისთვის უცხო გამოდგა

# სარბიელი
# სპორტული ლატარია
# "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. III ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტმბერი | | | |
| დუისბურგი — მიუნხენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბოხუმი — ვერდერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — ფრაიბურგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მიონხენგლადბახი — აინტრახტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 9 სექტემბერი | | | |
| ნიურნბერგი — დორტმუნდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლევერკუზენი — ჰამბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰერტა — შალკე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბაიერნი — ჰანზა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.**

გამოტოვებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 სექტემბერი | | | |
| დიუსელდორფი — ბერლინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 10 სექტემბერი | | | |
| ჰანოვერი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ლიდსი — საუთჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| ნოტინგემი — ევერტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 9 სექტემბერი | | | |
| მანჩესტერი — ჩარლტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ასტონ ვილა — ნიუკასლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჩელსი — არსენალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დერბი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლესტერი — მიდლსბრო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ლივერპული — ქოვენთრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| ტოტენჰემი — ბლექბერნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბარნსლი — ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბირმინგემი — სტოკპორტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ბური — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქრიუ — კრისტალ პალასი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰადერსფილდი — უოტფორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იფსვიჩი — ბრედფორდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| პორტ ვეილი — ვულვერჰემპტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| შეფილდი — გრიმსბი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სანდერლენდი — ბრისტოლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| ვესტ ბრემვიჩი — ბოლტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქუინზ პარკი — ტრანმერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 9 სექტემბერი | | | |
| სვინდონი — ოქსფორდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**რუსეთის ჩემპიონატი. XXIV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 სექტემბერი | | | |
| როსტსელმაში — ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზენიტი — დინამო | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა | 1,7 | 3,5 | 3,6 |
| შინიკი — ალანია | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| როტორი — ურალანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ტორპედო — კრილია | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ცსკა — ბალტიკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| სპარტაკი — ტიუმენი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,2 | 4,7 | 6,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ფეიენოორდი — გრააფსხაპი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ვალვაიკი — ეინდჰოვენი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| ჰერენვენი — ტილბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 9 სექტემბერი | | | |
| მაასტრიხტი — უტრეხტი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ბრედა — ტვენტე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კამბური — ნაიმეგენი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| სიტარდი — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| აიაქსი — აზ 67 | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

**ბელგიის ჩემპიონატი. V ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 სექტემბერი | | | |
| ოსტენდე — შარლერუა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| სტანდარდი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,6 |
| გენტი — გენკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლომელი — ეკერენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ანდერლეხტი — ბრიუგე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ჰარელბეკი — ვესტერლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ლოკერენი — მუსკრონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლიერსი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აალსტი — სტ. ტრუიდენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**პოლონეთის ჩემპიონატი. VII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 სექტემბერი | | | |
| ლეგია — ვიძევი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბელხატოვი — კატოვიცე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვისლა — ამიცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რუხი — რაძიონკოვი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლკს — ლეხი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| გურნიკი — სტომილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პოგონი — ზაგლებე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ოდრა — პოლონია | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. VII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| აუსტრია — რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 9 სექტემბერი | | | |
| ლუსტენაუ — ზალცბურგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რიდი — გრაცერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შტაირი — ტიროლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შტურმი — ლინცერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. V ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| სიონი — არაუ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლოზანა — ბაზელი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**იტალიის თასი.** მეთექვსმეტედფინალის I მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ტორინო — მილანი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 9 სექტემბერი | | | |
| კალარი — ვენეცია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეჯინა — ბოლონია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სამპდორია — ვერონა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ეჩე — პიაჩენცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| პადოვა — ფიორენტინა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ატალანტა — ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კიევო — რომა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გუალდო — უდინეზე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბრეშა — ვიჩენცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პარმა — ჯენოა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ლუკეზე — ბარი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| ლაციო — კოზენცა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დი სანგრო — სალერნიტანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ინტერი — ჩერენა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 10 სექტემბერი | | | |
| რავენა — იუვენტუსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

საქართველოს 10 ჩემპიონატი

5 ტური — ანონსი

# დაამუხრუჭებს მატარებელი სამტრედიაში?

მეხუთე ტურის ცენტრალური შეხვედრა, რა თქმა უნდა, სამტრედიაში „იბერია“ — „ლოკომოტივს“ შორის გაიმართება. ასევე საინტერესო მატჩი გველის ხვალ, მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასა“ და „ტორპედოს“ მონაწილეობით. იმედია, სხვა თამაშებშიც უშეღავათო ბრძოლების მოწმენი გავხდებით. ჯერჯერობით ოთხივე დაუმარცხებელს, „დინამოს“, „დილას“, „ლოკომოტივსა“ და „ტორპედოს“, სტუმრად მოუწევს პრესტიჟის დაცვა. ვნახოთ, ვის რა ბედი მოუმზადა საფეხბურთო ფორტუნამ?

სამტრედია
8 სექტემბერი
17 საათი
ეროსი მანჯგალაძე
15 000

## იბერია — ლოკომოტივი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: გ. პეტრიაშვილი

დღეს სამტრედიაში ტურის ცენტრალური შეხვედრაა. იბერიელებმა მართლაც ბრწყინვალე სტარტი აიღეს და, როგორც იტყვიან, მადაც ჭამაში მოუვიდათ. ისინიც თამამად აცხადებენ თავიანთ საევროპო ამბიციებზე. რკინიგზელებმა კი ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე დაიქადნეს, პრიზიორობას ვაპირებთო და დანაპირების ასასრულებლად მეტად ძლიერი და მობილური გუნდით წარდგნენ მეათე ჩემპიონატში.

წინა ტურში „ლოკომოტივმა“ პირველ ადგილზე მყოფი „ვიტ ჯორჯია“ დაამარცხა, ხოლო იმერლებმა ლამაზი სიურპრიზი შემოგვთავაზეს და სტუმრად „არსენალთან“ 0:2-ზე ხუთი უპასუხო ბურთის გატანა მოახერხეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არმიელები 21-ე წუთიდან მოყოლებული ათი კაცით ებრძოდნენ მეტოქეს.

„იბერია“ მხოლოდ მეორე თამაშს ატარებს შინ და გულშემატკივართა დიდი რაოდენობის დასწრებაა მოსალოდნელი. საკითხავია, მოახერხებენ თუ არა რკინიგზელთა საკვანძო ქალაქში თავიანთი ქომაგების მხარდაჭერით გამხნევებული იბერიელები დაუმარცხებელი „ლოკომოტივის“ გაჩერებას?

გამოცდილი დარასელიას წინამძღოლობით მოთამაშე სამტრედიელთა ახალგაზრდულ გუნდს მეტად რთული და პრინციპული შეხვედრა ელის თემურ მახარაძის აწყობილ ანსამბლთან. გორელი ფეხბურთელებით გაძლიერებულმა რკინიგზელებმა ორ გასვლით მატჩში, ფოთსა და ბათუმში, მეტად ძლიერად იბურთავეს და უხერხულ მეტოქეებს თითო ქულა აართვეს.

ორივე გუნდს მობილური ნახევარდაცვა ჰყავს და უფრო თანაბარ ბრძოლას უნდა ველოდოთ. შედეგის ბედს კი უდავოდ მწვრთნელების მიერ არჩეული სწორი ტაქტიკა განსაზღვრავს და შეიძლება ერთმა დაშვებულმა შეცდომამაც კი გადაწყვიტოს მატჩის ბედი.



16 აგვისტოს სამტრედიაში „იბერიამ“ „ბათუმს“ რომ სძლია, მას შემდეგ საკუთარ მოედანზე დღემდე არ უბურთავია

რუსთავი
8 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
10 700

## გორდა — არსენალი

მსაჯები: ს. კახიანი, ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერების მატჩი დაძაბულ ორთაბრძოლას გვპირდება. მართალია, რუსთაველებს მეტოქეზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული, მაგრამ ეს შეხვედრა „გორდამ“ „დინამოსთან“ გამოტოვა და ყოველგვარი ლოგიკით მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როდის გაიმართება. არმიელებისგან განსხვავებით, მასპინძლებს ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა გააჩნიათ, წინა ტურში ხომ მეტალურგებმა ქულა მოიპოვეს „სინათლეზე“, აი, „არსენალმა“ კი შინ „იბერიასთან“ სამარცხვინო მარცხი განიცადა. არადა ისინი 2:0-ს იგებდნენ. თუმცა ამ შეხვედრაში მასპინძლები გველესიანმა დაალალატა. მისი გაძევება არმიელებს ხუთი ბურთის გაშვების ფასად დაუჯდათ, იგი ვერც რუსთავში ითამაშებს. ასე რომ არ გაგიკვირდეთ, თუ ამ მატჩში „გორდამ“ გამარჯვებას მიაღწია. სტუმრებს კი უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ და უბრძოლველად არას დათმობენ.

ფოთი
8 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
10 000

## კოლხეთი — სამგურალი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

ორივე გუნდი გათამაშების ცხრილის ათეულში იმყოფება, მაგრამ კოლხებისთვის მეშვიდე საფეხურზე ყოფნა აუტსაიდერობის ტოლფასია. წინა ტურში ფოთელებმა გორში ცივი შხაპი მიიღეს. კაცნაკლული ქართლელების წინააღმდეგ თამაშის შემობრუნება ვერაფრით მოახერხეს. არავის ახსოვს, „კოლხეთს“ ამდენი ქულა დაეკარგოს ჩემპიონატის სტარტზე. „სამგურალს“ კი თავისუფლად ვუწოდებდით უთავდამსხმელო გუნდს. იმერლებმა მხოლოდ ერთხელ შესძლეს კარის აღება და ისიც თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან.

ამ მატჩში მასპინძლები უდავო ფავორიტები არიან. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ყოველგვარი კრიზისი დაძლეულია და „კოლხეთი“ კვლავ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

ფოთში გამართული შეხვედრა ამ გუნდებს შორის შარშან 6:1 დამთავრდა. არ არის გამორიცხული, დღესაც დიდი ანგარიში დაფიქსირდეს.

ბოლნისი
8 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
3 000

## სიონი — მერანი

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი), ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

„თემურ სტეფანიაზე“ საინტერესო ფეხბურთი გაჩაღდება. „დინამოს“ მიერ განადგურებული „სიონი“ ყოველ ღონეს იხმარს, ბოლნისელ ფანებს გული მოულბოს. „მერანს“ კი ცუდ სტარტთან ერთად რამდენიმე მოთამაშის ტრავმაც დაემატა და მრისხანე მასპინძლებთან ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა ძალიან გაუჭირდება. თუმც ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ტრანსპორტელებმა დაამტკიცეს, რომ ურიგო რეზერვი არ ჰყავთ. ამ მატჩს ერთი დიდი ინტრიგაც თან სდევს. აქამდე „სიონმა“ ერთხელაც ვერ შეძლო „მერანის“ დამარცხება. იგი მათთვის ძალიან უხერხულ მეტოქედ ითვლება, მაგრამ მაშინ ავჭალელებს გამოცდილი ჯონი ჯანელიძე წვრთნიდა და ამ ბალანსშიც მას ლომის წილი უდევს. თუმცა სერგო გაბელაიასაც კარგად აქვს შესწავლილი „სიონის“ სათამაშო ტაქტიკა. ბოლნისელები ნავსის გატეხვას შეეცდებიან. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან...

ბათუმი
8 სექტემბერი
17 საათი
დინამო
18 000

## ბათუმი — გურია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კოკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: რ. ჩილაჩავა

იყო დრო, როცა ერთ რამედ ღირდა ამ გუნდების პაექრობის ცქერა, მაგრამ ჟამიანობამ თავისი მოიტანა და დღეისათვის „გურია“ იმ ძველი კლუბის აჩრდილიც აღარ არის. ისე, კარგა ხანია, არც ზღვისპირელები ყოფილან ამგვარ ყოფაში. მათთვის უჩვეულოდ ცუდად დაიწყო ჩემპიონატი.

თუმც „ბათუმმა“ მოახერხა სიძნელეა გადალახვა და მეოთხე ტურში პატარა სასწაულიც მოახდინა ქუთაისში „ტორპედოს“ წინააღმდეგ. იქნებ სწორედ ეს თამაში გამოდგეს აჭარელთა აღმასვლის საწყისად და საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელმა ჩვეული ფორმის აღდგენა შეძლოს.

რა უნდა მოიმოქმედოს ისეთი „გურიამ“, რომ წინა ტურში შინ „ოდიშთან“ დამარცხების შემდეგ ბათუმიდან ქულის წამოღება მაინც შეძლოს?

მცხეთა
8 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
3000

## თსუ — დინამო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. ქარქაშაძე, კ. თბილელი; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

არ ეღირსა საქართველოს უცვლელ ჩემპიონს ერთი საჩემპიონატო პრინციპული მატჩის გამართვა. არადა, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში „ტილბურგთან“ სტუმრობის წინ როგორ სჭირდებათ მათ ღირსეულ მოწინააღმდეგესთან ბურთაობა. ისე, ჯობდა ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს ეს მომენტი როგორმე გათამაშების კალენდრის შედგენის წინ გაეთვალისწინებინათ. ამ მატჩში „დინამო“, ალბათ, კიდევ ერთხელ გაისეირნებს და ფეხბურთელებიც უფრო იმაზე იზრუნებენ, ვინ მეტს გაიტანს. თუმცა ვნახოთ, ბურთი ხომ მრგვალია და ვინ იცის, იქნებ წინა ტურში და საერთოდ სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვებით გამხნევებულმა გაბელიას შეგირდებმა ერთგვარი სიურპრიზი შემოგვთავაზონ და ქულას მაინც გამოჰკრან ხელი...

ზუგდიდი
8 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
7 500

## ოდიში — დილა

მსაჯები: მ. მალალურაძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

ლიდერს ზუგდიდში რთული მატჩი ელის. სუსტი სტარტის შემდეგ ოდიშარებს სოსო ჭედია ჩაუდგათ სათავეში და პირველი სამი ქულაც მოაპოვებინა, მაგრამ ამ გამარჯვებას ზუგდიდელები უფრო თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც გურიაში ორი პენალტის მოგერიება მოახერხა, მაგრამ ამდენივე გაფრთხილების მიღებაც მოასწრო 4 ტურში და ახლა მსაჯებთან სიფრთხილე მართებს. ყვითელი ბარათების მხრივ „დილა“ უდავო ლიდერია და თუ ასე გააგრძელა, ერთ მშვენიერ დღეს სათადარიგო სკამიც გაუცარიელდება. შარშანდელ სეზონში ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში ერთნაირი ანგარიში — 3:0 დაფიქსირდა. ორივე მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს. გორელებს პირველი ადგილის შენარჩუნება შეტევების ციცქიშვილის გარეშე ერთობ გაუჭირდებათ.

მცხეთა
9 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
3 000

## ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ს. კახიანი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

მატჩი მეტად საინტერესო ინტრიგას გვპირდება. ორივე გუნდმა წინა ტურში ძალიან საჭირო ქულები დაკარგეს. „ტორპედომ“ ხომ ხელიდან გაუშვა დაუკარგავი ქულების მიხედვით „დინამოსთან“ ერთად ლიდერობის შანსი და ათკაცდარჩენილ ბათუმელებს ფაქტობრივად ქულა აჩუქა. ვიტელებმა კი მართალია მცხეთაში რკინიგზელებისგან იწვნიეს მარცხი; მაგრამ ეს შეხვედრა მათთვის გასვლით მატჩად ირიცხებოდა. წაგებასთან ერთად ვეტერინარებმა მომდევნო ტურისთვის ერთობ საჭირო მცველი — ზურაბ მენთეშაშვილი მოიაკლისეს წითელი ბარათის გამო, რაც ქუთაისურებთან ბრძოლაში გარკვეულ პრობლემებს შეუქმნით. ორი გაფრთხილება აქვთ გრიგოლ და ზვიად გვაზავებს და მათაც ფრთხილად თამაში მართებთ, ისევე როგორც „ტორპედოს“ ლიდერ დათო ჯანაშიას, რომელმაც ასევე მოახერხა და მსაჯებს ორჯერ გამოსტყუა ყვითელი ბარათი. ვიტელებსაც და ქუთაისურებსაც მეექვსე ტურში პრინციპული თამაშები ელით და ფეხბურთელებმა ამაზეც უნდა იფიქრონ.

ეს შეხვედრა სოსო ფრუიძის სამწვრთნელო კარიერაში ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება, რადგან მის წინააღმდეგ ამხედრებული ქუთაისელი ფანები, „ბათუმთან“ სამარცხვინო ფრეს შემდეგ, მხოლოდ მაქსიმალურ შედეგებს ითხოვენ. სპარტაკ არჩვაძესაც მთელი თავისი ძალების მობილიზება მართებს, თორემ ზედიზედ ორი მარცხის შემთხვევაში მასაც დიდი უსიამოვნებები ელის.

შარშანდელ სეზონში ვეტერინარებმა ქუთაისში ქულის აღება შეძლეს, მაგრამ მეორე წრეში გაძლიერებულმა „ტორპედომ“ კვეტენაძისა და ხუჯაძის აქტიური თამაშის წყალობით 2:0 მოიგეს.

მეათე ჩემპიონატში ორივე გუნდს სერიოზული მიზნები დაუსახავთ და თითოეულ ქულას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი ევროსაგზურის მაძიებელი „ვიტ ჯორჯიასა“ და ჩემპიონობისათვის მებრძოლი „ტორპედოს“ მცხეთაში გასამართი დუელის ღირსეულად წარმართვისათვის შეხვედრის არბიტრზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. სამართლიანი მსაჯობა ხომ ლამაზი და ღირსეული პაექრობის გარანტიაა. შეძლებენ ვიტელები წლევანდელ გათამაშებაში ქუთაისელებს პირველი დამარცხება აგემონ?

VI ტური
12 სექტემბერი. შაბათი
დილა — ბათუმი
სამგურალი — ოდიში
დინამო — კოლხეთი
გორდა — სიონი
13 სექტემბერი. კვირა
ტორპედო — იბერია
გურია — ვიტ ჯორჯია
მერანი — თსუ
14 სექტემბერი. ორშაბათი
არსენალი — ლოკომოტივი

საქართველოს 10 ჩემპიონატი

4 ტური

28 აგვისტო, პარასკევი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| იბერია | 5 |

29 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| გურია | 1 |
| ოდიში | 2 |
| სამგურალი | 0 |
| თსუ | 1 |
| დილა | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| მერანი | 1 |
| გორდა | 1 |

30 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| ბათუმი | 3 |
| დინამო | 8 |
| სიონი | 1 |

31 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

### უდისციპლინონი

დილა — გაფრთხილება (10): თაყაძე (2), კაიდარაშვილი (2), გ. ჩიტაია (2), ციცქიშვილი, შატაკიშვილი, ფეზუაშვილი, ბ. ჩიტაია; გაძევება (1): ციცქიშვილი
ვიტ ჯორჯია — გაფრთხილება (8): გ. გვაზავა (2), ზ. მენთეშაშვილი (2), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ვ. გოჩაშვილი; გაძევება (1): ზ. მენთეშაშვილი
სამგურალი — გაფრთხილება (8): თევდორაძე (2), კ. ჯანაშია, გ. თევზაძე, დ. ჭელიძე, ი. ხაჭაპურიძე, ლონლაძე, ფრანგიშვილი
არსენალი — გაფრთხილება (7): მ. თევზაძე (2), ჩლაიძე, ფირცხალავა, ლომიძე, ვ. გველესიანი, ყოლბაია; გაძევება: ვ. გველესიანი
კოლხეთი — გაფრთხილება (6): წივწივაძე (2), კაკაჩია, გვასალია, გოროზია, პაპავა.
ტორპედო — გაფრთხილება (5): დ. ჯანაშია (2), ჯინჭარაძე, ყიფიანი, მეგრელაძე
მერანი — გაფრთხილება (5): ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გ. კვეტენაძე, გეწაძე, ცქიფურიშვილი
ოდიში — გაფრთხილება (5): ნაყოფია (2), ჭურღულია, ტყემალაძე, ბარქაია
იბერია — გაფრთხილება (4): ხუჭუა (2), მუმლაძე, ნიკოლეიშვილი
ბათუმი — გაფრთხილება (4): რუსია (2), მ. მახარაძე, ტულუში; გაძევება: პაპიძე
გურია — გაფრთხილება (4): ბულუხია, ინიაშვილი, ზ. კვეკვესკირი, გოგუა
სიონი — გაფრთხილება (4): თ. სამხარაძე, გაგუა, პოზოიანი, დ. სვანიძე
ლოკომოტივი — გაფრთხილება (3): გიორგი ქორიძე, ბარნოვი, კაციაშვილი
თსუ — გაფრთხილება (3): გ. ილურიძე (2), ზამთარაძე; გაძევება: გაბელია
დინამო — გაფრთხილება (2): გუჩუა, ცქიტიშვილი
გორდა — გაფრთხილება (1): მჭედლიძე

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 6 - | ხომერიკი | დინამო |
| 3 - | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | კაიდარაშვილი | დილა |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | ხუჭუა | იბერია |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 2 - | ალექსიძე | დინამო |
| | გ. გვაზავა | ვიტ ჯორჯია |
| | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | ვაშაკიძე | ტორპედო |
| | მარდიშვილი | ლოკომოტივი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მელაძე | გურია |
| | ლ. მელქაძე | დინამო |
| | ტულუში | ბათუმი |
| | შაკიაშვილი | სიონი |
| | გ. შენგელია | დინამო |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| | წივწივაძე | კოლხეთი |
| | ჯაგიდისი | სიონი |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დილა (9) | 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | +4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 |
| 2 დინამო (1) | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 18:3 | +15 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 18:3 | +15 | 9 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 იბერია (დ) | 5 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | +3 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | +1 | 6 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | +4 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | +4 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 5 ტორპედო (4) | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 11:5 | +6 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 8:4 | +4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 6 ვიტ ჯორჯია (10) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | +3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 7 კოლხეთი (3) | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 |
| 8 გურია (14) | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 9 სამგურალი (12) | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | -4 | 1 |
| 10 სიონი (13) | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:12 | -5 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | +4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | -9 | 0 |
| 11 ოდიში (5) | 15 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 12 თსუ (8) | 16 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 13 მერანი (7) | 11 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |
| 14 გორდა (11) | 13 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 15 ბათუმი (2) | 14 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 |
| 16 არსენალი (დ) | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:10 | -7 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

# იქნებ მეორეც გველირსოს

## ირანში მსოფლიოს ჩემპიონს ველით

დღეს თეირანში თავისუფალ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ირანის დედაქალაქში ჩვენი გუნდი არასრული შემადგენლობით გაემგზავრა — 54კგ-ში ბათუმელი ზვიად აბუსერიძის დაფინანსება ვერც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოახერხა და ვერც აჭარისამ. მწვრთნელებმა — ზაზა თურმანიძემ, გია გალდავამ და ნუგზარ სხირელმა ირანს ეს ფალავნები იახლეს: დათო პოლოსიანი (58; გორი), დათო ლეჟავა (63; თბილისი), ემზარ ბედინეიშვილი (69; თბილისი), ალექსანდრე კახნიაშვილი (76; მცხეთა), გოჩა ჩიხრაძე (85; გორი), ელდარ კურტანიძე (97; სოხუმი), ალექსანდრე მოდებაძე (130; თბილისი).

ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის მერე გუნდმა ბოლო შეკრება ბორჯომში მოაწყო, ნაკრები კი ამ ტურნირის შედეგების გათვალისწინებითა და მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაკომპლექტდა. სწორედ ამ უკანასკნელთა ჩარევით ანდეს ადგილი ნაკრებში იუნიორთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ დათო ლეჟავას, რომელმაც ეს წოდება ამ ცოტა ხნის წინ მოიპოვა...

თეირანში წარმატებას ყველაზე უფრო მეტად ევროპის სამგზის ჩემპიონ ელდარ კურტანიძისგან ველით. იმედია, იგი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს წელს უფრო მაღალი ხარისხისაზე გადაცვლის. ბუნებრივია, მედლის კანდიდატთა შორის უნდა ვიგულისხმოთ ევროპის აწ უკვე ორგზის ჩემპიონი დათო პოლოსიანიც, თუმცა შანსი სხვებსაც აქვთ. ვნახოთ, იქნებ ამჯერად მაინც გველირსოს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი, რომელიც გიორგი კანდელაკის პირველ „მსოფლიოს მედალს“ ობლად აღარ ამყოფებს. რაც შეეხება კერძოდ თავისუფალ ჭიდაობას, ჩვენი უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონი ლერი ხაბელოვია, რომელმაც ეს ჯილდო შორეულ 1991-ში მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**



# «ოლიმპიამ» ნიკაც მიიწვია

## თუმცა ცქიტიშვილი ჯერ ფიქრობს



ნიკა ცქიტიშვილი

ლუბლიანის „ოლიმპიის“ ხელმძღვანელობა გულგრილი რომ არ გახლავთ ქართველ კალათბურთელთა თამაშის მიმართ, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ამას აღარც სლოვენები მალავენ და საამისო საბუთი ის გახლავთ, რომ თუკი ვინმე ჩვენებური რიგიანად წაიბურთავებს, უმალ თავისთან მიიხმობენ ხოლმე.

მოგეხსენებათ, ექსოლიმპელი, აწ უკვე სიეტლელი ვლადიმერ სტეფანია NBA-ში გაჭიანურებული ლოკაუტის გამო კვლავაც „ოლიმპიაში“ ვარჯიშობს და ახლახან იტალიაშიც ახლდა გუნდს ტურნეზე. მართლაც რომ კარგ ლუკმას ჩაიგდებენ ხელში სლოვენები რუსთაველი ვლადიმერ ბოისას სახითაც. ვოვა მალე გაემგზავრება ლუბლიანას, და ალბათ სარფიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

კიდევ ერთი ჩვენებური, უდავოდ პერსპექტიული ნიკა ცქიტიშვილი ორი დღეა, სლოვენიიდან დაბრუნდა, სადაც გასასინჯად იმყოფებოდა და, რა თქმა უნდა, „ოლიმპიაში“. მისი თამაშით კმაყოფილნი დარჩენილან და ნიკას თქმით, დარჩენაც შეუთავაზებიათ. „ოლიმპია“ თურმე იქაურ ლიგაში ორი გუნდით ასპარეზობს და ცქიტიშვილიც თავდაპირველად მეორე გუნდისთვის შეუგულებიათ, რომელიც მთლიანად ახალგაზრდულია. ლაპარაკი ყოფილა 3-4 წლიან კონტრაქტზე, სწავლის პრობლემების მოგვარებასაც შეპირებიან.

— არ მინდა, ნაჩქარევი ნაბიჯი გადავდგა, სლოვენიიდან ორ კვირაში შემეხმიანებიან, ამ ხნის მანძილზე ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მივიღებო — გვითხრა ნიკამ.

**გიორგი ბიძაშვილი**

# აზოტი:

## უბოისოდ, მაგრამ ხალისიანად

ახლოვდება 16 სექტემბერი. მოგეხსენებათ, ამ დღეს ერთადერთი ქართული კლუბი, რუსთავის „აზოტი“ ევროგათამაშებაში ჩაებმება. იგი დონეცკის „შახტიორს“ უმასპინძლებს კორაჩის თასის შესარჩევ ეტაპზე.

ურეკისა და უწერის შემდეგ, სადაც რუსთაველებმა საწვრთნელი შეკრებები გაიარეს, მშობლიურ ქალაქში განაგრძეს ვარჯიში. სულ ახლახან კი სპორტის სასახლის სარბიელზე გადაინაცვლეს, სადაც უკრაინელებთან თამაში ელით.

გუნდში ამჟამად საბრძოლო განწყობაა. ბიჭებს სჯერათ თავიანთი შესაძლებლობების და ვარჯიშებიც ერთობ ხალისიანი გამოსდით. არც ტრავმა აწუხებს ვინმეს. ფინალურ სერიაში „ვითასთან“ დაშავებული ზაზა გაბისონია რა ხანია, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და თექვსმეტისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. დანარჩენებიც მწყობრში არიან. ეგ არის, „აზოტი“ მოისაკლისებს ვოვა ბოისას, რომელიც დღე-დღეზე სლოვენიაში მიემგზავრება იქაურ „ოლიმპიაში“ მოსაწყობად. უბოისობა, ცხადია, მართლაც დიდი დანაკლისი იქნება ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩის წინ, მაგრამ ალბათ ამასაც მოევლება, მით უფრო, რომ მის ადგილზე მწვრთნელებს არანაკლებ შედეგიანი ზვიად ბაბიაშვილი შეუგულებიათ.

როგორც გუნდის უფროსმა ამირან ხაჩიძემ გვითხრა, უკრაინელები თამაშის დღეს ჩამოფრინდებიან ჩარტერული რეისით და მატჩის შემდეგ პირდაპირ შინ გაემგზავრებიან. მათი საქციელი ცოტა არ იყოს უცნაურიც კია, მაგრამ ჩვენთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რა ხასიათზე გავუშვებთ სტუმრებს.

**გიორგი ბიძაშვილი**

# «ჰაპოელიც» გვეწვია

9 სექტემბერს, სამ საათზე, სპორტის სასახლეში გაიმართება სპორტულ-კულტურული ღონისძიება, რომელიც საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება.

ამ თარიღთან დაკავშირებით გუშინ თბილისს ისრაელის მეორე ლიგის საკალათბურთო კლუბი „ჰაპოელიც“ ეწვია. ებრაელები თბილისის „მაქაბისთან“ ამხანაგურად ითამაშებენ, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს სანახაობას, რომელიც ბევრ სხვა საინტერესოსაც პირდება მაყურებელს.

„ჰაპოელთან“ ქართველებს ადრეც უთამაშიათ. სამი წლის წინ ჩვენი კალათბურთელების ნაკრები ისრაელური ტურნეს დროს სწორედ ამ გუნდს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ ქულით იმარჯვა. ასე რომ, „მაქაბის“ საკმაოდ ძლიერ გუნდთან მოუწევს საქმის დაჭერა.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**




ბავშვთა კალათბურთის აკადემია

აცხადებს 7-8-9-10 წლის ბავშვების მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 49, სპორტის აკადემიის შენობა.
ტელ: 23-20-05




US OPEN

# დამაბი!

შედარებით წყნარი ხუთი დღის შემდეგ ამერიკის ღია პირველობა როგორც იქნა ორ-სამ, მართლა მსხვილ სენსაციასაც ეღირსა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა კაცებს შორის, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს მეორე ჩოგნის — ჩილელი მარსელო რიოსის მარცხი იყო. მესამე წრეში კიკინიან სამხრეთამერიკელს მეტად სერიოზული მეტოქე ჰყავდა ორმეტრიანი შვედის — მაგნუს ლარსონის სახით. რიოსმა ზაფხულის ჰარდის სეზონი ძალიან ცუდად ჩაა-



REUTERS ნიუ იორკიდან

მაგნუს ლარსონი

ტარა — მხოლოდ ერთხელ იმარჯვა და სამი მატჩი წააგო, ამიტომ წლის უკანასკნელ დიდი სლემის ტურნირს პესიმისტურად განწყობილი შეხვდა, ის კი არა, მეორე წრეში ვინმე ჯორჯო გალიმბერტისთან გამარჯვება რომ გაუჭირდა, საკუთარ თავს შემდეგი დიაგნოზი დაუსვა — ამჟამად საზიზღარ ფორმაში ვარ, დღესაც მხოლოდ იმიტომ მოვიგე, რომ მეტოქე ცდებოდა ხშირად, თორემ ჩემი დამსახურება ამაში საკმაოდ მცირე იყოო.

ლარსონთან მატჩი მარსელომ 1:6 წაგებული სეტით დაიწყო, მერე თითქოს თამაშში გარდატეხა შეიტანა და ანგარიშში დაწინაურდა, მაგრამ ზორბა შვედს მოწოდებები რომ წაუვიდა, თავი ველარაფრით გამოიჩინა — ლარსონის 17 ეისი გადასამუშავებლად აშკარად მძიმე გამოდგა 6:1, 6:7(3:7), 2:6, 6:3, 6:2. „მას ჩემთვის არ უჯობნია, თავად ვცოდავდი ზედმეტს, თან, სიმართლე გითხრათ, მარტო ამ მატჩში კი არა, მთელი ტურნირის მანძილზე. ეს მარცხი ჩემთვის სულაც არ ნიშნავს კატასტროფას. ერთ კვირას დავისვენებ და ისევ შევუდგები მუშაობას“ — განაცხადა მარსელომ პრესკონფერენციაზე.

ორ ხუთსეტიან შეხვედრას გადარჩენილ შარშანდელ ფინალისტს — გრეგ რუზეცკის (6) ამიერიდან იოლი გამარჯვებების იმედი კი ჰქონდა, მაგრამ მესამე წრეში კორტზე მთელი სამსაათნახევარი მოუხდა გარჯა და ჰოლანდიელ იან სიმერინკთან შეხვედრის ბოლოს ისე დაილალა, მოძრაობის თავიც კი აღარ ჰქონდა. „ბოლოს და ბოლოს ჩემი ავზიც დაიცალა საწვავისგან, ძალიან იმედგაცრუებული კი ვარ, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო“ — დაიჩივლა გრეგმა 6:4, 4:6, 7:5, 2:6, 4:6 წაგებული თამაშის შემდეგ, როცა პირველ-მეორე წრეში გადარჩენილ სამ მატჩ-პოინტს კიდევ სამიც დაუმატა, თუმცა გაჯიქებულ ჰოლანდიელს სადაბადებისდღეო საჩუქარი მაინც ვერ დასტყუა — რუზეცკი მეორე დღეს 25 წლის ხდებოდა: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაინცდამაინც სადღესასწაულო ხასიათზე ნამდვილად არ ვიქნები, იმედია, ამაზე ბედნიერი დაბადების დღეებიც მეღირსება მომავალში“.

რუზეცკის ყველაზე პრინციპული მეტოქის ტიმ ჰენმანის ბანაკში აბსოლუტურად განსხვავებული განწყობილება იყო — ბრიტანელთა უპირველესმა კერპმა, მოქიშპისგან განსხვავებით, თავისი 24-ე დაბადების დღე გერმანელი მიქაელ კოლმანის 6:3, 7:5, 1:6, 6:4 დამარცხებითა და მერვედფინალში გასვლით აღნიშნა: „კიდევ კარგი, თორემ ჩემი მშობლების დაძმარებული სახის ყურებას რა გაუძლებდა, ისინი ხომ ჩემი წარმატების ცქერის გარდა იმიტომაც წამოვიყვანე, მეტი საჩუქარი მიმეღო“.

გორან ივანიშევიჩს კი დაბადების დღე მხოლოდ მომავალ კვირა დღესა აქვს (27 უსრულდება), მაგრამ საჩუქრები, თანაც როგორრი, უკვე მიიღო. თუმცა ჯობს, თავად ვუსმინოთ: „დილით ფოსტას ვათვალიერებდი და საკმაოდ დიდი ყუთი დავინახე ჩემს სახელზე. ზედ კი ეწერა, შენს დაბადების დღემდე არ გახსნაო. მაგრამ რა თქმა უნდა, ველარ მოვითმინე, ვხსნი და ვხედავ, შიგ ხელბორკილები დევს, თან ინსტრუქცია ახლავს, როგორ უნდა გამოვიყენო. გვერდით კი შოკოლადის სალებავი ახლავს, ალბათ, გოგონას გასალამაზებლად (იცინის). ახლა, მთავარია, ისეთი ვინმე მოვძებნო, ვისზეც ამ საჩუქრების გამოყენებას შევძლებ“. ასეთი გულახდილობის შემდეგ გორანმა ჟურნალისტებს საჩუქრის გამომგზავნის ვინაობა და ინსტრუქციების ნუსხა არ გაუმხილა, თუმცა მშობლიურ ხორვატიაში მსგავსი ექსპერიმენტების შესაძლებლობაზე მაინც მოუხდა პასუხის გაცემა. „ასეთ რამეს ყველა მალავს. შეიძლება შინ ჰქონდეთ კიდეც, მაგრამ აბა ვინ იტყვის, ჩემი მეუღლისთვის ხელბორკილები ვიყიდე, ამალამ მაგარი დრო უნდა გავატაროთო“.

ბორკილებისა და სალებავების ხმარებაში დასაონსტატებლად გორანს წინ მთელი კვირა რჩება, ჩოგბურთში კი ჯერჯერობით საქმე მშვენივრად მისდის — მესამე წრეში მან ჰოლანდიელ პოლ ჰაარჰიუსს აჯობა 7:6(7:5), 6:3, 6:4, რომელთანაც აქამდე ზედიზედ ხუთი პირადი შეხვედრა წააგო.

კვირას ტურნირმა რიოსთან ერთად კიდევ ერთი ფავორიტი მოისაკლისა — უიმბლდონის ექსჩემპიონ რიჩარდ კრაიჩეკს (5) შვედ ტომას იოჰანსონთან შეხვედრის მეორე სეტში მუხლის ტრავმის გამო თამაშზე უარის თქმა მოუხდა: „შეხვედრის წინ ნემსიც კი გავიკეთე, მაგრამ არაფერმა მიშველა, ამიტომაც არ მომითხოვია ექიმის მოყვანა, ვიცოდი, ვერაფერი დამეხმარებოდა მატჩის ბოლომდე მიყვანაში“ — განაცხადა ჰოლანდიელმა, რომელსაც ახლა ოპერაცია და ორთვიანი შესვენება ელის.

თავის დიდ შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დაარწმუნა საჩოგბურთო სამყარო 18 წლის მარატ საფინმა — მესამე წრეში მან ასპარეზობას მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრიელი ტომას მუსტერი გამოთიშა 6:4, 6:4, 1:6, 6:3, თუმცა გამარჯვების შემდეგ, ჩვეულად მეტისმეტი თავმდაბლობა გამოიჩინა, ამ ტურნირის მოგება სად შემიძლია, ამისთვის არც მოწოდება მივარგა, არც დარტყმები და არც ფსიქოლოგიური მზადყოფნაო.

ქალებს შორის მესამე წრის დარჩენილი მატჩებიდან უდიდეს ინტერესს ირინა სპირლეასა (9) და შავტუხა სერენა უილიამსის შეხვედრა იწვევდა. შარშანდელი ოუფენის ნახევარფინალში ავყია რუმინელი უფროს უილიამსს — ვინუსს შეეჯახა, პრესკონფერენციაზე კი მეტოქე საკმაოდ მოკლე და მეტყველი ინგლისური სიტყვითაც შემკო, რასაც თავის მხრივ, ზანგი დების შერეკილი მამის — რიჩარდის არანაკლებ „სასიამოვნო“ კომენტარებიც მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე აცხადებს, ის ინციდენტი უკვე დავიწყებას მიეცაო, სპირლეა-უილიამსების დუელები მას აქეთ განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩევა. სერენა მატჩის წინ ირწმუნებოდა, თამაშით მე სიამოვნებას მივიღებ, ირინა კი დარწმუნებული ვარ, მეტად დაძაბული იქნებაო, მაგრამ მატჩისშემდგომ კონფერენციაზე საქმეები სულ სხვაგვარად დატრიალდა. რუმინელმა მართლაც თვალსასეირო და დაძაბული შეხვედრა 6:3, 0:6, 7:5 მოიგო, სერენამ მეტოქის ჯინი ჟურნალისტებზეღა გადმოანთხია და ავყიობით სპირლეას არაფრით ჩამოუვარდა, ხუმრობით კი უკვე მხოლოდ რუმინელი ხუმრობდა: „როგორი ურთიერთობაა ჩემსა და სერენას შორის? სიმართლე გითხრათ, მის რესტორანში დაპატიჟებას დღეს ნამდვილად არ ვაპირებ. (აქ სპირლეამ დიდი პაუზა გააკეთა) საღამოს სასტუმროს ნომერში უნდა ვისადილო და ალბათ მასაც იქ დავუძახებ“.



REUTERS ნიუ იორკიდან

ირინა სპირლეა

მერვედფინალში პირველი მნიშვნელოვანი დანაკლისი ქალთა ბადემაც განიცადა. 19 წლის შვეიცარიელმა პატი შნიდერმა (11) 21 დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულს, ლეგენდარულ გერმანელ შტეფი გრაფს მოუგო, თანაც 6:3, 6:4 სულ 59 წუთში: „ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასე იოლად მოვიგებდი. არ მინდა ვთქვა, რომ მისი მეშინოდა, მაგრამ ისე არ დამიწყია შეხვედრა, როგორც ჩვეულებრივ მეტოქესთან — ზედმეტად ვნერვიულობდი“. შვეიცარიელს გამარჯვებაში გრაფის 33-მა უნებლიე შეცდომამაც საკმაოდ შეუწყო ხელი, რამაც ამ უკანასკნელის დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, სასურველ სტაბილურობას ვერაფრით მივაღწიეო. თუმცა შტეფიმ თავისი გულშემატკივრები ერთი რამით მაინც დაიმედა — გაისად აუცილებლად დავბრუნდებიო.

**ავთანდილ სვანიძე**

| კაცები |
|---|
| მეორე წრე: კარლოს მოია (10, ესპანეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 3:6, 1:6, 7:6(7:5), 6:4, 6:3. მარსელო რიოსი (2, ჩილე) — ჯორჯო გალიმბერტი 6:2, 6:7(4:7), 6:2, 6:2; რიჩარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) — ალექს ობრაიენი (აშშ) 6:1, 7:6 (7:5), 6:2; ალექ კორეტხა (7, ესპანეთი) — ჟან-ბატისტ პერლანი (საფრანგეთი) 6:4, 5:7, 6:7(8:20), 6:1, 6:0; ევგენი კაფელნიკოვი (11, რუსეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:5, 6:2, 1:6, 7:5; ტიმ ჰენმანი (13, ინგლისი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 5:7, 7:5, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — სებასტიან ლარო (კანადა) 6:7(3:7), 6:3, 6:3, 6:4; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 7:6(7:3), 6:1. |
| მესამე წრე: პიტ სამპრასი (1, აშშ) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:2, 6:3, 6:1; პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — დევიდ ნეინკინი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:1, 6:1; კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 7:5, 6:3, 6:2; იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:1, 6:2; კორეტხა — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 4:6, 6:2, 7:6(7:5); კაფელნიკოვი — კიფერი 6:4, 6:0, 6:2; ფილიპუსისი — ლუკას არნოლდი (არგენტინა) 7:6(7:5), 6:3, 6:3; ანდრე აგასი (8, აშშ) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:3, 6:0; მოია — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) 6:2, 3:6, 3:6, 6:3, 7:6(7:4). |

| ქალები |
|---|
| მესამე წრე: იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:2, 6:3; მონიკა სელეში (6, აშშ) — ენ მილერი (აშშ) 6:3, 6:3; შტეფი გრაფი (8, გერმანია) — მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:1; პატი შნიდერი (11, შვეიცარია) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:1, 7:6(7:3); კიმბერლი პო (აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (14, ბელგია) 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ვირხინია რუანო — პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:1; არანჩა სანჩეს ვიკარიო (4, ესპანეთი) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ვინუს უილიამსი (55, აშშ) — ლარისა ნეილანდი (ლატვია) 5:0 — ტრავმა; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 3:6, 6:2; ნატალი ტოზია (10, საფრანგეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; მარი პირსი (12, საფრანგეთი) — ლაურა გოლარსა (იტალია) 6:1, 6:0; ამანდა კუტცერი (13, სამხრეთ აფრიკა) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 3:6, 6:0, 6:3; ანა კურნიკოვა (15, რუსეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:4, 6:1. |
| მეოთხე წრე: ჰინგისი — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ნოვოტნა — სპირლეა 6:3, 6:3; სელეში — პო 6:2, 4:6, 6:3. |

მძლეოსნობა

# მილიონი თხილი არ არის ცხრა ვერ გაიყოფს

მძლეოსანთა „ოქროს ლიგის" ბოლო — მეშვიდე ეტაპი უაღრესად დაძაბული და თვალწარმტაცი სანახაობებით აღსავსე რომ გამოდგებოდა, ეჭვი ნამდვილად არავის ეპარებოდა. ამაში მრავალრიცხოვანი სპეციალისტებისა და თავად სპორტსმენების გარდა ის 51 ათასი გულშემატკივარიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომელბმაც შაბათ საღამოს „ლუჟნიკებს" მართლაც მსოფლიო დონის სტადიონზე მისვლა არ დაიზარეს და თავიანთი ყოფნით კიდევ უფრო მეტი ხიბლი შემატეს ისედაც მშვენიერ ზეიმს.

წმინდა სპორტულ აზარტს რომ თავი დავანებოთ, მოსკოვში ერთი რამეც იყო, რაც ასე ზრდიდა მძლეოსანთა ინტერესს. რუსეთის ეტაპს „ოქროს ლიგის" დამაგვირგვინებელი ასპარეზობების სტატუსი



REUTERS მოსკოვიდან

მარიონ ჯონსთან ყველა უშანსოა

ჰქონდა და ამიტომაც, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, იქ გამარჯვებული ათლეტები წინა ეტაპებთან შედარებით საკმაოდ დიდი თანხებით (50 ათასი დოლარი) ჯილდოვდებოდნენ. თანაც ყოფილი საბჭოეთის დედაქალაქში უნდა გარკვეულიყო უმთავრესი — ვინ იქნებოდა ის იღბლიანი, ვისაც მოყვარულ ათლეტთა საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) მიერ დაწესებულ სანუკვარ პრიზს — 1 მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდებს მიიღებდა.

ამისთვის კი ოთხი საუკეთესო სპორტსმენი იბრძოდა. ამერიკელებმა მარიონ ჯონსმა და ბრაიან ბრონსონმა, ასევე ეთიოპიელმა ჰაილე გაბრესელასიემ და მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ წინა ექვსივე ეტაპზე იმარჯვეს და რეგლამენტის მიხედვით სრული უფლება ჰქონდათ, საოცნებო ჯეკპოტის მოხვეჭაზე განეცხადებინათ პრეტენზია.

მოწინავე ოთხეულიდან პირველი „ლუჟნიკების" სარბენ ბილიკებზე 400 მეტრზე თარჯრბენის მონაწილენი გავიდნენ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოსკოვში საკმაოდ კარგი ამინდი იყო. მართალია, რუსეთში შემოდგომის დასაწყისში თაკარა მზეები არასდროს იცის და სუსხიანი წვიმებიც არცთუ იშვიათია, მაგრამ 5 სექტემბერს გრილი, სარბენად საამო საღამო იდგა, რაც ათლეტებს მსოფლიოს რეკორდების დამყარების თუ არა, ნორმალურად გამოსვლის სრულ შესაძლებლობას ნამდვილად აძლევდა.

400 მეტრზე თარჯრბენში ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, ამერიკელი ბრაიან ბრონსონი იყო მოქცეული. ისიც დამაჯერებელი სტარტის შემდეგ დაწინაურდა და ბოლო ბარიერამდე ლიდერობდა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად, ფინიშის ხაზამდე სულ რაღაც ათიოდე მეტრით ადრე ტემპს უკლო და ბოლოს სულაც სიარულ-სიარულით დაასრულა რბენა.

ამერიკელის ასეთ ბედოვლათობისთვის მეტოქეებს, ცხადია, უსაქმოდ არ უცქერიათ. 31 წლის ფრანგმა სტეფან დიაგანამ და კამპანიამ წამში ჩაუქროლეს შენელებულ ბრონსონს და ოდენ მეხუთე ადგილს დააჯერს.

გარბენის შემდეგ მრავალმა სპეციალისტმა ამერიკელის ჩავარდნის გამართლება სცადა, რუსებმა ისიც კი თქვეს, 25 წლის ბრონსონს მოსკოვური ამინდი ჩამოსვლის პირველ დღესვე არ მოეწონა და განუწყვეტლივ წუწუნებდაო.

ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, გასამართლებელი ბრონსონს არაფერი სჭირს. ჯერ ერთი, ის ატლანტიდანაა და ჯორჯიის თბილ ამინდებს მიჩვეულს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ რუსეთში სულ სხვა კლიმატი დახვდებოდა. მეორე რიგში კი საკითხავია, რა, რუსულმა სიგრილემ დანარჩენ, სითბოსმოყვარულ მუქკანიან სპორტსმენებზე ნაკლებად იმოქმედა?

უბრალოდ, ამერიკელი გრძნობდა, რომ გამარჯვება უკიდურესად გაუჭირდებოდა და თავიდანვე დაიჭირა თადარიგი. მართლაც მეექვსე ეტაპზე ფრანგმა დიაგანამ ერთი თავით აჯობა მეტოქეს და რომ არა ფოტო-ფინიშის მიერ მინიჭებული უპირატესობა, ბრონსონი ოქროს ზოდების მოპოვების იმედს ჯერ კიდევ ბერლინში დაემშვიდობებოდა.

მოკლედ, ერთი მილიონისთვის მებრძოლთა რიგები ეტაპის დასაწყისიდანვე ერთი კაცით შეთხელდა, რამაც დანარჩენი სამი პრეტენდენტის გამოსვლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა.

100 მეტრზე მორბენალმა ქალმა მარიონ ჯონსმა მძლეოსნობაში ვარჯიში ორი წლის წინ დაიწყო. იქამდე იგი კალათბურთით იყო გატაცებული და როგორც ამბობენ, ამ სპორტს რომ გაჰყოლოდა, ახლა ქალთა პროფესიული ლიგის (WNBA) თავისებური მაიკლ ჯორდანი იქნებოდაო. თუმცა ჯონსმა კალათში ბურთის ტყორცნას მაინც სარბენ ბილიკებზე ასპარეზობა ამჯობინა და არცთუ უსაფუძვლოდ.

მოსკოვში მან წინა ეტაპების მსგავსად იმდენად დამაჯერებლად ირბინა, თითქოს სკოლის ბავშვებს ეჯიბრებოდა და არა უძნელეს ბრძოლებში გამობრძმედილ მსოფლიოს უსწრაფეს ათლეტებს.

თანაც, ჯონსის გამარჯვება (10.83 წამში) ერთი რამის გამოც იყო აღმაფრთოვანებელი. ეს ქალი 100 მეტრზე გადამწყვეტი გარბენის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი საათით ადრე სიგრძეში მხტომელთა სექტორშიც გამოჩნდა, იქ მობატონე გერმანელ ვეტერან ჰაიკე დრექსლერს არ შეეპუა და საკმაოდ კარგი შედეგით (7.13 მეტრი) პირველობა იგდო ხელთ.

თავად გარბენს ერთგვარი დაძაბულობა უძღოდა წინ. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ სპორტსმენები თავს ვერ იკავებდნენ და ოთხი (!) ფალ-სტარტიც კი გააკეთეს. ასეთ დროს ნებისმიერ ათლეტს ნერვები მოეშლებოდა და შესაძლოა, მწყობრიდანაც კი გამოსულიყო, მაგრამ ჯონსი ხომ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება. მან სტარტიდანვე იგდო ხელთ ლიდერობა და გარბენის ბოლომდე არანაირი პრობლემა არ შექმნია.



REUTERS მოსკოვიდან

ჰაილე გაბრესელასიემ 3000 მეტრზეც გაიმარჯვა

საბოლოოდ ამერიკელმა ჯეკპოტში მოგებულ თანხას (333,3 ათასი დოლარი) ის ფულიც დაუმატა ზემოთაღნიშნულ ორ საზეობასა (100 ათასი დოლარი) და შვიდივე ეტაპის შედეგად საერთოდ ჩათვლაში გამარჯვებისთვის რომ ერგო (200 ათასი



REUTERS მოსკოვიდან

ჰიშამ ელ გურუჯის ჯობნაზე ნურავინ იოცნებებს

დოლარი) და ჯამში ნახევარ მილიონზე მეტით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ.

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ეთიოპელი ჰაილე გაბრესელასიე. ეს მართლაც ფენომენალური სპორტსმენი 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდის მფლობელია, ხოლო „ლუჟნიკებზე" ამჯერად 3000 მეტრზე სცადა ბედი. საერთოდ ამ კაცის სირბილს რომ უცქერი, გაოცებს, საიდან აქვს ჩია ეთიოპიელს იმდენი ძალა, რომ მას პლანეტის ვერც ერთი სტაერი ახლოსაც ვერ ეკარება.

მოსკოვშიც ასე იყო. 25 წლის გაბრესელასიემ ისევ ჩვეულ სტილში წარმართა გარბენი. თავიდან მეტოქეებს აკვირდებოდა, ხოლო როდესაც ფინიშის ხაზამდე ერთი წრე იყო დარჩენილი, ტემპი ააჩქარა და ყველა მოწინააღმდეგე დიდი მანძილით მოიტოვა უკან. თანაც ჰაილეს მიერ ნაჩვენები შედეგი (7:50.00 წთ) სეზონში საუკეთესო გახლავთ.

დაბოლოს, ჰიშამ ელ გურუჯი. მძლეოსნობის მოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ, რომ ეს 1500 მეტრზე მორბენალი მაროკოელი ბერლინის ეტაპის შემდეგ საქვეყნოდ იქადნებოდა, იმედია, რუსეთში დანარჩენ სამ პრეტენდენტს ხელი მოეცრება და ერთი მილიონი მთლიანად მე დამრჩებაო.

მთლიანი ჯეკპოტის რა მოგახსენოთ, მაგრამ აფრიკელმა თავისი კუთვნილი მესამედი (333,3 ათასი) კი ირგუნა. არადა, მას სხვებთან შედარებით გაცილებით მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა. საქმე იმაშია, რომ 1500 მეტრ დისტანციაზე ტრადიციულად პირველობის პრეტენზია კენიელებს აქვთ. მოულოდნელად მოვლენილი 23 წლის მსოფლიო რეკორდსმენი მათ უკვე დიდი ხანია გულზე არ ეხატებათ და ყოველ გარბენში ცდილობენ, როგორმე წყობიდან გამოიყვანონ.

ახლაც ასე მოხდა. თავიდანვე წინ კენიელთაგან საგანგებოდ შერჩეული ეგრეთ წოდებული „კურდღელი" გაიქცა. „კურდღელი" მძლეოსნობაში საკმაოდ მიღებული ტერმინია და იმ კაცს ჰქვია, ამა თუ იმ გრძელ დისტანციაზე წინ გაჭრილი მორბენლებს ერთბაშად სწრაფ ტემპს რომ შესთავაზებს და თავისიანების სასარგებლოდ გამარჯვებისთვის მებრძოლ სპორტსმენს რითმიდან ამოაგდებს.

კენიელებმა ეს მისია რობერტ კიბეტს დააკისრეს. თუმც არც მას და არც ცნობილი უილიამ ტანუის წინამძღოლობით მორბენალ დანარჩენ ხუთ (!) კენიელს არაფერი გამოუვიდათ. ელ გურუჯმა სწრაფ ტემპსაც ადვილად გაუძლო და გადამწყვეტ მომენტშიც ისე დაწინაურდა, რომ მის დაწევაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

„რუსებს განუმეორებელი, ზღაპრული სტადიონი ჰქონიათ. ერთადერთი, რაც მინდოდა, უკეთესი ყოფილიყო, იქაური ამინდი იყო." — განაცხადა ტრიუმფატორმა ელ გურუჯიმ.

მართლაც ძნელია, მაროკოელს არ დაეთანხმო. რუსებმა, ქვეყანაში შექმნილი რთული ფინანსური ვითარების მიუხედავად, ყველაფერი გააკეთეს, რათა „ოქროს ლიგის" გადამწყვეტი ეტაპი ღირსეულად ჩაეტარებინათ. და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მათ ეს ამოცანა ასი პროცენტით შეასრულეს. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ მაშინ, როცა ტელევიზიით უკრაინისა და რუსეთის ნაკრებებს შორის „საუკუნის მატჩად" შერაცხულ საფეხბურთო შეხვედრას გადასცემდნენ, „ლუჟნიკებზე" 50 ათასზე მეტი გულშემატკივარი ფეხმოუცვლელად იჯდა და მძლეოსანთა დაუვიწყარ შეჯიბრს ადევნებდა თვალს.

**ირაკლი ხმელიძე**

ველორბოლა

# ზბერგი სიცხეშიც მაგარია

I ეტაპი. კორდობადან კორდობამდე 161,7 კილომეტრი

ბოლო ექვსი წლის მანძილზე ჩატარებულ „ვუელტაზე" შვეიცარიელებმა ხუთი გამარჯვება მოიპოვეს და როგორც სამიოდე დღის წინ დაწყებულმა ახალმა ტურმა აჩვენა, არც ამ სეზონში აპირებენ პირველობის ხელიდან გაშვებას.

ველოსპორტის მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, რომ 1992-94 წლებში ესპანეთის გზებზე ბადალი არ ჰყავდა ტონი რომინგერს, ხოლო 1996-97-ში ტრიუმფატორად ალექს ცულე გვევლინებოდა. ერთადერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, ვინც შვეიცარიელების ჰეგემონიაში ჩაერია, ფრანგი ლორან ჟალაბერი გახლდათ, ვინც 1995 წელს ერთი სეზონით ირგუნა პირველობა.

ახლაც „ვუელტას" პირველი ეტაპი შვეიცარიელმა მარკუს ზბერგმა მოიგო. კლუბ „პოსტის" წევრის თავბრუდამხვევ სპურტს იტალიელმა ჯულიანო ფიგერასმა და ზემოხსენებულმა ჟალაბერმა ვერ გაუძლეს და იძულებული იყვნენ, შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ხოლო როდესაც ტურის ორგანიზატორებმა ველომრბოლების მიერ ყველა საშუალედო სპრინტსა და ფინიშზე ნაჩვენები დრო შეაჯამეს, გამარჯვებულ ზბერგსა და ჩამორჩენილ ორ სპორტსმენს შორის სხვაობამ 4 წამი შეადგინა.

— დღეს საუცხოოდ ვიასპარეზეთ. მოხარული ვარ, რომ ფინიშზე ისეთ ძლიერ ველომრბოლს ვაჯობე, როგორიც შარშანდელი ჩემპიონი ჟალაბერია — განაცხადა 23 წლის შვეიცარიელმა, რომლისთვისაც ეს წარმატება წლევანდელ სეზონში მეხუთე აღმოჩნდა.

**1. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) 4 სთ 10 წთ 56 წმ; 2. ჯულიანო ფიგერასი (იტალია) +4; 3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +4.**

II ეტაპი. კორდობადან კადისამდე. 234,6 კილომეტრი

თავიდანვე ვიტყვით, რომ მეორე ეტაპი ტურზე გასამართი ოცდაორიდან ყველაზე გრძელი გახლდათ და ველომრბოლებიც კარგა გვარიანად გათანგა.

ისინი, ვინც წინა დღით შვეიცარიელი ზბერგის გამარჯვება შემთხვევითობად მიიჩნია, დარწმუნდნენ, რომ ეს სპორტსმენი საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა და ადვილად არავის არაფერს დაუთმობს. ისეთი გიგანტების გარემოცვაში, როგორებიც „ბანესტოს" ლიდერი აბრაჰამ ოლანო, „კრედიტ აგრიკოლეს" ფრედერიკ მონკასინი, „მაპეის" ჩეხი იან სვორადა და



REUTERS კორდობიდან

მარკუს ზბერგი

სხვები არიან, ზბერგი ოდნავადაც არ დაბნეულა და საოცარი სიმშვიდით შეძლო წინგაჭრილთა დაწევა. საბოლოოდ შვეიცარიელმა მოახერხა რბოლის მოწინავე ჯგუფში დასრულება, რითაც ლიდერის ყვითელი კვართი შეინარჩუნა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჟალაბერმა მოახერხა, პირველი ეტაპის შემდეგ არსებული 4-წამიანი ჩამორჩენის 1 წამამდე შემცირება გახლდათ. ფრანგს სამი საქტივო წამი უკანასკნელი საშუალედო სპრინტის მოგებისთვის არგუნეს.

საერთოდ, მეორე ეტაპზე კი TVM-ს გუნდის წარმომადგენელმა, ჰოლანდიელმა ჯერონ ბლილევენსმა იმარჯვა, რომელმაც „შესაწვავ ტაფად" წოდებული ანდალუზიური გზების სირთულეს კარგად გაართვა თავი და გასწრების საშუალება არავის მისცა.

**1. ჯერონ ბლილევენსი (ჰოლანდია) 6სთ 30 წთ 24 წმ; 2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია); 3. რობი მაკევენი (ავსტრალია) — იგივე დრო.**

საერთო ჩათვლა

**1. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) 10 სთ 41 წთ 20 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +1; 3. ჯულიანო ფიგერასი (იტალია) +4.**

III ეტაპი. კადისიდან ესტაპონამდე. 192,6 კილომეტრი

გუშინდელ მესამე ეტაპზე 4.16,24-ით საუკეთესო იყო ესტონელი იან კირსიპუუ. საერთო ჩათვლაში კი დაწინაურდა ლორან ჟალაბერი.

**ბახა არჯევანიძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29